ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი №1, 2011, იანვარი ფასი 2 ლარი

ისტორიანი

ალმოჩენა: ღინოზავრის ნასვალევი მარტვილში

„შავი წყალი“, რომელმაც მაკედონელი იმსხვერპლა

ჯვაროსნები და საქართველო

სტალინი და თბილისის ბახმაურებული ექსპროპრიაცია

ამბები ბოდეიძე ჩოხელის სხოვრებიდან

სარჩევი

ახალი აღმოჩენა

დინოზავრის ნაკვალევი მარტვილში 6-11

ახალი ამბები

პომპეი — დალუპვის ახალი ვერსია 12-13

„შავი წყალი“, რომელმაც მაკედონელი იმსხვერპლა 14-15

დიდი პოლიტიკა

საქართველო და ევროპა 16-25

ტეროროლოგია

ტერორიზმის ევოლუცია 26-30

ინტერვიუ

ბუბა კუდავა: უძველესი ხელნაწერი ჩემმა თაობამ პირველად სტუდენტობისას ნახა... 31-35

ბელადის ბზა

მონაწილეობდა თუ არა სტალინი თბილისში გახმაურებულ ექსპროპრიაციაში? 36-39

პიროვნები

პირველი საფოსტო მარკა 40-41

სარჩევი

ასე იწყებოდა
ქართული თეატრის სათავეებთან ... 42-45

ცხოვრება
აბესალომ ვეკუა:
ქარბუქივით კაცი ვიყავი!.. 46-51

უახლესი ისტორია
კუბის კრიზისი 52-55

მეცხვიერეობა
კონდაკის ახალი სიცოცხლე 56-59

ჯვეჯასიის ხალხები
ინგუშები 60-65

ადამიანთა სევდა
ამბები გოდერძი ჩოხელის
ცხოვრებიდან... 66-69

ყოფა და ჯელტეა
„შამი ნადირთა“
ანუ ნადირობა საქართველოში 70-73

მსოფლიო ხელიბიები
ბუდიზმი 74-81

ისტორიული ტუჩიზმი
ქართლის სანახები
სამთავისიდან ყინწვისამდე 83-91

ᲩᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲑᲕᲔᲠᲘᲓᲘ

ახალ წელს ახალი ჟურნალით ვულოცავთ ჩვენს მკითხველს და ყველას, ვისაც ქვეყნის წარსულსა და მომავალზე შესტკივა გული. ისტორია ხომ არა მხოლოდ გარდასულ დღეებს გვიცოცხლებს, არამედ მომავლის შენებაშიც გვეხმარება იმ უდიდესი გამოცდილების გათვალისწინებით, მატიანემ და ხალხის მეხსიერებამ რომ მოიტანა ჩვენამდე. ახლა ორიოდე სიტყვით ჟურნალის სახელწოდების შესახებ.

XIII საუკუნემდე ქართულ საისტორიო მწერლობაში ისტორიას სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავდნენ: „ცხოვრება — მატიანე — ამბავი“. სიტყვა „ისტორია“ პირველად თამარ მეფის მემატიანემ გამოიყენა „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი თხზულების სათაურში — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“.

ჟურნალის შექმნისას ვფიქრობდით, როგორი და რა მიმართულების ყოფილიყო იგი. ისტორიულ-შემეცნებითი ხასიათი არ ათავისუფლებს ავტორებს მკითხველის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობისგან. ჩვენი სურვილია, „ისტორიანი“ „ცოცხალი ისტორიის“ მთხრობელად იქცეს. ისტორია უნდა გაცოცხლდეს! ჩვენს წარმოდგენებში უნდა გავაცოცხლოთ ის ადამიანები, რომლებიც ქმნიდნენ, იღვწოდნენ, იბრძოდნენ, უყვარდათ, სწამდათ, სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავს სწირავდნენ...

ჩვენ უნდა შევიხედოთ ისნისა და გეგუთის სასახლეში, მოვინახულოთ გელათისა და შიომღვიმის მონასტრები, ვეწვიოთ ქართველ ფეოდალს თავის ციხესიმაგრეში, ვესტუმროთ ყანაში მომუშავე გლეხკაცს, დავსხდეთ ჩვენს შორეულ წინაპართან სატრაპეზოდ, გულდასმით შემოვიაროთ თბილისისა და ქუთაისის ბაზრები და ვიწრო შუკები, მგზავრობისგან დაღლილებმა კი ქალაქის აბანოებს მივაშუროთ სულის მოსათქმელად... მაგრამ ეს არ უნდა იყოს მხატვრული წარმოსახვით შექმნილი სურათი, არამც და არამც!.. ამ შემთხვევაში ჩვენს მონათხრობს რეალურ ისტორიასთან არავითარი კავშირი არ ექნება და იგი საისტორიო პროზის ჟანრად ჩაგვეთვლება.

წარსულის რეკონსტრუირება ვერასოდეს იქნება სრულყოფილი თუ კვლევა-ძიებისას ამოსავალ წერტილად ადამიანი და მისი გარემომცველი სამყარო არ ვაქციეთ. პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული პროცესების კვლევა იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც ყოველივე ამის მამოძრავებელი ადამიანია. ისტორიკოსი, შეიძლება ითქვას, მუდმივ დიალოგშია არა მხოლოდ წარსულში მცხოვრებ, არამედ პრეისტორიულ ადამიანებთან. ჩვენ მათი განვითარებისა და ცხოვრების ყოველ დეტალს უნდა დავაკვირდეთ. უნდა გავიგოთ, რა აწუხებდათ, რა ახარებდათ...

ჩვენი ჟურნალი, მისი თითოეული თანამშრომელი მოწოდებულია ასეთი „მძიმე შრომისთვის“. როგორ შეეძლებთ ყოველივე ამას, მომავალი გვიჩვენებს... ამ „მძიმე შრომაში“ კი პირველ ყოვლისა, თქვენი თანადგომის იმედი გვაქვს, ჩვენო მკითხველო...

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲐ, „ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲜᲘ“ „ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ“ ᲛᲗᲮᲠᲝᲑᲔᲚᲘ ᲘᲥᲪᲔᲡ...

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი
„ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტი-რედაქტორი
ელენე სალარიძე

არტრედაქტორი
ზაზა ასანიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბოშიშვილი
ოქროპირ ჯიქური
ნინო ჯაფარიძე

კორექტორები:
ნანა მაჭავარიანი
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ.: 38-37-47

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 37-78-07, 38-78-70

e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია
გადაცემულია დასაბეჭდად: 15.12.2010

დინოზავრის ნაკვალევი მარტვილში

65 მილიონი წლის წინ დინოზავრებმა „საზღვრები“ არ იცოდნენ...

მცირე ზომის ორფეხა რეპტილიის ან ფრინველის ნაკვალევი

ინტერნეტი გამოჭედილია გაჭედილით...

აგვისტოს შემდეგ ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ინტერესი აბაშისწყლის ხეობაში მდებარე პატარა სოფელ გაჭედილისკენაა მიმართული. თუმცა აქ აღმოჩენილ დინოზავრის ნაკვალევს მარტვილის რაიონის კიდევ ერთი სოფლის, ბალდის მკვიდრნიც იჩემებენ — ის ადგილი, სადაც ეს ნაკვალევი აღმოჩნდა, გაჭედილს კი არა, ბალდას ეკუთვნისო... მთავარი კი ის არის, რომ სათაფლიის უძველეს ქვეწარმავალთა ადგილსაპოვებელს ახალი „მეზობელი“ საქართველოშივე გამოუჩნდა.

გვესაუბრება პალეონტოლოგი, პროფესორი **ვიაჩესლავ ჩხიკვაძე**: — ამ აღმოჩენის შესახებ დღეს ბევრს ლაპარაკობენ. საქართველო, ეს უკვე მერამდენედ, მსოფლიო პალეონტოლოგთა ყურადღების ცენტრში მოექცა. გამუდმებით მირეკავენ უცხოელი კოლეგები, უძველეს ქვეწარმავლთა ადგილსაპოვებლებზე „მონადირე“ მეცნიერები, რომლებიც ამგვარ აღმოჩენებზე მთელი სიცოცხლე ოცნებობენ. შეიძლება ითქვას, მარტვილში საუკუნის ადგილსაპოვებელი აღმოჩნდა, რომელიც ბუნებრივია, შემდგომ ინტენსიურ

ქართველ პალეონტოლოგებს ბედი სწყალობს: დინოზავრის ნაკვალევთან ერთად პრეისტორიული ქვეწარმავლის ნამთებსაც მიაკვლიეს...

გათხრებსა და შესწავლას მოითხოვს. ახლა კი უფრო დაწვრილებით იმის შესახებ, რაც უკვე „მოვიპოვეთ“: ამ ზაფხულს, ილიას უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის ექსპედიცია მუშაობდა მარტვილში. პალეონტოლოგი ვასო გაბუნია შემთხვევით გადასწყდომია დინოზავრის ნაკვალევს. სულ მალე კი ამ უნივერსიტეტის დაზვერვითი ექსპედიცია გაემგზავრა მარტვილში. ექსპედიციაში, ვასოს თხოვნით, მეც ჩავერთე, რათა დამედასტურებინა, რომ ეს ნაკვალევი დინოზავრისა იყო. ჩვენთან ერთად სპელეოლოგი ამირან ჯამრიშვილი და კინორეჟისორი დავით გოგუაძეც მუშაობდნენ.

მოზაზავრის ახალაღმოჩენილი მალა



მოზაზავრი

ჩვენს ქვეყანაში დინოზავრების არაერთი საყურადღებო ადგილსაპოვებელია, რომელთა შესასწავლად მეცნიერები ყოველთვის ვართ მზად... ცოტა მეტი ყურადღება და მალე მსოფლიოს ისევ საქართველოზე ავალაპარაკებთ.

პლეზიოზავრს მითურ ურჩხულსაც ამსგავსებენ, რომელიც ლეგენდის მიხედვით შოტლანდიაში, ლოხ-ნესის ტბაში ბინადრობს. წერილობით წყაროში „ნესი“ პირველად ახ. წ. 565 წელს გამოჩნდა — „წმინდა კოლუმბას ცხოვრებაში“ აღწერილია ლოხ-ნესის ბაყაყისნაირი უზარმაზარი ცხოველი, რომელიც წმინდანმა ლოცვით განდევნა. მას შემდეგ ლოხ-ნესის იდუმალი ურჩხული დროდადრო ზაფრავს ადამიანებს. საიდუმლო, რომელსაც ლოხ-ნესის ტბა ინახავს, ჯერაც ამოუხსნელია. „ფანებმა“ კი „ნესის“ ქანდაკებაც აუგეს...

პლეზიოზავრი

„მარტვილელი“ პლეზიოზავრის მენჯის მარჯვენა ნაწილი

ᲓᲘᲜᲝᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲐᲚᲔᲕᲘ ᲓᲐ... ᲛᲝᲖᲐᲖᲐᲕᲠᲘᲡ ᲮᲔᲠᲮᲔᲛᲚᲘᲡ ᲛᲐᲚᲚᲔᲑᲘ...

როგორც პალეონტოლოგი, პროფესორი **ᲕᲐᲡᲝ ᲒᲐᲑᲣᲜᲘᲐ** აღნიშნავს, მის მიერ ნაპოვნ მცირე ზომის მტაცებელი დინოზავრის ნაკვალევს იქვე, სულ რამდენიმე მეტრში მეორეც მოჰყვა. უმშვენიერესი ჩანჩქერის კიდეს „აშშვენებდა“ ბალახისმჭამელი დინოზავრის ნაკვალევი.

ეს ნაკვალევი პირველზე გაცილებით კარგად შემონახულა. იგი დაახლოებით ინდაურისხელა პრეისტორიულ ფრინველს ეკუთვნის ან მცირე ზომის ორფეხა დინოზავრს. აქვე აღმოჩნდა ზედა ცარცული პერიოდის ზღვის ზღარბების ნიჟარებიც, რომელთა ასაკი ჩვენს ერამდე 65-70 მლნ წელს ითვლის.

ვიაჩესლავ ჩხიკვაძე: — ბუნებრივია, დინოზავრის ნატერფალის სიახლოვეს პალეონტოლოგი ყოველთვის მოელის სიურპრიზს. ახალაღმოჩენილ ნაკვალევთან, ულამაზესი კანიონის კედელმა თითქოს მომნუსხა. არ დავიტრაბახებ, მაგრამ ამგვარ სიტუაციებში თვალი დაგეშილი მაქვს. ამ კანიონში პატარა, ულამაზესი მდინარის მეორე ნაპირზე კირქვოვან კედელში დავინახე პრეისტორიული ქვეწარმავლის ხერხემლის მალა. სხვათა შორის, რამდენიმე ათეული წელია საქართველოში უძველესი ქვეწარმავლის ნაშთებს ვეძებ და ვიკლევ. და აგერ, ერთბაშად ვასო გაბუნიას მიერ ნაპოვნ დინოზავრის ნაკვალევთან ერთად მეზოზოური ეპოქის ქვეწარმავლის ხერხემლის მალას ვხედავ!.. თავიდან ვასო არც მიჯერებდა, სად ხედავ აქ ძვალსო. მართლაც ადვილი როდია კირქვადქცეული ძვლის დანახვა. მე კი, როგორც კოლეგები მეუბნებიან, „მეძებრის“ თვალი მაქვს. ისე, სიმართლე გითხრათ, არც კირქვადქცეული ძვლის ამოღებაა იოლი. მთელი ოთხი საათი ვმუშაობდით.

ცოტა რამ პირველ „ქართველ“ დინოზავრებზე

მათი ნაკვალევი გასული საუკუნის 30-იან წლებში აღმოაჩინა ნატურალისტმა პეტრე ჭაბუკიანმა სათაფლიაში. სათაფლიის ადგილსაპოვებლის შესწავლით დაიწყო თავისი მოღვაწეობა სახელგანთქმულმა პალეონტოლოგმა, აწ განსვენებულმა ლეო გაბუნიამ, რომლის 90 წლის იუბილეს ახლახან მსოფლიოს არაერთი ქვეყნიდან გამოეხმაურნენ.

სათაფლიაში ცარცული პერიოდის დინოზავრთა მრავალი გაქვავებული ნაკვალევია შემორჩენილი. როგორც ჩანს, იქ ორი სახეობის დინოზავრი ბინადრობდა — მტაცებელი და ბალახისმჭამელი.



ზავროპოდი (უზარმაზარი ოთხფეხა დინოზავრი); ესეც ყუმისთავში სულ ახლახან აღმოჩენილი ზავროპოდის ნაკვალევი...

ვიაჩესლავ ჩხიკვაძე: — 80-იან წლებში დასავლეთ საქართველოში პალეონტოლოგიურ ექსპედიციაში მუშაობა შემომთავაზა ილო კვანტალიანმა. ილო ამონიტების ცნობილი მკვლევარია (ამონიტები თავფეხიანი მოლუსკებია, რომლებიც დინოზავრებთან ერთად ამოწყდნენ). ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენს ქვეყანაში არაერთი საყურადღებო ადგილსაპოვებელია, რომელთა შესასწავლად მეცნიერები ყოველთვის ვართ მზად... ცოტა მეტი ყურადღება და მალე მსოფლიოს ისევ საქართველოზე ავალაპარაკებთ. ამას ხომ მარტვილის ახლანდელი აღმოჩენაც ადასტურებს.

მარტვილში აღმოჩენილი ჰადროზავრის (ბალახისმჭამელი დინოზავრი) უკანა ფეხის ნაკვალევი

ჰადროზავრი



ყუმისთავში აღმოჩენილი ნაკვალევი კიდევ ბევრ სიახლეს გვპირდება!..

„გვყავს“ თუ არა ქართველებს მეგალოზავრიდი?

1988 წელს გეოლოგმა შალვა ჩალაურმა გუდაუთის რაიონში, მდინარე ააფსტას სათავესთან იპოვა დინოზავრის ხერხემლის ერთი ძალიან დიდი მალა. როგორც გაირკვა, ეს იყო მტაცებელი დინოზავრის (მეგალოზავრიდების ოჯახი) კუდის მეორე ან მესამე მალა. დინოზავრის ეს მალა ნაპოვნია ზედა იურულ ნალექებში. ფაქტობრივად ეს იყო დინოზავრის პირველი ძვლოვანი ნაშთის უტყუარი, დასაბუთებული მასალა, რომლის შესახებაც მომზადებული მასალა (ავტორები: აკადემიკოსები ლეო გაბუნია და გურამ მჭედლიძე, პროფესორი ვიაჩესლავ ჩხიკვაძე, ამერიკელი პროფესორი სპენსერ ლუკასი) 1998 წელს გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და დიდი რეზონანსი მოჰყვა მსოფლიოს პალეონტოლოგთა შორის. აღნიშნული მალა დღეს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება.

ვიაჩესლავ ჩხიკვაძე: — საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოს ფოსტამ სწორედ იმ პერიოდში გამოაქვეყნა საფოსტო მარკები სხვადასხვა დინოზავრის გამოსახულებით. მხატვრობა ჩემს მეგობარსა და შეგირდს, შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში სახელგანთქმულ მხატვარ-ანიმალისტ ლაშა ცხონდიას ეკუთვნის. ამ საფოსტო მარკებმა კიდევ ერთხელ აუწყეს მსოფლიოს, რომ საქართველო დინოზავრების საშობლოცაა.

პატრონობა დინოზავრის ნაკვალევსაც სჭირდება!..

როგორც მარტვილის ექსპედიციის წევრები მიიჩნევენ, მათ არა მხოლოდ დინოზავრის ნაკვალევსა და მოზაზავრის ხერხემლის მალას მიაკვლიეს, არამედ აღმოაჩინეს მთელ კავკასიაში მეზოზოური პერიოდის პირველი უმნიშვნელოვანესი ადგილსაპოვებელი. ამ ადგილსაპოვებელს კი შემდგომი შესწავლა და პატრონობა სჭირდება. ქართველ მეცნიერებს თავიანთი უცხოელი კოლეგების დახმარების იმედიც აქვთ. 70 მილიონი წლის წინათ ხომ დინოზავრებმა „საზღვრები“ არ იცოდნენ...

P.S. **სანამ ჩვენი ჟურნალი დაიბეჭდებოდა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დაზვერვითი ექსპედიცია (პალეონტოლოგები ვიაჩესლავ ჩხიკვაძე, გიორგი მეგრელიშვილი, ენტომოლოგი ვალერი პეტროვი) წყალტუბოს ზემოთ მდებარე სოფელ ყუმისთავში იმყოფებოდა. აქ „თვალის ერთი გადავლებით“ აღმოჩენილმა სხვადასხვა ჯგუფის დინოზავრის ნაკვალევთა რაოდენობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ასე რომ, ჟურნალის მომდევნო ნომერში წყალტუბოელ დინოზავრებს „გაგაცნობთ“.**

პომპეი – დაღუპვის ახალი ვერსია

პომპეის მკვიდრთა დაღუპვის მიზეზებზე დღემდე ვერ შეთანხმებულან იტალიელი მეცნიერები. მათი მტკიცებით, ახლახან ჩატარებული გამოკვლევები ფარდას ახდის ამ იდუმალებით მოცულ ტრაგედიას.

ისტორიული წყაროებით, 79 წელს ვულკან ვეზუვის ამოფრქვევამ პომპეის მოსახლეობის უმრავლესობა იმსხვერპლა. მაგრამ სიკვდილი სულის ხუთვის შედეგად კი არ დამდგარა (როგორც აქამდე მიიჩნეოდა), არამედ მაღალი ტემპერატურის გამო, რომელიც +50-დან +300° C-ს აღწევდა ამოფრქვევის ეპიცენტრიდან 20 კილომეტრის რადიუსში. ადამიანები ფაქტობრივად დნებოდნენ. ეს მტკიცებები ექსპერიმენტებს ემყარება, რომელიც სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. მაგრამ ზოგიერთი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება. ისინი ისტორიკოსებს, მათ შორის პლინიუს უმცროსის წერილს ეყრდნობიან, რომელშიც მითითებულია, რომ მასობრივი მსხვერპლი არა მხოლოდ მაღალმა სიცხემ, არამედ ვეზუვის ამოფრქვევისას კვამლმა და ქვის ცვენამაც გამოიწვია.

ძველი რომის იმპერიის ქალაქი პომპეი, თანამედროვე ნეაპოლთან ახლოს, ნეაპოლის

ყურეში მდებარეობდა. ისტორიული ცნობების თანახმად, დორიელთა ტომების მიერ შევიწროებულმა ეოლიელებმა და იონელებმა მიატოვეს საბერძნეთი და ხმელთაშუა და შავი ზღვის სანაპიროზე დამკვიდრდნენ.

ყურეს გასწვრივ გაშენდა ნეაპოლი, რომელსაც მაშინ პართენოპს უწოდებდნენ, უფრო სამხრეთით კი პომპეი და ჰერკულანუმი. პომპეი პატარა ქალაქი იყო, სადაც სულ 20000 კაცი ცხოვრობდა. თუმცა მდიდარი ქალაქი გახლდათ და მშვენიერი ჰავითაც გამოირჩეოდა.

პომპეიდან ჩრდილო-დასავლეთით ოთხ კილომეტრში, დაახლოებით ნეაპოლის შუა გზაზე მდებარეობდა მეთევზეთა ქალაქი ჰერკულანუმი, რომელიც თანდათანობით მოკრძალებული დასახლებიდან რომის არქიტექტურის მარგალიტად იქცა.

დადგა საბედისწერო დღე, 79 წლის 24 აგვისტო. გამაყრუებელი გრუხუნი პომპეიში დღის პირველ საათზე გაისმა. წამოვიდა ფერფლის ნიაღვარი და ჰემზის ნამტვრევები. მათ მზე და ცა დაფარეს, დაბნელდა.

ქალაქს სქლად დაეფინა ფერფლი და ქვები. ზოგიერთი ქვა 6 კილოგრამს იწონიდა. მამაკაცები, ქალები და ბავშვები თავზარდაცემულნი დარბოდნენ სქელი კვამლით დაფარულ ვიწრო ქუჩებში, სადაც სუნთქვა შეუძლებელი გამხდარიყო. ზოგიერთი მცდარმა ილუზიამ შეიპყრო, რომ ფერფლისა და ქვის წვიმა მალე შეწყდებოდა. მათ ახლო მდებარე სახლების სარდაფებს შეაფარეს თავი. ასე დაიღუპა 2 ათასი პომპეელი ანუ ქალაქის მოსახლეობის მეათედი.

ვულკანური წვიმა ორ დღეს გაგრძელდა. პომპეი ფერფლისა და ქვის 15-მეტრიანმა ფენამ დაფარა... სულ სხვაგვარად წარიმართა ჰერკულანუმელთა ბედი. ქალაქი გაუჩინარდა ვეზუვის ფერდობზე გაჩენილი ნაპრალებიდან წამოსული სქელი, წებოვანი ტალახის 15-მეტრიანი ფენის ქვეშ, რომელიც მზის მცხუნვარე სხივებმა ქვასავით გაამაგრა. პომპეელებისგან განსხვავებით, ჰერკულანუმელებმა ქალაქიდან გასვლა მოასწრეს.

შუა საუკუნეებში პომპეი და ჰერკულანუმი უკვე აღარავის ახსოვდა. ჰერკულანუმის ადგილზე გაშენდა სოფელი რესინა. 1710 წელს ერთ-ერთი გლეხი ჭას აღრმავებდა და თხრისას მარმარილოს ფილასა და სვეტებს წააწყდა. მან ნაპოვნი კალატოზებს მიჰყიდა. მაშინ აზრადაც არავის მოსვლია, რომ ეს ქალაქ ჰერკულანუმის ნაშთი იყო.

1738 წელს 20 მეტრის სიღრმეზე ჩასვლის შემდეგ, განძის მაძიებლებმა ჰერკულანუმის ამფითეატრი აღმოაჩინეს, რამაც მკვლევართა ინტერესი კიდევ უფრო გააღრმავა.

უცნაურად აღმოაჩინეს ძველი პომპეიც. უკვე მე-16 საუკუნეში ცნობილი იყო, რომ ციფიტას ბორცვის ქვეშ იმალება რომელიღაც ქალაქის ნანგრევები. 1594 წელს იტალიელ ინჟინერს დომენიკო ფონტანას დაავალეს მიწისქვეშა აკვედუკის აგება. მუშაობისას ინჟინერი უცნობ ნანგრევებს წააწყდა. როგორც შემდეგ დადგინდა, ეს პომპეი იყო, რომლის კვლევა იტალიელმა ჯუზეპე ფიორელიმ განაგრძო. ფიორელიმ მთელი ტერიტორია კვადრატებად დაანაწილა (ამ მეთოდს დღესაც იყენებენ), თითოეული აღმოჩენილი სახლის კარი დანომრა, ხოლო ფერფლსა და ლავაში გაჩენილი სიცარიელე თხევადი თაბაშირით ამოავსო. ამით შესაძლებელი გახდა კატასტროფის შედეგად დაღუპული და გაქვავებული ადამიანებისა და ცხოველების ანაბეჭდების აღება.

„ევრონიუსის“ მასალების მიხედვით
მოამზადა ***ნინო ჯაფარიძემ***

„შავი წყალი“, ჰომეროსს მაკედონელი იმსხვეჩავს

ლეგენდარული მხედართმთავრის სიკვდილს მითურ მდინარე მავრონერს უკავშირებენ

ამერიკელმა მეცნიერებმა ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის საიდუმლო ამოხსნეს. აღმოჩნდა, რომ იგი შხამიანი წყლით მოწამლეს. მეცნიერთა ვერსიით, მაკედონელი, რომელმაც საბერძნეთიდან ინდოეთამდე უზარმაზარი ტერიტორიები დაიპყრო, ბერძნული მდინარე სტიქსის წყლით მოწამლეს. მდინარე, რომელიც ბერძნული მითოლოგიით მიწისქვეშა სამეფოშია (სადაც გარდაცვლილთა სულები განისვენებენ), სინამდვილეში დღესაც არსებობს. იგი პელოპონესის ნახევარკუნძულის მთებში მოედინება და მავრონერს ანუ „შავ წყალს“ უწოდებენ.

ექსპერტები მივიდნენ მოსაზრებამდე, რომ დიდი მხედართმთავრის სიკვდილის მიზეზი განსაკუთრებით შხამიანი ბაქტერია იყო, რომელიც მომწამლავ ნივთიერებას, კალიქეამიცინს გამოიმუშავებს.

„ეს ბაქტერია განსაკუთრებით ტოქსიკურია. ძველი ბერძნული მითოლოგიით, ღმერთები ადამიანებს ფიცს მდინარე სტიქსის ნაპირას ადებინებდნენ. მას, ვინც იტყუებოდა, ზევსი აიძულებდა მდინარის წყალი დაელია. ლეგენდის თანახმად, ასეთი ადამიანები მუნჯდებოდნენ და სიარულის უნარიც ერთი წლით ერთმეოდათ“, — მიუთითებს გამოკვლევის ერთ-ერთი თანაავტორი, სტენფორდის უნივერსიტეტის მეცნიერ-ტოქსიკოლოგი ანტუანეტა ჰეისი. „ლოგიკურია, რომ ალექსანდრე მაკედონელი, რომელიც ღმერთკაცად ითვლებოდა, სწორედ ასეთი შხამით მოწამლეს. ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთი სიმპტომი და ალექსანდრე მაკედონელის დაავადების მიმდინარეობა შეესაბამება სტიქსის შესახებ ძველ ბერძნულ მითებს. მან ხმაც კი დაკარგა და კომაში ჩავარდა, ანუ მოხდა ზუსტად ის, რაც ამ მდინარის წყლის დალევის შემდეგ ხდებოდა“, — ამბობს გამოკვლევის კიდევ ერთი თანაავტორი, სტენფორდის უნივერსიტეტის მკვლევარი ადრიენა მეიორი. კვლევის შედეგების გამოქვეყნების მიუხედავად, მკვლევარები არაფერს ამბობენ იმაზე, როგორ და ვის უნდა ჩაეტანა პელოპონესის ნახევარკუნძულის მთებიდან მდინარე სტიქსის წყალი შორეულ ბაბილონში, სადაც ალექსანდრე მაკედონელი იმყოფებოდა.

ადრე ისტორიკოსები ვარაუდობდნენ, რომ მაკედონელის სიკვდილი ლოთობამ, მუცლის ტიფმა, მალარიამ, მწვავე პანკრეასმა, დასავლეთ ნილოსის ცხელებამ თუ შემთხვევითმა ან წინასწარ გამიზნულმა მოწამვლამ გამოიწვია.

ალექსანდრე მაკედონელი ინდოეთში ლაშქრობის შემდეგ, ბაბილონში, ნაბუქოდონოსორ მეორის სასახლეში ღამეული ლხინის შემდეგ დაავადდა. მან ღვიძლის მოულოდნელი და მწვავე ტკივილის შესახებ დაიჩივლა და ლოგინად ჩავარდა. 12 დღის განმავლობაში მაღალი სიცხე და სახსრების ტკივილი ტანჯავდა. შემდეგ კომაში ჩა-

ვარდა და ძვ.წ. 323 წლის 10 ივნისს, 33 წლის ასაკში გარდაიცვალა.

4 დღე სიჩუმე სუფევდა ბაბილონს, შოკირებული ხალხი გლოვობდა. მაკედონელის ცხედარი ეგვიპტეში, ალექსანდრიაში გადაასვენეს და იქ დიდი პატივით დაკრძალეს.

სიკვდილის წინ მის გარშემო შემოკრებილთ ყველას აინტერესებდა, ვის დაასახელებდა მემკვიდრედ. ალექსანდრემ კლასიკური, ბერძნული პასუხი მიაგო ტახტის მოსურნეთ და განაცხადა, რომ ის თავის იმპერიას ყველაზე ძლიერს დაუტოვებდა.

ისტორიულ წყაროებში არ ჩანს, ზრუნავდა თუ არა ალექსანდრე მემკვიდრეზე, მამამისისგან განსხვავებით, რომელიც შვილს დაბადებიდანვე ზრდიდა იმპერატორად. შეიძლება ალექსანდრე არც ჩქარობდა და დიდხანს აპირებდა კიდევ მაკედონიის იმპერიის მართვას. ის ხომ მხოლოდ 33 წლისა იყო.

ალექსანდრე მაკედონიის სამეფოს დედაქალაქში, პელაში დაიბადა, ძვ.წ. 356 წლის ივლისში. იმ დღეს, როცა არტემიდას ტაძარი დაიწვა ჰეფესოში. მამამ, ფილიპე მეორემ გააერთიანა მაკედონია, შექმნა ძლიერი ჯარი, დაიპყრო საბერძნეთი, მოიპოვა დიდი სიმდიდრე და ძალაუფლება. პლუტარქეს მიხედვით, ის ჰერკულესის შთამომავალი იყო. დედა — ეპირის მეფის, პტოლემაიოსის ქალიშვილი ოლიმპია კი, თუ პლუტარქეს ვერწმუნებით, აქილევსის შთამომავალი იყო. გადმოცემით, ალექსანდრე უშიშარი ყმაწვილი ყოფილა. 12 წლის ასაკში მოათვინიერა ბუცეფალი, ველური ცხენი, რომელსაც სხვა ვერავინ ეკარებოდა.

მის პირველ მასწავლებელს, ლეონიდასს უკავშირებენ ალექსანდრე მაკედონელის სპარტანულ აღზრდას. მოგვიანებით, ლეონიდასს ლისიმაქე ჩაენაცვლა, რომელმაც ალექსანდრეს ქნარზე დაკვრა ასწავლა და ხელოვნება შეაყვარა. 13 წლის ალექსანდრე არისტოტელეს მიაბარეს. სწორედ აქ შეხვდა თავის მომავალ საუკეთესო მეგობარ ჰეფესტიონს.

არისტოტელემ ალექსანდრეს ზედმიწევნით შეასწავლა რიტორიკა და ლიტერატურა, გაუღვივა ინტერესი მეცნიერების, მედიცინის, ფილოსოფიის, ფიზიკის, მეტეოროლოგიის, გეოგრაფიისა და თეოლოგიისადმი...

ალექსანდრე მაკედონელის სამხედრო და პოლიტიკურ განათლებაზე კი მამამ იზრუნა. 16 წლისა იყო, როცა ფილიპე მეორე აჯანყების ჩასახშობად ბიზანტიონს გაემგზავრა. მამის არყოფნისას სამეფო ტახტი ალექსანდრეს გადაეცა.

მამის ნდობის მიუხედავად, ალექსანდრე ვერ ეწყობოდა ფილიპეს. მამა-შვილს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა მას შემდეგ, რაც ფილიპემ კლეოპატრაზე დაქორწინება გადაწყვიტა.

ძვ.წ. 336 წლის ზაფხულში, ფილიპე თავისი ქალიშვილის ქორწილში მოჰკლეს. ზოგიერთი წყაროს ცნობით ეს შეთქმულება ალექსანდრეს დედამ, ოლიმპიამ მოაწყო.

20 წლის ალექსანდრე დაუყოვნებლივ წარუდგინეს ჯარს, როგორც მაკედონიის ახალი მეფე. ახალგაზრდა მეფეს ტახტის მრავალი მოცილე გამოუჩნდა, რომლებიც ნელ-ნელა ჩამოიცილა. თავად სარდალი ატილოსიც, კლეოპატრას ბიძა, მცირე აზიაში გააგზავნა სალაშქროდ, მოგვიანებით კი თავიდან მოიშორა.

გამეფების შემდეგ, ალექსანდრემ თავი უზენაესი ღმერთის, ზევსის შვილად გამოაცხადა. თუმცა როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, ეს სულაც არ იყო საჭირო, რადგან მისი ერთი შეხედვაც საკმარისი იყო იმის გასაგებად, რომ ალექსანდრე დიდებისთვის დაიბადა.

ალექსანდრე მაკედონელი ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო გენიოსი და სტრატეგი, რომელმაც მაშინდელი მსოფლიო ცივილიზაციის უმეტესი ნაწილი დაიპყრო და შექმნა უდიდესი იმპერია, რომელშიც შედიოდა მაკედონია, ეგვიპტე, სირია, სპარსეთი და მცირე აზია.

„ევრონიუსის“ მასალების მიხედვით მოამზადა
ნინო ჯაფარიძემ

კავკასია ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი რგოლია. თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით ეს რეგიონი ოდითგანვე იზიდავდა დიდ იმპერიებს, რომლებიც ძალუმად ცდილობდნენ ამ ტერიტორიაზე თავისი კონტროლის დამყარებას. კავკასია გზაჯვარედინია, სადაც იკვეთება ჩრდილოეთ-სამხრეთისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის პოლიტიკური თუ კულტურული არეალები. ეს კიდევ უფრო ზრდის ამ ერთი შეხედვით მცირე რეგიონის მნიშვნელობას მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში. სწორედ ამგვარმა გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ განსაზღვრა საუკუნეების განმავლობაში აქ მცხოვრები ერების ბედი.

საქართველო და ევროპა

დიდი იმპერიების სამიზნე

კავკასიის ხელში ჩასაგდებად ყოველთვის უპირისპირდებოდა ერთმანეთს ორი ან მეტი დიდი ძალა. ამავდროულად, აქ გადიოდა ორი დიდი ცივილიზაციის საზღვარი. დასავლეთისა და აღმოსავლეთის შეხება ყველაზე თვალნათლივ კავკასიის რეგიონში ვლინდება. ამ ორი ცივილიზაციის შეჯერების შედეგად რეგიონში ერთგვარი ინტერკულტურული გარემო ჩამოყალიბდა, სადაც დასავლურ ფასეულობებს ეფინება აღმოსავლური კულტურის ნიშნები. ეს რეალობა პოლიტიკოსებსაც ჰქონდათ გათვითცნობიერებული და ამიტომაც არავის უკვირდა დავით IV აღმაშენებლის მეჩეთში სიარული, დემეტრე I-ისა და თამარის კარზე მუსლიმ სწავლულთა ყოფნა, ქართულ ფულზე არაბული ზედწერილი და სხვ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველო ყოველთვის წარმოადგენდა დასავლური ცივილიზაციის ნაწილს. ქრისტიანულმა რელიგიამ კი საქართველოსა და აღმოსავლეთს შორის დიდი ნაპრალი გააჩინა. ცივილიზაციის თანამედროვე მკვლევარები (მაგ., სემუელ ჰანთინგტონი) ცალსახად აღნიშნავენ, რომ რე-

ლიგია იმაზე ბევრად მკვეთრად მიჯნავს ადამიანებს, ვიდრე ეთნიკური კუთვნილება და რომ, რელიგიური ერთობა გაცილებით ადვილად აყალიბებს საერთო ცივილიზაციურ ნიშნებს, ვიდრე სხვა რომელიმე ფაქტორი. ამდენად, გაქრისტიანების შემდეგ საქართველო საბოლოოდ გაემიჯნა ჯერ ცეცხლთაყვანისმცემლურ, ხოლო შემდეგ მუსლიმანურ აღმოსავლეთს.

ისე არ უნდა გავიგოთ, რომ საქართველოს ევროპული ორიენტაცია ქრისტიანობის შემოსვლამ განაპირობა. ამ ტენდენციას გაცილებით ღრმა ფესვები აქვს. ძვ. წ. IV საუკუნეში ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლეთში ლაშქრობის შემდეგ, საქართველო ელინისტური სამყაროს ნაწილი გახდა, ძვ. წ. I საუკუნიდან კი რომმა კავკასია მოაქცია თავისი გავლენის ქვეშ და ამ გზით ქართლი და ეგრისი აქტიურად ჩაერთო საერთო რომაულ ცივილიზაციაში.

საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტიანული აღმსარებლობის დამკვიდრებამ უფრო ინტენსიური გახადა ევროპის ქრისტიანულ სამყაროსთან კავშირი.

ქრისტიანობა მარტოოდენ აღმსარებლობა როდი იყო, იგი გახლდათ მთელი სისტემა კულტურული ფასეულობებისა. IV საუკუნეში ქართლის მეფის მირიანის გადაწყვეტილება, თანამედროვე პოლიტიკური ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, ნიშნავდა საქართველოს ევროპულ კულტურულ სივრცეში ინტეგრაციას. ქართველობამ გამოკვეთილად პროდასავლური ორიენტაცია აირჩია და დაშორდა აღმოსავლურ ზოროასტრულ სამყაროს. მთელი ათას ხუთასი წელი ქრისტიანობა იმ პატრუქს წარმოადგენდა, რომელსაც ჩვენში დასავლური კულტურის სხივებით ანათებდა. და თუ ჩვენ საუკუნეთა განმავლობაში ევროპულ ცივილიზაციას ვიყავით ნაზიარები და პოლიტიკურად ევროპისკენ ვიცქირებოდით, ესეც დიდწილად ქრისტიანობის დამსახურება იყო.

მარადიული არჩევანის წინაშე

ეს არჩევანი ამის შემდეგ არაერთხელ დადგა საქართველოს წინაშე. ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითი თუ როგორ წყვეტდნენ ქართველი პოლიტიკოსები ამ დილემას, არის ეგრისის მეფის გუბაზის მოკვლის შემდეგ, 554 წელს წარჩინებულთა კრებაზე გამართული დისპუტი. ეგრისელი დიდებულები მსჯელობდნენ იმაზე, თუ რომელი ორიენტაცია აერჩიათ — პროირანული თუ პრობიზანტიური. ადვილი მისახვედრია, რომ აქ არ იგულისხმებოდა კონკრეტულ სახელმწიფოსთან თანამშრომლობა. პრობლემა უფრო გლობალური იყო — აღმოსავლეთი თუ დასავლეთი. ამ დისპუტიდან შეგვიძლია გავაკეთოთ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც მარტოოდენ VI საუკუნეს არ ეხება, არამედ ის შეიძლება გავრცელდეს მთლიანად შუა საუკუნეებზე. ქართველი ერი თავისი თვითშეგნებით ყოველთვის დასავლური ცივილიზაციის

თამარ მეფის მონეტა, რომლის ზურგზეც ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილია

ნაწილს წარმოადგენდა და მყუდროდ გრძნობდა თავს ამ კულტურულ სფეროში. სწრაფვა დასავლეთისკენ გამოწვეული არ ყოფილა მხოლოდ პოლიტიკური მიზნით.

ეროვნული უსაფრთხოების სისტემა ქართულ სახელმწიფოს ანტიკურ და შუა საუკუნეებშიც გააჩნდა. რა თქმა უნდა, ის არ იყო ისე მწყობრ სისტემად ჩამოყალიბებული როგორც დღესაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მოიცავდა მთელ კომპლექსს პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური, ეკონომიკური, კულტურული პრობლემებისას. საკითხთა ამ ერთობამ ჩამოაყალიბა ქართველთა ეროვნული ფასეულობანი და პოლიტიკური ინტერესები.

არაბთა სახალიფო თუ ბიზანტია?

არაბთა შემოსევებმა და ახალი რელიგიის – ისლამის გავრცელებამ მახლობელი აღმოსავლეთი კიდევ ერთხელ ორ ნაწილად გაყო. საქართველო არაბთა სახალიფოსა და ბიზანტიას შორის გადანაწილდა. ამჯერადაც, ქართველი საზოგადოება არჩევანის წინაშე დადგა — მუსლიმანური აღმოსავლეთი თუ ქრისტიანული ბიზანტია.

ბიზანტია კლასიკური ევროპული სახელმწიფო არასდროს ყოფილა, თუმცაღა ის ქრისტიანული ცივილიზაციის ნაწილს წარმოადგენდა. ამიტომაც სავსებით გასაგებია რა ამოძრავებდა აშოტ კურაპალატსა და ქართველი საზოგადოების ნაწილს, როდესაც არაბთა მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან ბიზანტიის გავლენის ქვეშ მოქცეულ ტაო-კლარჯეთში გადავიდნენ. ამით ეროვნული სახელმწიფოებისა თუ კულტურის აყვავების პერსპექტივა ჩნდებოდა.

XI საუკუნეში ქართველები თითქმის ნახევარი საუკუნე ბიზანტიის იმპერიას ებრძოდნენ ამიერკავკასიაში პირველობისათვის. ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდში, იმავე ბიზანტიის იმპერიაში მოქმედებდა ქართული მონასტრები, რომლებიც დასავლური კულტურის ექსპორტს ახორციელებდნენ საქართველოში.

კონსტანტინოპოლი — ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი

საქართველო და ჯვაროსნები

XI-XIII საუკუნეები საქართველოს პოლიტიკური სიძლიერის ხანაა. ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო ინტერესები მკვეთრად იზრდება. სწორედ ამან განაპირობა ევროპულ სახელმწიფოებთან მჭიდრო კავშირ-ურთიერთობების დამყარება. ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა აჩვენა, რომ მახლობელი აღმოსავლეთი მათ ინტერესებშიც შედიოდა. საქართველოს სამხედრო თანამშრომლობა ევროპელ რაინდებთან განპირობებული იყო იმით, რომ მახლობელ აღმოსავლეთში, საიდანაც მოდიოდა საქართველოსთვის სამხედრო საფრთხე, ძალთა ბალანსი დაცული იქნებოდა.

საქართველოსა და ჯვაროსნების ურთიერთობას, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ოდნავ ვრცლად შევეხებით.

1095 წელს საფრანგეთის პატარა ქალაქ კლერმონში რომის პაპმა ურბან II-მ მორწმუნეებს ქრისტეს საფლავის გასათავისუფლებლად მოუწოდა. ამ მოვლენამ სათავე დაუდო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ყველაზე ხანგრძლივ დაპირისპირებას, რომელიც ჯვაროსნული ლაშქრობების სახელითაა ცნობილი. თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ევროპამ რვა ჯვაროსნული ლაშქრობა მოაწყო აღმოსავლეთის მუსლიმთა წინააღმდეგ. ევროპის ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც შეიქმნა ფართომასშტაბიანი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, რომელშიც დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა, დიდი თუ პატარა სახელმწიფო ჩაერთო.

ჯვაროსნების აღმოსავლეთში მოსვლის შემდეგ, რეგიონში ძალთა თანაფარდობა რადიკალურად შეიცვალა. ბიზანტია და საქართველო მარტო აღარ იყვნენ მუსლიმური სახელმწიფოების წინაშე. ის ფაქტი, რომ ჯვაროსნების გამოჩენამ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზეც იქონია გავლენა, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსსაც აქვს აღნიშნული. მემატიანე შემთხვევით არ უკავშირებს ერთმანეთს ევროპელ რაინდთა მიერ იერუსალიმის აღებასა და დავით აღმაშენებლის მიერ თურქებისადმი ხარკის შეწყვეტის ფაქტს. ისტორიკოსი დასძენს: „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალემი და ანტიოქია... განძლიერდა დავით და განიმრავლნა სპანი და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯაჲ“.

XII საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთში ორი ფრონტი ჩამოყალიბდა — ჯვაროსნებსა და ქართველებს საერთო სამხედრო-

დავით აღმაშენებელი. გელათის ფრესკა

ჯვაროსნების მიერ აღმოსავლეთში დაარსებული სახელმწიფოები

თამარ მეფე. ყინწვისის ფრესკა

დუინ II-ის დავით აღმაშენებელთან ჩამოსვლა გვიანდელ ავტორს აქვს მოთხრობილი და ამიტომ მას ზოგიერთი ისტორიკოსი სარწმუნოდ არ მიიჩნევს). აშკარა იყო, რომ ევროპელ რაინდებს აღმოსავლეთში საქართველოს სახით სერიოზული მოკავშირე ჰყავდა. უკვე მოგვიანებით, XII-XIII საუკუნეებისთვის, როდესაც ჯვაროსნების მდგომარეობა აღმოსავლეთში მკვეთრად გაუარესდა, ევროპაში შეიქმნა ქრისტიანთა მხსნელის იოანე პრესვიტერის ლეგენდარული სახე, რომლის პროტოტიპი, ზოგიერი მკვლევარის აზრით, დავით აღმაშენებელი უნდა ყოფილიყო.

ჯვაროსნებთან დაწყებული ინტენსიური ურთიერთობა ნაწილობრივ შეიცვალა XII საუკუნის 80-იან წლებში.

1184 წელს გიორგი III-ს გარდაცვალების შემდეგ ტახტი ახალგაზრდა თამარმა დაიკავა. რეალურად სამეფოს თამარის მამიდა რუსუდანი მართავდა. ეს უკანასკნელი დასავლეთ ირანის სულთნის ყიას ად-დინ მასუდის მეუღლე იყო, რომლის გარდაცვალების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და აქ განაგრძო მოღვაწეობა. როგორც ჩანს, რუსუდანი კარგად იცნობდა აღმოსავლურ პოლიტიკას და

პოლიტიკური ინტერესები ჰქონიათ. ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად დააჩქარა კავკასიიდან თურქების განდევნა. ორ ათეულ წელზე მეტხანს ვერ მოხერხდა მუსლიმური სამყაროს გაერთიანება, ეს კი ხელსაყრელი იყო როგორც საქართველოს, ასევე ჯვაროსნებისთვის. 1121 წელს ნეჯმ ად-დინ ილღაზის მიერ მოწყობილი კოალიციური ლაშქრობის დიდგორთან დამარცხებამ მხოლოდ საქართველოს არ მოუტანა შვება, ამან მნიშვნელოვანწილად შეამსუბუქა ჯვაროსანთა მდგომარეობა აღმოსავლეთში. ილღაზმა სახელი „ნეჯმ ად-დინ“ („სარწმუნოების ვარსკვლავი“) დაიმსახურა 1019 წელს მდ. ორონტის ნაპირას ე.წ. „სისხლიან ველზე“ ჯვაროსანი რაინდების დამარცხების შემდეგ. ასეთი მოწინააღმდეგის მოშორება, ბუნებრივია, ჯვაროსანთა უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა. ამდენად, საქართველოსა და ჯვაროსანთა სამხედრო ბლოკს შორის ურთიერთობის პოლიტიკური მიზანი აბსოლუტურად გასაგებია. მათ საერთო მტერი და გეგმები აქვთ აღმოსავლეთში. ამ კონტექსტში სავსებით ლოგიკურად ჯდება იერუსალიმის მეფის ბოლდუინ II-ის საქართველოში ვიზიტი (ბოლ-

ეგვიპტის სულთან სალაჰ ად-დინთან საქართველოს სამეფო კარმა თავდაუსხმელობის ხელშეკრულება დადო

სიმპათიითაც იყო განწყობილი მუსლიმანი მმართველებისადმი. ყოველი შემთხვევისთვის მისი რეგენტობის პერიოდში ქართველებმა ჯვაროსნებსა და მუსლიმანთა შორის დაპირისპირებაში ნეიტრალური მდგომარეობა აირჩიეს. 1185 წელს საქართველოს სამეფო კარმა თავდაუსხმელობის ხელშეკრულება დადო ეგვიპტის სულთან სალაჰ ად-დინთან. ორი წლის შემდეგ სალაჰ ად-დინმა იერუსალიმი წაართვა ჯვაროსნებს. არასწორი საგარეო პოლიტიკის წყალობით, ქართველებმა ფაქტობრივად, ხელი შეუწყვეს აიუბიანელთა სახელმწიფოს არნახულ გაძლიერებას. მცირე ხანში, მახლობელ აღმოსავლეთში საქართველოსა და აიუბიანელთა ინტერესებიც დაუპირისპირდა ერთმანეთს. სამწუხაროდ, ამ დროს უკვე აღმოსავლეთში ჯვაროსნები ანგარიშგასაწევ ძალას აღარ წარმოადგენდნენ.

ეს დანაკლისი საკმაოდ მალე იგრძნეს ქართველმა პოლიტიკოსებმა და უკვე ლაშა-გიორგიმ მჭიდრო კავშირი დაამყარა ჯვაროსნებთან. რომის პაპის ჰონორიუს III-ს თხოვნით საქართველოს მეფეს V ჯვაროსნულ ლაშქრობაში (1219-1221) მონაწილეობა ჰქონდა გადაწყვეტილი. ძირითადი მიზანი ამ

ფილიპე VI — გიორგი ბრწყინვალის თანასწორი პარტნიორი

რომის პაპმა ურბან II-მ ქრისტიანებს ჯვაროსნული ლაშქრობისკენ მოუწოდა...

ლაშქრობისა იერუსალიმის დაბრუნება და მახლობელ აღმოსავლეთში ეგვიპტის სასულთნოს პოზიციების შესუსტება იყო. ამჯერადაც, საქართველოსა და ევროპული კოალიციის ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა, მაგრამ 1220 წელს საქართველოში მონღოლთა შემოსევამ ეს განზრახვა მხოლოდ შეთანხმების დონეზე დატოვა. რუსუდან დედოფალი რომის პაპს ჰონორიუს III-ს წერდა: „დამიეტში მყოფი შენი ლეგატისაგან მივიღეთ შენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რათა ძმა ჩემი ქრისტიანების დასახმარებლად წასულიყო. ეს თავად მისი სურვილიც იყო და წასასვლელადაც ემზადებოდა, მაგრამ, თუ თქვენც გაიგეთ, ჩვენს ქვეყანას ბიწიერ თათართა ტომი შემოესია და მან დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს ხალხს“. ქართველები ასევე აქტიურად ემზადებოდნენ VI ჯვაროსნული ლაშქრობისთვისაც. მაგრამ ამ ლაშქრობის სამზადისი დიდხანს გაჭიანურდა, ამასობაში, საქართველო ჯალალ ედ-დინმა დაიპყრო და ქართველთა საერთო ევროპულ კოალიციაში მონაწილეობა ვერ მოხერხდა.

სტამბოლი ოსმალთა პერიოდში

გიორგი V და ფილიპე VI — თანასწორი პარტნიორები

XIII საუკუნეში მონღოლთა შემოსევებმა საქართველოს აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება შეაფერხა, — მათ შორის ევროპულ სახელმწიფოებთან ურთიერთობები. ქვეყანა საშინაო პრობლემებში ჩაიძირა.

XIV საუკუნეში გიორგი V ბრწყინვალის დროს ვითარება კარდინალურად შეიცვალა და ქართულ-ევროპული ურთიერთობები კვლავ ძველი ტემპით აღდგა. დასავლეთ ევროპის კათოლიკური სამყარო დაინტერესებული იყო აღმოსავლეთში ძლიერი მოკავშირის ყოლით. თავის მხრივ, საქართველოც ცდილობდა სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის შექმნას ევროპულ მონარქიებთან.

რომის პაპმა საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობების დასამყარებლად სმირნადან საეპისკოპოსო კათედრა თბილისში გადმოიტანა.

ამავე პერიოდში საქართველოს მეფე გიორგი V ქრისტიანობის დაცვის მიზნით ევროპის მონარქებს სთავაზობს რეალური კოალიციის შექმნას. ჩვენამდე შემონახულია გიორგი ბრწყინვალის წერილი საფრანგეთის მეფე ფილიპე VI ვალუასადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „საფრანგეთის ღვთაებრივი ხელმწიფენი ხშირად აღძრავენ აღმოსავლეთის მეფეებს სარკინოზთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ საქმე ის არის, რომ შემდეგ ისინი აღარ მოდიან, სტოვებენ რა მათ ამ მტანჯველ ომში მარტოდ.

ამგვარად, გთხოვთ თქვენ დაადგინოთ, როგორ და როდის გადმოლახავთ ზღვას და მყისვე მეც იქ მიხილავთ, თქვენი კეთილი ნების შესაბამისად, 30 ათასი ჯარისკაცით“.

ეს წერილი, მასში გადმოცემული ამბის გარდა, საინტერესოა სტილის თვალსაზრისითაც. აქ არ არის მუდარა, თხოვნა დახმარებისა. მოლაპარაკება თანასწორ პარტნიორებს შორის წარმოებს და გიორგი V-ს საყვედურის ტონიც („საფრანგეთის ღვთაებრივი ხელმწიფენი ხშირად აღძრავენ აღმოსავლეთის მეფეებს... და სტოვებენ მათ ამ მტანჯველ ომში მარტოდ“) ფილიპე VI-სადმი ამითაა ასახსნელი. როგორც ვხედავთ, საქართველოს მეფე რეალურ მოკავშირეობას ითხოვს ევროპული სახელმწიფოებისგან, მაგრამ მალე თვით საფრანგეთი და ინგლისი დაუპირისპირდა ერთმანეთს (ე.წ. ასწლიანი ომი) და დასავლეთ ევროპისათვის აღმოსავლეთის პოლიტიკამ მეორე პლანზე გადაინაცვლა.

ანტიოსმალურ კოალიციაში

ევროპის ქვეყნებისა და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის აუცილებლობა კიდევ ერთხელ დადგა 1453 წელს თურქ-ოსმალთაგან კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ. ევროპამ რეალურად იგრძნო ოსმალთა საფრთხის მოახლოება და ამიტომაც, რომის პაპის ინიციატივით დაიწყო მძლავრი ანტიოსმალური კოალიციის შექმნა. თავის მხრივ, ქართველებსაც კონკრეტული მიზნები ამოძრავებდათ. კონსტანტინოპ-

ოლის აღების შემდეგ ჩაიკეტა ის უმთავრესი გზა, რომლითაც საქართველო ევროპულ ცივილიზაციას უკავშირდებოდა. 1456 წელს საქართველოში ჩამოდის ცნობილი დიპლომატი ლუდოვიკო ბოლონიელი, რომლის მიზანი იყო დაერწმუნებინა აღმოსავლეთის მონარქები ჩაბმულიყვნენ ანტიოსმალურ კოალიციაში. პარალელურად რომის პაპი პიუს II ცდილობდა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა საერთო ევროპულ პრობლემად ექცია. მან 1459 წელს მანტუას კონგრესიც მოიწვია, რომელზეც ყველა დიდი სახელმწიფოს ხელისუფალთ მოუწოდა დასწრება. საფრანგეთის მეფეს საგანგებოდ ოქროს ვარდიც კი გაუგზავნა და „უქრისტიანესის“ ტიტულით დააჯილდოვა. ამავე პერიოდში საქართველოში ხელახლა ჩამოდის ლუდოვიკო ბოლონიელი, რომელსაც საქართველოს მეფე გიორგი VIII-მ თავისი ელჩი ნიკოლოზ თბილელი გააყოლა ევროპაში. ანტიოსმალურ კოალიციაში აქტიურად მონაწილეობს სამცხის ათაბაგი ყვარყვარე II-ც. ქართველი ელჩები არა მარტო რომის პაპის, არამედ სხვა ევროპელი მონარქების წინაშეც წარდგნენ, მაგრამ საერთო ევროპული კოალიციის შექმნა ამ ეტაპზე მაინც ვერ მოხერხდა. საქართველო მარტო აღმოჩნდა ოსმალთა და სეფიანთა ირანის წინაშე.

სულხან-საბა სწორედ ლუი XIV-სთან შეხვდა „მეთხუთმეტე კაცად“

ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანი

შუა საუკუნეებში დასავლური ცივილიზაცია ზოგადად წარმოდგენილი იყო ქრისტიანულ სამყაროდ. რელიგიურმა ფაქტორმა მართლაც დიდი როლი ითამაშა ევროპის, როგორც ერთიანი გეოკულტურული სივრცის ფორმირებაში. ქართველთა სწრაფვა ევროპისაკენ განპირობებული იყო სულიერი სიახლოვით. გვიან შუა საუკუნეებში, მუსლიმანური სახელმწიფოების გარემოცვაში მოქცეული ქართველები ამ სივრცეში ეძებდნენ თავისი ეროვნული უსაფრთხოების გარანტს.

XV საუკუნიდან საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ კავშირები ევროპასთან არ შეწყვეტილა, მაგრამ უკვე ამ-იერიდან მოლაპარაკებები არათანასწორ პარტნიორებს შორის წარმოებდა. ქართველები ძირითადად დახმარებას ითხოვდნენ. მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც შორეული აღმოსავლეთიდან – საქართველოდან ევროპას სწვდებოდა საერთო სამხედრო პოლიტიკური კოალიციის შექმნის მოწოდების ხმა. ქართლის მეფე სიმონ I ესპანეთის მეფე ფილიპე II-ს სწერდა: „გევედრები და გემუდარები, მიშუამდგომლე მისი უდიდებულესობის, კეისარ იმპერატორის წინაშე, რათა მან მშვიდობა არ დაამყაროს თურქებთან, რომ ამან არ შეძლოს შეავიწროვოს ჩვენი ერი და ყველა ქრისტიანი“.

იგივე სიმონ I რომის პაპს სთხოვდა: „შეავგულიანოთ ქრისტიანი მეფეები და ხელმწიფეები, ჩვენი ქრისტესმიერი შვილები, გამოვიდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ“. თუ გავითვალიოსწინებთ XVI საუკუნეში საქართველოში არსებულ პოლიტიკურ რეალობას, ადვილი მისახვედრია, თუ რა განწირულად ევედრებიდა სიმონ I ევროპას დახმარებას. საქართველო ორი უდიდესი იმპერიის წინაშე მარტო დარჩენილიყო. 1578 წელს ოსმალთა დიდვეზირის ლალ მუსტაფა ფაშას დაპყრობითი ლაშქრობის შემდეგ კავკასიის დიდი ნაწილი თურქეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

სიმონ I ზუსტად ხვდებოდა სად იყო გამოსავალი ამ სიტუაციიდან. იმ შემთხვევაში თუ ევროპის სახელმწიფოები ოსმალეთთან დაპირისპირებას დაიწყებდნენ, საქართველოს განთავისუფლების იმედი შეიძლება გასჩენოდა, მაგრამ თუ რეალურად შევაფასებთ იმდროიდელ საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებას, სიმონ I-ის ეს წინადადება უფრო რომანტიკულ ელფერს ტოვებს. ასევე უშედეგოდ დასრულდა ევროპისაგან დახმარების იმედად ჩასული სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა. საფრანგეთის მეფის კარზე ერთადერთი, რაც დიდხანს ახსოვდათ ქართველი დიპლომატის ვიზიტიდან, იყო მოსწრებული ნათქვამი ლუი XIV-სადმი. აუდიენციისას, როდესაც სულხან-საბამ მიულოცა საფრანგეთის მეფეს გამოჯანმრთელება, „მეფე მზემ“ უპასუხა, — ადვილი საქმე არ არის სამოც წელს გადასცილდეო.

— ხელმწიფევ, თქვენი უდიდებულესობა ისე მოხდენილად ატარებს ამ ასაკს, რომ ყველა ისურვებდა ამ თქვენ ასაკში ყოფნასო, — უპასუხა სულხან-საბა ორბელიანმა. მხოლოდ ამ ერთი მოსწრებული პასუხის გამო კარგა ხანს ახსოვდათ ლუვრში ქართველი ელჩი. ხოლო ის, რის სათხოვნელადაც ჩავიდა ქართველი ელჩი, ადვილად დაივიწყეს საფრანგეთის მეფის კარზე.

როგორ დაუდგა რუსეთი საქართველოს ფარად(?!)

XVIII საუკუნეში კავკასიის პოლიტიკაში თანდათან აქტიურად ერევა მესამე სახელმწიფო რუსეთის სახით. ქართველთა დაახლოება რუსეთთან სწორედ იმ სურვილმა განაპირობა, რომ ამ გზით ჩვენ საერთო ევროპულ სივრცეში დავბრუნდებოდით. ამასთანავე ქართული პოლიტიკური ერთეულები ეროვნული უსაფრთხოების მყარ გარანტს ეძებდნენ. თითქოს პირველ ეტაპზე ისეთი პირი უჩანდა, რომ რუსეთი საქართველოს ფარად დაუდგებოდა და ჩვენი ეროვნული ინტერესების დამცველად იქცეოდა, თავის მხრივ, საქართველოც სთავაზობდა რუსეთს მოკავშირეობას და საერთო მტრის, ირანისა თუ ოსმალეთის წინააღმდეგ სამხედრო დახმარებას აღუთქვამდა.

1783 წელს ერეკლე II-ის მიერ რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმება იყო გარეშე ძალის დახმარებით ირან-ოსმალეთის აგრესიის შეჩერების მცდელობა. ტრაქტატში ცალსახად გამოიკვეთა მხარეთა ვალდებულებები — ქართლ-კახეთში უნდა მდგარიყო ორი სრული ბატალიონი, ოთხი ზარბაზნით. მათი შენახვის ხარჯებს ერეკლე II კისრულობდა. მაგრამ მალე პროცესები სხვაგვარად განვითარდა — რუსეთმა XVIII საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს უკვე ფაქტობრივად უარი თქვა ტრაქტატის შესრულებაზე. პეტერბურგში ქართლ-კახეთის დაპყრობის გეგმა შეიმუშავეს და 1800 წელს გარდაცვლილი გიორ-

გეორგიევსკის ტრაქტატი

გი XII-ს შემდეგ ახალი მეფე კი არ დაამტკიცეს, როგორც ეს ტრაქტატით იყო განსაზღვრული, არამედ საერთოდ გააუქმეს მეფობა ქართლ-კახეთში. მცირე ხნის შემდეგ იგივე ბედი გაიზიარა იმერეთმა და სხვა ქართულმა სამეფო-სამთავროებმაც.

ეპილოგის მაგივრ...

ზემოთ თქმული მოკლედ რომ შევაჯამოთ, ასეთ სურათს მივიღებთ: საქართველო-ევროპის ურთიერთობაში რამდენიმე ეტაპი გამოიყოფა: პირველი, როდესაც საქართველოს სამეფო კარი უშუალოდ თანასწორ კავშირ-ურთიერთობაში იყო ევროპულ მონარქიებთან და საერთო ევროპულ სამხედრო ბლოკებში მონაწილეობდა. ძირითადად ეს ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობის პერიოდია, როდესაც მსოფლიოში საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი მაღალია. მეორე ფორმა ასე გამოიყურებოდა – ქართველები ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობას ახორციელებდნენ მესამე სახელმწიფოს მეშვეობით – რომის, ბიზანტიის, რუსეთის... შუამავლობით. მესამე ვარიანტი კი ქართული სახელმწიფოსთვის ყველაზე დამამცირებელი და ჩიხში მომქცევი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ ევროპულ სახელმწიფოებთან დაკავშირებას, ეს უკანასკნელნი არავითარ ქმედით ნაბიჯს არ დგამდნენ. ამ ვითარებაში, ოსმალეთსა და ირანს შორის განაწილებულ საქართველოს, მესამე სახელმწიფოც არ ეგულებოდა, რომელიც ევროპასთან დაახლოებაში დაეხმარებოდა. საერთო ევროპულ ოჯახში ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციის პერსპექტივა 1918-1921 წლებშიც არსებობდა. თუმცაღა, ბოლშევიკურმა რუსეთმა ჩაშალა ეს სწრაფვა.

ყოველივე ამას თუ გავითვალისწინებთ, ნათელია, რომ თანამედროვე სწრაფვა ევროსტრუქტურებისაკენ, ეს არის მცდელობა — საქართველო დაბრუნდეს თავის ბუნებრივ გარემოში. ■

ტერორიზმის ევოლუცია

ღირდა კი დანაკარგზე ფიქრი, როცა „უესტი ლამაზი იყო“...

ისტორიას ზუსტად არ აღუნუსხავს, როდის მოხდა პირველი ტერორისტული აქტი, მაგრამ ტრაგიკული დიდებულებით აღბეჭდა მსოფლიოში ტერორიზმის პირველი კლასიკური ნიმუში — გაიუს იულიუს კეისრის მკვლელობა. ეს მოხდა ძვ.წ. 44 წლის 15 მარტს. ტერორიზმის სათავეებთან მარკუს იუნიუს ბრუტუსი იდგა. სწორედ ის გახლდათ კეისრის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ორგანიზატორი და ერთ-ერთი მკვლელთ-აგანი. მას შემდეგ ტერორისტთა ხელმა მრავალი მეფის, იმპერატორის, დამპყრობელი მხედართმთავრისა თუ სასტიკი მაღალჩინოსნის სიცოცხლე შეიწირა. ტერორის მსხვერპლთა შორის იყვნენ ეროვნული თუ სოციალური თავისუფლებისთვის მებრძოლნიც, დიდი საზოგადო თუ კულტურის მოღვაწენიც.

ტერორიზმის მიზეზი სხვადასხვა სახის სოციალური, ეროვნული თუ პოლიტიკური უსამართლობა გახლდათ. მას განაპირობებდა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი სისტემა, ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის დაპყრობა. ტერორი ხშირად დამპყრობელთა მიერ დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა წინააღმდეგ იყო მიმართული. 554 წელს ბიზანტიელმა სტრატეგებმა მოკლეს ლაზთა თავისუფლებისთვის მებრძოლი მეფე გუბაზი. ეს ნამდვილი ტერორისტული აქტი იყო.

ტერორის არსი ძალადობის საშუალებით მოწინააღმდეგეთა დაშინება-ლიკვიდირებაა. მას საფუძვლად უდევს ილუზია, რომ ტერორიზმის საშუალებით შესაძლებელია დიდი სოციალურ-პოლიტიკური იდეალების განხორციელება ან პოლიტიკური მიზანდასახულობის მიღწევა.

შუა საუკუნეებში ტერორს ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა. XI-XIII საუკუნეებში განსაკუთრებით შიშის ზარს სცემდნენ აზიისა თუ ევროპის მბრძანებლებს ასასინთა ორდენის წევრები, რომლებიც საგანგებოდ იწვრთნებოდნენ. ასასინთა ბრძოლის ძირითადი მეთოდი იყო ტერორისტული აქტები, რომელთა შესრულება ევალებოდათ ფიდაიებს. არაბულ ენაზე „ფიდაი“ ნიშნავს მებრძოლს, ვინც თავს



იულიუს კეისრის მკვლელობა

ყველაზე ხშირად ტერორს ანარქისტები მიმართავდნენ. იტალიაში ანარქისტებმა წამოაყენეს ლოზუნგი „პროპაგანდა მოქმედებაში“. ისინი ხელთ იგდებდნენ პატარა ქალაქებს, ცეცხლს უკიდებდნენ მემამულეთა სახლ-კარს და ცდილობდნენ ხალხიც რევოლუციისთვის განეწყოთ.

სწირავს. ასასინების ცენტრს ალამუთის ციხე წარმოადგენდა. 1256 წელს მონღოლებმა ალამუთი აიღეს და ორდენმა მალე არსებობა შეწყვიტა. შუა საუკუნეებში ტერორისტებს ემსხვერპლა ევროპის რამდენიმე მონარქი. საქართველოს ისტორიაში მოგვეპოვება ფაქტი, როდესაც ტერორისტის მახვილს შეეწირა სამეფო ოჯახის წარმომადგენელი.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში სამხრეთ იტალიაში იქმნება კარბონარების საიდუმლო ორგანიზაციები, რომელნიც ტერორის გზით იბრძოდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ევროპის ქვეყნების მონარქებისა და დიდმოხელეთა წინააღმდეგ რამდენიმე ათეული ტერორისტული აქტი განხორციელდა, რომელთაც ემსხვერპლნენ: საფრანგეთის ბურბონთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი — ბერიის პრინცი; რეაქციონერი მწერალი კოცებუ (1819); ფერდინანდ III ნეაპოლიტანელი (1854); ესპანეთის დედოფალი იზაბელა(1856); მიხეილ III სერბიელი და სხვ.

„ტირანთმკვლელობის“ იდეა განსაკუთრებით პოპულარული გახდა ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქაში. მწერლები, ხელოვნები და ინტელექტუალური წრეები თითქოს მოქმედებისთვის მოუწოდებდნენ რევოლუციონერებს მრავალრიცხოვან მიტინგებზე. საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ III-ს წინააღმდეგ დაუფარავად მოუწოდებდა ჟურნალ „ლანტერნეს“ რადიკალი რედაქტორი, ნიკო ნიკოლაძის ფრანგი მეგობარი — ანრი როშფორი. ინტელექტუალთა ერთ-ერთ კრებაზე პუბლიცისტმა ფელიქს პიამ შესვა „იმ ტყვიის“ სადღეგრძელო, რომლითაც მოკლავდნენ ნაპოლეონ III-ს. მასვე ეკუთვნოდა ცნობილი რიტორიკული კითხვა: „შეიძლება თუ არა მკვლელის მოკვლა, თუ მკვლელი იმპერატორია?“

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ევროპის ქვეყნებში დაიწყო ყველაზე ორგანიზებული და სისტემური ტერორიზმის ხანა, რომელიც 1917 წლამდე გაგრძელდა. ტერორიზმის ისტორიისათვის ეს პერიოდი „კლასიკური ხანა“ იყო. ყველაზე ხშირად ტერორს ანარქისტები მიმართავდნენ. იტალიაში ანარქისტებმა წამოაყენეს ლოზუნგი „პროპაგანდა მოქმედებაში“. ისინი ხელთ იგდებდნენ პატარა ქალაქებს, ცეცხლს უკიდებდნენ მემამულეთა სახლ-კარს და ცდილობდნენ ხალხიც რევოლუციისთვის განეწყოთ. 1898 წელს ანარქისტებმა მოკლეს ავსტრიის დედოფალი ელიზავეტა, ხოლო 1900 წელს ბრეშის მსხვერპლი გახდა იტალიის მეფე უმბერტო.

ევროპაში ტერორიზმის ბუმს დიდად შეუწყო ხელი 1881 წელს ლონდონში გამართულმა ანარქისტთა კონგრესმა, რომელმაც ტერორი რევოლუციური ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად გამოაცხადა.

აშშ-ის პრეზიდენტის, ჯეიმს აბრამ გარფილდის მკვლელობა

აშშ-ის პრეზიდენტის, უილიამ მაკ-კინლის მკვლელობა

რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II

1882 წელს ტერორისტებმა ლიონის თეატრ „ბელკურში“ კაფე ააფეთქეს. საფრანგეთის ხელისუფლებამ ეჭვი ანარქისტებზე მიიტანა და მათი რამდენიმე ათეული თავკაცი დააპატიმრა. დაპატიმრებულთა შორის ტერორის მოწინააღმდეგენი სჭარბობდნენ: მაგალითად, რუსი პეტრე კროპოტკინი, ფრანგი კომუნარი და „მონმარტრის წითელი ქალიშვილი“ — ლუიზა მიშელი და სხვ. მათმა ქართველმა თანამებრძოლმა ვარლამ ჩერქეზიშვილმა გაუჩინარება მოასწრო და ექვსი წელი ემალებოდა ევროპის მთავრობებს.

მკაცრმა რეპრესიებმა ანარქისტული ტერორის აღმავლობა გამოიწვია. 1892 წელს რევაშოლმა პარიზში სამი აფეთქება განახორციელა. 1893 წელს ვაიანმა ბურბონთა სასახლეში ისროლა ბომბი, სადაც დეპუტატთა პალატის სხდომა მიმდინარეობდა, თუმცა არავინ დაშავებულა. 1896 წელს ანარქისტმა კაზერიომ საფრანგეთის პრეზიდენტი კარნო მოკლა. ალბერ კამიუს ცნობით, მარტო 1892 წელს ევროპაში 1000-ზე მეტი ტერორისტული აქტი განხორციელდა, აშშ-ში — 500.

პარადოქსი იყო, რომ ევროპული საზოგადოების დიდი ნაწილი ანარქისტებს თანაუგრძნობდა. მათ დითირამბებს უძღვნიდა არტურ რემბო. რევაშოლის შესახებ პარიზის ქუჩებში მღეროდნენ, ხოლო პოეტი ლორან ტაიადი ვაიანის მიერ განხორციელებული ტერაქტის შემდეგ წერდა: „ღირს კი ფიქრი მსხვერპლის შესახებ, როცა ჟესტი ლამაზია?“ მოგვიანებით კი, როცა ტერორისტებმა რესტორან „ფუაიოში“ აფეთქება მოაწყვეს, იქ მყოფმა ლორან ტაიადმა ცალი თვალი დაკარგა, მაგრამ ღირდა კი დანაკარგზე ფიქრი, როცა „ჟესტი ლამაზი იყო“.

ესპანეთში ანარქისტები განუსაზღვრელი გავლენით სარგებლობდნენ, მეტიც, სახალხო შურისმგებლებად ითვლებოდნენ. ალბათ იმიტომ, რომ ტერორისტთა მსხვერპლნი იქ სისასტიკით გამორჩეული სახელმწიფო მეთაურები იყვნენ. მაგალითად, 1893 წელს მოკლეს რეაქციონერი გენერალი კამპოსა, ხოლო 1897 წელს — ქვეყნის პრემიერ-მინისტრი კანოვა. აშშ-ში ტერორისტულ აქტებს ქვეყნის ორი პრეზიდენტი შეეწირა — ჯეიმს აბრამ გარფილდი (1881 წ.) და უილიამ მაკ-კინლი (1901 წ.).

ამერიკელი პოლიტოლოგი რიჩარდ პაიპსი და არა მარტო ის, თანამედროვე ტერორიზმის უშუალო საწყისად მიიჩნევს 1879 წელს,

რუსეთის დიდი მთავრის, სერგეი ალექსანდრეს ძის ჯურვისგან დამტვრეული ეტლი

როცა რუსეთში შეიქმნა ხალხოსნური ტერორისტული ორგანიზაცია „ნაროდნაია ვოლია“. ნაროდოვოლებმა თავიანთ უმთავრეს მიზნად იმპერატორის მკვლელობა დაისახეს და ნამდვილი ნადირობა გააჩაღეს მის წინააღმდეგ. ათი უშედეგო მცდელობის შემდეგ 1881 წლის პირველ მარტს ნაროდოვოლებმა მოკლეს რუსეთის „მეფე-განმათავისუფლებელი“ — ალექსანდრე II.

ხალხოსანთა ტერორისტული მემკვიდრეობა XX საუკუნის დასაწყისში გააგრძელეს რუსმა ესერებმა (სოციალისტ-რევოლუციონერებმა). 1901 წელს წარმოქმნილმა რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ თავისი საქმიანობის პრიორიტეტად ტერორი გამოაცხადა. ესერებმა ასობით ტერორისტული აქტი განახორციელეს. მათ მსხვერპლთა შორის იყვნენ: დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე; შინაგან საქმეთა მინისტრები სიპიაგინი და პლევე; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სტოლიპინი, გერმანიის ელჩი საბჭოთა რუსეთში — მირბახი... ესერი ქალის — ფანი კაპლანის მსხვერპლი კი ლამის ლენინიც აღმოჩნდა.

> ***ნაროდოვოლებმა თავიანთ უმთავრეს მიზნად იმპერატორის მკვლელობა დაისახეს და ნამდვილი ნადირობა გააჩაღეს მის წინააღმდეგ. ათი უშედეგო მცდელობის შემდეგ 1881 წლის პირველ მარტს ნაროდოვოლებმა მოკლეს რუსეთის „მეფე-განმათავისუფლებელი“ — ალექსანდრე II.***

ხშირად თვით რევოლუციური პარტიები ქმნიდნენ საიდუმლო პოლიციის საწინააღმდეგო სტრუქტურებს, რათა გაენეიტრალებინათ ამ უკანასკნელის მიერ რევოლუციონერთა მიმართ განსახორციელებელი რეპრესიები. 1890-იან წლებში დასავლეთ ევროპაში მოქმედი რუსეთის იმპერიის სპეცსამსახურები ნიკოლოზ II-ს მოახსენებდნენ, რომ ემიგრაციაში მყოფი „ცნობილი თავადების კრო-

რუსეთის იმპერიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პეტრე სტოლიპინი

პოტკინისა და ჩერქეზოვის (ვარლამ ჩერქეზიშვილის) ინიციატივით ლონდონში შეიქმნა პოლიციის საწინააღმდეგო ინტერნაციონალური ლიგა... ამჟამად ლიგის ხელმძღვანელთა შორის არიან თომას მანი, ჩაიკოვსკი, ვოლხოვსკი (რუსი ემიგრანტი-რევოლუციონერები) და მრავალი ინგლისელი სოციალისტი, ხოლო საზოგადოების თავმჯდომარედ ფიქრობენ რომელიმე გამოჩენილი ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწის არჩევას. ლიგას აქვს საიდუმლო განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობენ კროპოტკინი, ჩერქეზოვი, რეკლიუ და სხვა უცხოელი ანარქისტები. მათი მიზანია საიდუმლო სამსახურებთან და საიდუმლო პოლიციასთან აქტიური ბრძოლის წარმოება“.

ერთხანს რევოლუციური ტერორი რუსეთიდან საქართველოშიც აიტაცეს. აქ მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს: სოციალ-დემოკრატებს, სოციალისტ-ფედერალისტებს, ესერებსა თუ ანარქისტებს საკუთარი „მებრძოლი დრუჟინები“ ჰყავდათ. რევოლუციონერები ტერორით უმასპინძლდებოდნენ მეფის ადმინისტრაციის განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეულ მოხელეებს. 1906 წლის იანვარში სოციალ-დემოკრატებმა მოკლეს კავკასიის რუსული ჯარების შტაბის უფროსი გენერალი გრიაზნოვი. 1908 წელს მოკლეს საქართველოს ეგზარქოსი ნიკონი, რაშიც მეფის ჟანდარმერია სოციალისტ-ფედერალისტებს სდებდა ბრალს. სოციალისტ-ფედერალისტებმა 1905 წლის ნოემბერში ევროპიდან 7 000 თოფი და დიდძალი ტყვია-წამალი შემოიტანეს საქართველოში. ქუთაისში ადგილობრივმა ტერორისტებმა უშედეგოდ სცადეს დასავლეთ საქართველოს ამკლები გენერლის ალიხანოვ-ავარსკის მოკვლა, თუმცა მეფის გენერალი მაინც ვერ ასცდა რევოლუციონერთა განაჩენს — იგი ერევანში მოკლეს სომეხმა დაშნაკებმა.

1906 წლის 4 ივლისს საქართველოში მოქმედმა ესერებმა თავდასხმა მოაწყვეს თბილისის პოლიცმაისტერ მარტინოვზე. ხელისუფლებას ეგონა, რომ ტერორისტები ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები იყვნენ. ტერორისტული აქტის შემდეგ კაზაკები სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში შეცვივდნენ და მოკლეს ცნობილი პედაგოგი და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი შიო ჩიტაძე. ამის შემდეგ ესერებმა ტერაქტზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღეს და ქალაქში პროკლამაცია გაავრცელეს, რომელიც სხვათა შორის იუწყებოდა: „დაე იცოდნენ ყველა უფროსებმა, რომ მათი თვითნებობა დაუსჯელი არ დარჩება, რომ რევოლუციონერთა ბომბი დაეწევა მათ იმ დროს, როცა ამას პარტია საჭიროდ მიიჩნევს“.

1917 წელს პირველი მსოფლიო ომით გატანჯულ ევროპას რევოლუციათა ტალღამ გადაუარა. რამდენიმე მონარქია დაემხო. როგორც გალაკტიონი იტყოდა „ტახტებს მოსცილდნენ ვილჰელმი, კარლოს, / ნიკოლოზი და ფერდინანდი“. ასეა თუ ისე, XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის პერიოდის ტერორიზმი რევოლუციური მოძრაობის ნაწილს წარმოადგენდა და სოციალურ-პოლიტიკური უსამართლობით იყო განპირობებული. ამიტომ დაჰკრავდა ამ ეპოქის ტერორიზმს რომანტიკული ელფერი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ბუბა ხუდავა: უძველესი ხელნაწერი ჩემმა თაობამ პირველად სტუდენტობისას ნახა...

„ჩვენი საზოგადოება უკვე გამოდის იმ სტერეოტიპის ტყვეობიდან, რომ მუზეუმი მოსაწყენი დაწესებულებაა, სადაც ექსპონატები ათეულობით წლების განმავლობაში ერთ ადგილას დევს“.



მდიდრულად ილუსტრირებული უნიკალური ხელნაწერები, ძველნაბეჭდი და რარიტეტული გამოცემები, მემორიალური ნივთები, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივები, საქართველოსა და საზღვარგარეთის სიძველეთსაცავებსა და კერძო კოლექციებში დაცულ ქართულ და უცხოენოვან ხელნაწერთა და ისტორიულ დოკუმენტთა ფოტოასლები და მიკროფირები — ეს ყველაფერი და ქართული კულტურისა თუ ისტორიის უმნიშვნელოვანესი სხვა არაერთი საგანძური ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული.

უძველესი ხელნაწერი წიგნებისა და ისტორიული საბუთების საცავი 1958 წლის 30 ივნისს პროფესორ ილია აბულაძის ინიციატივით დაარსდა. აქ დაცული უნიკალური კოლექცია მრავალ სფეროს მოიცავს — ისტორიას, გეოგრაფიას, მოგზაურობას, სამართალს, ლექსიკონებს, სამკურნალო წიგნებს, მხატვრულ ლიტერატურას, ბიბლიურ ტექსტებს, ჰაგიოგრაფიას, საეკლესიო სამართალს, ფილოსოფიას, ასტროლოგიას, მათემატიკას, სამხედრო საქმეს და სხვ.

საქართველოს მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი ელენე მეტრეველი 1974 წ.

აქვე ინახება ათონის ივერთა მონასტრის, სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტრისა და იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ქართულ ხელნაწერთა ფოტოპირები, პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ (1629), ვახტანგ VI-ს სტამბაში დაბეჭდილი სახარება (1709) და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემა (1712).

ვესაუბრებით ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორს, ისტორიის დოქტორს, პროფესორ **ბუბა კუდავას**:

— იცვლება დრო და იცვლება მოთხოვნებიც. ოთხი წლის წინ ქვეყანაში სამეცნიერო დაწესებულებათა რეორგანიზაცია დაიწყო. რეფორმას მნიშვნელოვანი დაფინანსება სჭირდებოდა, რესურსი კი საკმარისი არ იყო. რეფორმის ნაწილი იყო შტატების შემცირებაც. ბევრგან შტატები შეიძლება მართლაც ხელოვნურად იყო გაზრდილი, მაგრამ ჩვენთან ასეთი ვითარება ნამდვილად არ გახლდათ და დამატებითი ზომების მიღება მოგვიხდა გამოცდილი კადრების მაქსიმალურად შესანარჩუნებლად. შემოვიღეთ აკადემიური სტიპენდია, რომელიც გაცილებით აღემატებოდა თანამშრომელთა ხელფასს. პრობლემა გახლდათ ის, რომ თანამშრომელთა უმეტესობა საპენსიო ასაკს, 60-65 წელს ზემოთ გახლდათ. რეორგანიზაციის შედეგად მეტ-ნაკლებად შევძელით და აღვადგინეთ ბალანსი თაობათა შორის, თუმცა არა ძველი, კვალიფიციური თანამშრომლების ხარჯზე. ეს საუკეთესო საშუალებაა ახალი თაობის აღსაზრდელად. ახალგაზრდამ უნივერსიტეტში რაც უნდა ღრმა განათლება მიიღოს, პრაქტიკული გამოცდილება მაინც სულ სხვაა.

გადავწყვიტეთ, მეტი ყურადღება დავუთმოთ საგამოფენო საქმეს, რესტავრაცია-კონსერვაციას, წყაროთმცოდნეობას და სხვ. პოსტსაბჭოთა პერიოდში ამ მიმართულებით თითქმის არაფერი კეთდებოდა. ნაკლები ყურადღება ექცეოდა საზოგადოებასთან ურთიერთობას. უნიკალურ საგანძურს რომ ვიცავთ, ეს თავისთავად კარგია, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი სწორედ ამისთვის შეიქმნა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ ყველაფრის საზოგადოებამდე მიტანა. მით უფრო, რომ დღითი დღე იზრდება ინტერესი უძველესი ხელნაწერებისადმი.

— საცავში განთავსებული უნიკალური ექსპონატების უმეტესობა საბჭოთა პერიოდში საზოგადოებისთვის მიუწვდომელი იყო...

— ამ სახის დაწესებულებები მართლაც მაქსიმალურად ჩაკეტილი იყო. ეს სტერეოტიპი ჩვენი საზოგადოების ნაწილში, მათ შორის სამეცნიეროშიც, დღესაც არსებობს. ბევრი

ფიქრობს, რომ კოლექციაზე ზრუნვა მის მაქსიმალურ ხელშეუხებლობასა და ჩაკეტილობას ნიშნავს, რაც არ არის მართებული. თუმცა კი საბჭოთა პერიოდის ამგვარ „ჩაკეტილობას“ დადებითი ასპექტიც ჰქონდა და ბევრი რამ ამის წყალობით გადარჩა. რთული პერიოდი იყო, საკუთარი თავის პატრონი შენ არ იყავი და რა ბედი ელოდა შენს კოლექციას, კაცმა არ იცოდა.

დღეს კი ჩვენი საზოგადოება უკვე გამოდის იმ სტერეოტიპის ტყვეობიდან, რომ მუზეუმი მოსაწყენი დაწესებულებაა, სადაც ექსპონატები ათეულობით წლების განმავლობაში ერთ ადგილას დევს და არაფერი იცვლება.

ხელნაწერი ჩემმა თაობამ, მათ შორის მეც, პირველად, სამწუხაროდ, სტუდენტობისას ნახა. არადა, ამგვარ ფასეულობებს გაცილებით ადრე, სკოლაში სწავლისას უნდა ეცნობოდე. როცა ქართულ ჰაგიოგრაფიასა და „ვეფხისტყაოსანს“ სწავლობ, მაგრამ თვალით არ გინახავს და წარმოდგენა არა გაქვს, როგორ გამოიყურება ხელნაწერები, რომელთაც ეს ძეგლები ჩვენამდე მოიტანა, მაშინ შენი განათლება ვერ იქნება სრულყოფილი...

— რა ტიპის მასალები და კოლექციებია დაცული ეროვნულ ცენტრში?

— ეს გახლავთ ხელნაწერი წიგნები, ისტორიული მასალები, პირადი არქივები, განსაკუთრებული მნიშვნელობის გამოცემები... ასევე ჩვენთვის საინტერესო იმ მასალების ასლები, რომელთა ორიგინალები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშია დაცული.

რაც შეეხება წიგნებს, ჩვენთან დაახლოებით ათი ათასამდე ქართული, ხოლო ხუთი ათასამდე უცხოური ხელნაწერია. ასევე დაცულია ორმოცი ათასამდე ქართული და ხუთი ათასამდე უცხოური ისტორიული დოკუმენტი, ორასამდე მოღვაწის პირადი არქივი სრულად ან ნაწილობრივ.

შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის მწიგნობრული მემკვიდრეობის დაახლოებით 90 პროცენტი ჩვენს ცენტრშია თავმოყრილი. დანარჩენი კი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ან უცხოეთშია, მათ შორის სამონასტრო ცენტრებში, მცირე ნაწილი ბიბლიოთეკებშია გაბნეული.

— რა პერიოდს მოიცავს ისტორიული დოკუმენტები?

— ძირითადად V-XIX საუკუნეებს. ჩვენთან ინახება ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ივანე ჯავახიშვილის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვათა არქივები. ჩვენი ცენტრი ხომ იმისთვის არსებობს, რათა მაქსიმალურად დაიცვას, მოუაროს და შეისწავლოს ეს კოლექციები.

ილია აბულაძე და ელენე მაჭავარიანი

— რამდენად რთული და შრომატევადია ამ კოლექციების მოვლა?

— ეს დაუსრულებელი და ამოუწურავი პროცესია. სიძველეთა საცავში ვერასოდეს იტყვი, რომ უკვე ყველაფერი გაკეთდა. თითოეული ექსპონატის მოვლა-პატრონობა საკმაოდ ძვირად ღირებული სამუშაოა. ამასთან, დროის სვლასთან ერთად ყველაფერს სჭირდება განახლება. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს დაწესებულებას არასოდეს ჰქონდა მისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ადეკვატური ბიუჯეტი...

— ალბათ არც ისე იაფი ჯდება ამა თუ იმ ექსპონატის რესტავრაცია?

— ზოგიერთ სარესტავრაციო პროექტს შეიძლება ასეულ ათასობით ლარიც დასჭირდეს. ამდენად, ბუნებრივია, დახმარება გვჭირდება. ამ მიზნით უძველეს ქართულ ხელნაწერთა ბედით დაინტერესებული ბიზნესისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლები, ასევე პოლიტიკოსები აპირებენ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოების დაფუძნებას.

— როგორ მიმდინარეობს საცავების შევსება ექსპონატებით?

— ჩვენთან დაცული მასალები სამ ძირითად

ბერთის XII საუკუნის ოთხთავის გარეკანი. ბეშქენ ოპიზარის ოქრომჭედლობა

კოლექციას ეფუძნება: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საეკლესიო მუზეუმისა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა. ჩვენი კოლექციების შევსების ისტორიას თუ თვალს გადავავლებთ, აღმოვაჩენთ, რომ ხელნაწერები, ძირითადად, შემოწირულობათა ხარჯზეა შეგროვებული. რა თქმა უნდა, იყო შემთხვევები, როდესაც ყიდულობდნენ ამ სიძველეებს, მაგრამ ყველაფერს ვერ გასწვდები. მადლობა ღმერთს, ბევრი ჩვენი თანამემამულე უსასყიდლოდ გადმოგვცემს პირად, საოჯახო რელიკვიას ან თავიანთ შეძენილს.

ჩვენთან ხშირად მოაქვთ შესაძენად ხელნაწერები, ისტორიული დოკუმენტები თუ საარქივო მასალა. ერთ ასეთ შემთხვევას გავიხსენებ: სომხეთის ერთ-ერთმა მოქალაქემ თამარის ეპოქის ხელნაწერი შემოგვთავაზა, შეიძინეთო. ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ ეს ხელნაწერი თამარის ეპოქისა ვერ იქნებოდა. მაგრამ მაინც დავინტერესდით და ნიმუშის სახით რამდენიმე გვერდის ასლის გამოგზავნა ვთხოვეთ. მათი გაცნობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ საქმე გვქონდა XVIII საუკუნის ასტრონომიულ-ასტროლოგიური ხასიათის ხელნაწერთან. რეალურ ღირებულებაზე მეტი თანხა შევთავაზეთ (თუმცა ეს თანხაც უნდა მოგვეძიებინა), მაგრამ ხელნაწერის მფლობელი მთელი ორი წელი აღარ გამოჩენილა. მერე კი გვითხრა, რომ ჩვენს შეთავაზებულ თანხაზე თანახმა იყო. თავიდან დავიწყეთ სპონსორის ძებნა. ერთ-ერთ ჩვენს გულშემატკივარს ამ თანხის დაფარვა მხოლოდ ნაწილ-ნაწილ შეეძლო. მშველელად მისივე მეგობარი მოგვევლინა. მათ არა მხოლოდ შეისყიდეს ეს ხელნაწერი, სომხეთიდან მის ჩამოტანაზეც თავად იზრუნეს...

იყო ასეთი შემთხვევაც, როცა ეროვნული ცენტრის დაარსების დღეს, 30 ივნისს, შემოწირულობათა ოფიციალურად გადმოცემის ცერემონიალს ვაწყობდით. ღონისძიებაზე დასასწრებად მოდიოდა ჩვენი კოლეგა ლუარსაბ ტოგონიძე, რომელმაც არაერთი სიძველე შემოგვწირა იმ წელს, მაგრამ გული ეთანაღრებოდა, ხელცარიელი ხომ არ ჩამოვალო და ხელს კიდევ ერთი უძველესი ხელნაწერი „გამოაყოლა“. ამის შესახებ უთხრა კოლეგას, რამაზ ობოლაძეს, რომელმაც ასევე არ დაუდო ტოლი და XVIII საუკუნის ქართული მინიატიურა შემოგვწირა. ამით იმის თქმაც მინდა, რომ სიკეთე ხშირად გადამდებია. მინდა გითხრათ, რომ კერძო კოლექციებსა და მფლობელობებში არსებული სიძველეები უმეტესწილად მაინც იფანტება, იბნევა და იკარგება, ვერც სათანადოდ უვლიან... მათი საბოლოო ადგილი ჩვენი ეროვნული ცენტრის ტიპის დაწესებულებებშია. ასე რომ, რაც მალე გადაწყვეტენ ასეთი სიძველეების შემოწირვას, მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის.

ფსალმუნი
(XIII-XVსს.)

— ახლაც მოაქვთ სიძველეები შესასყიდად?

— ასეთი შემთხვევა არცთუ იშვიათია. სამწუხაროდ, ჩვენი ბიუჯეტი დიდი არ არის და ამიტომ ხშირად დახმარებისთვის სხვადასხვა ორგანიზაციას მივმართავთ. ამას, რა თქმა უნდა, დრო მიაქვს და ზოგჯერ დონორის მოძებნა გვიჭირს. მაგრამ ხშირად, მადლობა ღმერთს, გამოჩნდებიან ქველმოქმედნი, რომელნიც შეისყიდიან ხოლმე ამ სიძველეებს და შემდეგ შემოწირულობის სახით გადმოგვცემენ. ჩვენი პრინციპი ასეთია, თუკი ფასი, რომელსაც ითხოვენ, სიძველის ღირებულების შესაბამისია, მაქსიმალურად ვცდილობთ, ის ნივთი აუცილებლად ჩვენს კოლექციაში მოხვდეს, რადგან ხელნაწერი თავისთავად უნიკალური და განუმეორებელია. განსხვავებით ბეჭდური გამოცემისგან, რომელიც რარიტეტულიც რომ იყოს, მისი ათი-ოცი ეგზემპლარი მაინც არსებობს. ზოგიერთი კი ასეულობით და ხელიდან თუ გაუშვებ, გული ისე არ დაგწყდება, რადგან სხვა დროსაც მოგეცემა მისი შესყიდვის შესაძლებლობა.

ნინო ჯაფარიძე

მონაწილეობდა თუ არა სტალინი თბილისში გახმაურებულ ექსპროპრიაციაში?

ინტერნეტსაიტებზე, უცხოელ ავტორთა ძველ თუ ახალშექმნილ წიგნებში სტალინზე, უმნიშვნელოვანეს და სკანდალურ ამბავთა შორის ლამის პირველ ადგილზეა ბესო ჯუღაშვილის ახალგაზრდობის წლების „ცოდვა“ — ექსპროპრიაციად მონათლული ბანკის გაძარცვა თბილისში. ამ „ტერორისტულ აქტს“ ისე შთამბეჭდავად აღწერენ, რომ ძნელია არ ერწმუნო მავანთა მტკიცებას. 1907 წლის 13 ივნისს, დილის 10 საათსა და 30 წუთზე თბილისის მაშინდელ მთავარ, ერეკანსკის მოედანზე ბომბების აფეთქებამ მთელი ქალაქი შეაზანზარა. ხმა გავარდა, რომ თანხის გადატანისას თავს დაესხნენ ფულით დატვირთულ თბილისის ბანკის ეტლს და თვალის დახამხამებაში გაძარცვეს! კარგად ორგანიზებულ მძარცველთა ბანდას კი ბესო ჯუღაშვილი ხელმძღვანელობდაო... მეტიც, იმ გოგონების ვინაობასაც ასახელებენ, სტალინს რომ „გვერდით ედგნენ“ ტერაქტისას... ამ ტერაქტს თავის დროზე ფრანგული „ლე ტემპიც“ გამოეხმაურა და ინგლისური „დეილი მირორიც“...

კიდევ ერთხელ ვუბრუნდებით გასული საუკუნის დასაწყისში თბილისში განხორციელებული ტერაქტად შერაცხული ბანკის ძარცვის თემას და გვინდა მკითხველს შევთავაზოთ ჩვენეული ვერსია.

მოგეხსენებათ, ექსპროპრიაცია ერთი კლასის მიერ მეორისთვის საკუთრებისა და, ამასთან ერთად, სოციალური მდგომარეობის ჩამორთმევას ნიშნავს. ექსპროპრიაციად მოინათლა თბილისში გასული საუკუნის დასაწყისში მომხდარი ტერორისტული აქტი, რომელსაც სტალინს მიაწერენ. ეს ის პერიოდია, როდესაც ნოე ჟორდანიამ რუსეთის სოციალდემოკრატიულ ელიტაში მდგომარეობა განიმტკიცა. დამარცხებული იოსებ ჯუღაშვილი ყრილობის მუშაობის დამთავრების შემდეგ (1907 წლის 19 მაისი) თბილისში დაბრუნდა. თბილისში მას აღარ ედგომებოდა და მალე ბაქოში გადავიდა. 1907 წლის 20 ივნისს ბაქოში გამომავალი არალეგალური გაზეთის „ბაკინსკი პროლეტარის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა იოსებ ჯუღაშვილის წერილი „სათათბიროს გარეკვა და პროლეტარიატის ამოცანები“. წერილი 1907 წლის 3 ივნისს იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მიერ რუსეთის მეორე სახელმწიფოს დათხოვნას ეძღვნებოდა. გაზეთის იმავე ნომერში დაიწყო და მეორე ნომერში (გამოვიდა 1907 წლის 10 ივლისს) დასრულდა იოსებ ჯუღაშვილის ვრცელი წერ-

ილის ბეჭდვა „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა (დელეგატის წერილები)“.

...მანამდე კი თბილისში მოხდა ამბავი, რომელსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა რუსეთის იმპერიასა და მთელ მსოფლიოში.

1907 წლის 13 ივნისს თბილისში ერევანსკის (დღევანდელი თავისუფლების) მოედნიდან ტერორისტებმა გაიტაცეს რუსეთის იმპერიის ხაზინის კუთვნილი ფული — 250 ათასი მანეთი (ფულის ნიშნები და ბანკის საკრედიტო ბარათები). საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ერევანსკის მოედანზე ექსპროპრიაცია განახორციელეს სოციალ-დემოკრატებმა (რსდმპ თბილისის კომიტეტმა). ოპერაციის საერთო ხელმძღვანელი იყო იოსებ ჯუღაშვილი, ხოლო უშუალო შემსრულებელი სიმონ ტერ-პეტროსიანი (კამო).

საარქივო მასალების შესწავლის შედეგად კი დადგინდა, რომ იოსებ ჯუღაშვილს 1907 წლის 13 ივნისს თბილისში განხორციელებულ ექსპროპრიაციასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია, მეტიც, ერევანსკის მოედნიდან ფული გაიტაცეს არა სოციალ-დემოკრატებმა, არამედ სოციალისტ-რევოლუციონერებმა (ესერებმა). ოპერაციას ხელმძღვანელობდნენ ესერთა პარტიის წევრები: 1) სარქის ალექსანდრეს ძე ოთაროვი — მეშჩანი, 48 წლის, სომხურ-გრიგორიანული აღმსარებლობისა, ამიერკავკასიის ოლქის სადაზღვევო საზოგადოების აგენტი, მცხოვრები თბილისში, მალაკნების ქუჩაზე, №50 სახლში; 2) ვასილ ვასილის ძე პილეცკი — მემამულე, 22 წლის, ამიერკავკასიის რკინიგზაზე ფოსტის გადაზიდვის მერვე განყოფილების თანამშრომელი, მცხოვრები თბილისში, სადგურის ქუჩაზე, №12 სახლში.

უფრო დაწვრილებით, საარქივო მასალების მიხედვით, საქმის ვითარება შემდეგნაირად წარმოგვიდგება.

ერევანსკის მოედნიდან გატაცებული ფულის საქმის ძიების პროცესში 1907 წლის 13 ივნისიდან 9 ნოემბრამდე ძიებას ეჭვიც კი არ აღძვრია ექსპროპრიაციაში სიმონ ტერ-პეტროსიანის (კამოს) მონაწილეობის თაობაზე. კამოს შესახებ ძიების მასალებში ცნობები ჩნდება 1907 წლის 9 ნოემბრიდან, მას შემდეგ, რაც იგი ბერლინში დააპატიმრეს. გერმანიის პოლიციამ კამოს ორი ბრალდება წაუყენა: ავსტრია-უნგრეთის მოქალაქის დიმიტრი მირსკის პასპორტით ცხოვრება (ეს პასპორტი კამომ თბილისში აბანოში მოპარა ავსტრია-უნგრეთის დიპლომატს დიმიტრი მირსკის) და ასაფეთქებელი ნივთიერების შენახვა. რაც შეეხება ერევანსკის მოედნიდან ფულის გატაცებას — კამოსთვის ეს ბრალდება არ წაუყენებიათ. 1908 წლის მარტში, ერევანსკის მოედანზე განხორციელებული ექსპროპრიაციიდან ცხრა თვის შემდეგ, ქუთაისის ციხეში მყოფმა პატიმარმა — ტერორისტმა არსენ ქარსიძემ ქუთაისის დროებით გენერალ-გუბერნატორს წერილობით აცნობა, რომ ერევანსკის მოედნიდან ფული გაიტაცა სიმონ ტერ-პეტროსიანმა, იმავე კამომ. ძიებამ არსენ ქარსიძის ჩვენება მაშინვე სიმართლედ მიიღო და 1908 წლის 20 მარტისათვის კამოს მონაწილეობა ექსპროპრიაციაში დამტკიცე-

ლევ ტროცკი

სტალინი

კამო



თბილისი XX საუკუნის დასაწყისში

ეს ფოტოები სტალინს რუსეთის პოლიციამ დაპატიმრებისას გადაუღო...

ბულად მიიჩნია. ამავე დროს კამო ოპერაციის ხელმძღვანელადაც მიიჩნიეს. საიდან უნდა სცოდნოდა არსენ ქარსიძეს ერევანსკის მოედანზე განხორციელებულ ექსპროპრიაციაში კამოს მონაწილეობის შესახებ? საარქივო მასალების შესწავლამ დაგვარწმუნა იმაში, რომ არსენ ქასრიძე ან პროვოკატორი იყო, ან უბრალოდ რაღაცას ურევდა. თავის ჩვენებაში არსენ ქასრიძე აღნიშნავდა, რომ კამო გენერალ ალიხან-ავარსკის მკვლელობაში მონაწილეობდაო. ცნობილია, რომ კამოს ამ მკვლელობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია.

ძიების მასალებში თბილისში, ერევანსკის მოედანზე, განხორციელებულ ექსპროპრიაციასთან დაკავშირებით იოსებ ჯუღაშვილის ხსენებაც კი არ არის — მასზე ეჭვიც არავის მიუტანია.

სოციალ-დემოკრატების (ბოლშევიკების) დაკავშირება 1907 წლის 13 ივნისს თბილისში ერევანსკის მოედანზე განხორციელებულ ექსპროპრიაციასთან შემდეგ ვითარებაში მოხდა: 1908 წელს ვლადიმერ ლენინის უახლოესი თანამებრძოლი მეერ ვალახი (იგივე მაქსიმ ლიტვინოვი, შემდეგში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი) შვეიცარიაში დააპატიმრეს თბილისიდან გატაცებული ბანკის საკრედიტო ბარათების გადახურდავებისას. ეს ფაქტი გახმაურდა მთელ ევროპაში. მაინც, ვინ გაიტაცა ფული? — ამ კითხვას პასუხი თავისთავად გაეცა, რადგან გატაცებული ფული ბოლშევიკების ლიდერ ვლადიმერ ლენინთან აღმოჩნდა. ეს შეხედულება კიდევ უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც თბილისიდან გატაცებული ბანკის საკრედიტო ბარათების გადახურდავებისას კვლავ დააპატიმრეს ვლადიმერ ლენინთან დაახლოებული პირები: ნიკოლაი სემაშკო (შემდეგში საბჭოთა რუსეთის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი), სარა რავიჩი (ბოლშევიკ გრიგოლ ზინოვიევის მეუღლე) და სხვები, თუმცა ძიებას 1912 წელსაც კი არ ჰქონდა იმისი დამამტკიცებელი მასალა, რომ ექსპროპრიაცია თბილისში სოციალ-დემოკრატებმა — იოსებ ჯუ-

ღაშვილმა და სიმონ ტერ-პეტროსიანმა — განახორციელეს.

1907 წლის 13 ივნისს თბილისში განხორციელებულ ექსპროპრიაციასთან კამოს არავითარი საერთო არ ჰქონია, თუმცა გატაცებულ ფულთან მას კავშირი მართლაც ჰქონდა. ესერებმა ერევანსკის მოედნიდან გატაცებული ფული ქალაქიდან ვერ გაიტანეს და ავლაბარში გადამალეს. ჟანდარმერიამ ფულის ადგილსამყოფელი იცოდა, მაგრამ სისხლის ღვრის თავიდან აცილების მიზნით, ტერორისტებს თავს არ ესხმოდა. სამაგიეროდ, თბილისიდან გამავალი ყველა გზა შეკრული იყო, ავლაბარიც ალყაში იყო მოქცეული. რამდენიმე დღის ლოდინის შემდეგ ესერები მიხვდნენ, რომ ფულს ქალაქიდან ვერ გაიტანდნენ და დახმარებისათვის ყველაზე შესაფერის კაცს — კამოს მიმართეს. თუმცა საარქივო მასალებიდან არა ჩანს, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ კამომ საქმის კურსში ჩააყენა იოსებ ჯუღაშვილი, რომელიც იმხანად ბაქოდან თბილისში დაბრუნდა.

სტალინი, ლენინი და კალინინი

კამომ თბილისიდან საზღვარგარეთ ფულის გატანის ოპერაცია უნაკლოდ განახორციელა, მაგრამ ესერები მოატყუა და ფული ვლადიმერ ლენინს მიუტანა. ცხადია, დამოუკიდებლად კამო ასეთ ნაბიჯს არ გადადგამდა, მას ვიღაც მართავდა. ვისი დავალებით მოქმედებდა კამო, საარქივო მასალებიდან არც ეს დგინდება.

ამრიგად, აღნიშნული მასალების მიხედვით, 1907 წლის 13 ივნისს თბილისში, ერევანსკის მოედანზე განხორციელებულ ექსპროპრიაციაში იოსებ ჯუღაშვილს მონაწილეობა არ მიუღია...

იოსებ ჯუღაშვილს თბილისში განხორციელებული ექსპროპრიაცია მოგვიანებით, 1918 წელს, გაუხსენა ლევ ტროცკიმ (ბრონშტეინმა). მან იოსებ ჯუღაშვილს საჯაროდ დასდო ბრალი ტერორისტებთან კავშირში. ვლადიმერ ლენინმა საქმე განსახილველად პარტიულ სასამართლოს გადასცა. ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა რუსეთის ლიდერმა თავი დაიზღვია და ობიექტურობის დაცვის მიზნით პარტიული სასამართლოს თავმჯდომარედ იმხანად ემიგრაციიდან დაბრუნებული მენშევიზმის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი იული მარტოვი (ცედერბაუმი) დაასახელა. იული მარტოვის სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნას კმაყოფილებით შეხვდა ლევ ტროცკი. პარტიულმა სასამართლომ გულმოდგინედ იმუშავა, მოუსმინა ლევ ტროცკისაც და იოსებ ჯუღაშვილსაც. განაჩენი ასეთი იყო: იოსებ ჯუღაშვილს 1907 წლის 13 ივნისს თბილისში განხორციელებულ ექსპროპრიაციასთან კავშირი არ ჰქონია! მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, 1907 წელს თბილისში განხორციელებულ ექსპროპრიაციას დღემდე იოსებ ჯუღაშვილს მიაწერენ. მემუარული ლიტერატურიდან, პუბლიცისტიკიდან და ისტორიოგრაფიიდან ამ თემამ მხატვრულ ფილმსა და ლიტერატურაში გადაინაცვლა. დაინტერესებულ პირთა ერთი ნაწილისათვის ის სიმართლეა, მეორე ნაწილისთვის — სიცრუე...

პირველი საფოსტო

ბევრმა როდი იცის, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი უიშვიათესი და ძვირად ღირებული საფოსტო მარკა „ტფილისის უნიკაა“ (Тифлисская уника), რომელიც 1857 წელს დაიბეჭდა თბილისში, მცირე ტირაჟით. საქართველო მაშინ რუსეთის იმპერიაში შედიოდა და შესაბამისად „ტფილისის უნიკამ“ რუსეთის პირველი საფოსტო მარკის „სტატუსი“ შეიძინა. ამავდროულად ეს მარკა პირველია მსოფლიოში, რომელიც წნეხით დაიბეჭდა და რელიეფური გამოსახულება აქვს. სწორედ „ტფილისის უნიკით“ იწყება საქართველოს საფოსტო მარკების ისტორია.

1856 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ (1855-1881 წწ.) კავკასიის მეფისნაცვლად თავადი ალექსანდრე ბარიატინსკი (1856-1862 წწ.) დანიშნა. მის მიერ გატარებულ მნიშვნელოვან რეფორმათა შორის უპირველესი თბილისში დედაქალაქისთვის შესაფერისი ფოსტის დაარსება იყო. მომდევნო წლის 20 ივნისს, კავკასიის ოლქის ფოსტის მმართველის ნიკოლოზ კახანოვის ინიციატივით იბეჭდება საფოსტო მარკა „ტფილისის უნიკა“.

მეფისნაცვალი თბილისში ცხოვრობდა, ზაფხულს კოჯრის აგარაკზე ატარებდა და სწორედ ამის გამო პირველი მარკა თბილისსა და კოჯორს შორის საფოსტო გზავნილებისთვის გამოიყენეს. თბილისში, ადგილობრივი საფოსტო გზავნილისთვის ერთი მარკა იყო საკმარისი, კოჯორში გასაგზავნად — სამი.

მარკის აღწერილობა:

ნომინალი – 6 კაპიკი

ფორმა – კვადრატული

ბეჭდვა – მოყვითალო, თეთრ ქაღალდზე უფერო რელიეფური.

გამოსახულება – ტფილისის გუბერნიის გერბი, გერბის თავზე რუსეთის იმპერიის

სიმბოლო — ორთავიანი არწივი.

წარწერები – მარკის ოთხივე მხარეს რუსულ ენაზე: «ТИФЛИС:», «ГОРОДС:», «ПОЧТА», «6 КОП:».

ზურგი – უკანა მხარე დაფარულია წებოს სქელი ფენით.

მარკა

თბილისის საქალაქო ფოსტა

„ტფილისის უნიკა“ რამდენიმე თვის შემდეგ, 1858 წლის პირველ მარტს რუსული მარკებით ჩაანაცვლეს. რუსეთის იმპერიას, რა თქმა უნდა, არ მოსწონდა ტფილისის პირველობა, ამიტომაც გადაწყდა, მარკებიც გაენადგურებინათ. მიუხედავად იმისა, რომ ეს მარკები მხოლოდ ტფილისის გუბერნიაში მოქმედებდა, მოიგონეს ვერსია, თითქოს სწორედ ამ მარკადაკრულმა კონვერტებმა შეუწყო ხელი იმ ზაფხულს თბილისში ეპიდემიის გავრცელებას. ამიტომ მარკის მთლიანი ტირაჟი დაწვეს.

ტფილისის გერბი

რადგან პირველი რუსული მარკის გამოცემის თარიღად 1857 წლის 10 დეკემბერი მიიჩნეოდა, კარგა ხანს „ირწმუნებოდნენ“, რომ „ტფილისის უნიკა“ 1857 წლის დეკემბრის ბოლოს გამოიცა. მეტიც, რუსული ფოსტის ისტორიის მკვლევარები ხშირად საერთოდ გვერდს უვლიან ამ მარკას.

დღეისათვის „ტფილისის უნიკის“ სულ სამი ეგზემპლარია შემონახული. ამ მარკებმა რამდენიმე კოლექციონერი გამოიცვალა. სამივე სუფთა, ანუ გამოუყენებელი ეგზემპლარია. XX საუკუნის დასაწყისში სამივე მარკამ ცნობილი ფილატელისტის აგაფონ ფაბერჟეს კოლექციაში მოიყარა თავი. ფაბერჟემ მარკები 1928 წელს ჰელსინგფორში (ფინეთი), ხოლო 1933 წელს ვენაში (ავსტრია), მის მიერვე მოწყობილ სენსაციურ გამოფენებზე წარმოადგინა.

1936 წელს „ტფილისის უნიკა“ ევროპის წამყვანი მარკების კატალოგში შევიდა. შემდგომ მრავალი კოლექცია მოიარა, მოგვიანებით ორი ეგზემპლარი შვეიცარიაში მცხოვრები ფილატელისტის ზბიგნევ მიკულსკის კოლექციაში მოხვდა. მარკები მიკულსკმ 1997 წელს გამოფინა, ხოლო 2000 წელს აუქციონზე გამოიტანა, საწყის ფასად 500.000 ამერიკული დოლარი დასახელდა. ახალი მფლობელი ანონიმური დარჩა. მესამე, შედარებით შელახული ეგზემპლარი ლუქსემბურგელი ფილატელისტის ბელინჟერის კოლექციაში ინახება.

არსებობს XIX საუკუნეში დამზადებული რამდენიმე ასლი, რომლებიც ერთმანეთისგანაც განსხვავდებიან და ორიგინალისგანაც.

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია პარიზის ასლი, რომელიც 1870-1880 წლებში დაიბეჭდა. როგორც ჩანს, „ტფილისის უნიკა“ მისი ასლის დამამზადებლისთვისაც კი მიუწვდომელი იყო.

1997 წელს „საქართველოს ფოსტამ“ „ტფილისის უნიკის“ 140 წლის იუბილეს მიუძღვნა ახალი „ტფილისის საქალაქო ფოსტის მარკა“. მარკაზე მცხეთის პეიზაჟის ფონზე „ტფილისის უნიკის“ გამოსახულებაა ჩასმული.

„ტფილისის უნიკა“ მსოფლიოს 40 იშვიათ და 10 უძვირფასეს საფოსტო მარკების რიცხვში შედის. შესაბამისად, „ტფილისის უნიკა“ დღეს მსოფლიოს ყველა ფილატელისტისთვის ცნობილი მარკაა. იგი ყველა კატალოგშია მოხსენიებული, როგორც მსოფლიოში იშვიათი და ძვირად ღირებული საფოსტო მარკა. ■

თბილისის ხედი ტურნეფორის ნახატი, 1701 წელი

ქართული თეატრის სათავეებთან

ეშა საუკუნეების განმავლობაში თეატრის მაგივრობას ჩვენში სხვადასხვაგვარი საჯარო-გასართობი ეწეოდა. მათგან ყველაზე პოპულარული ყოფილა მუშაობა — თანამედროვე საცირკო სანახაობის მსგავსი, აგრეთვე ბურთაობა და ყაბახობა, რაც უფრო საწვრთნელ-სავარჯიშო სანახაობას წააგავდა. „თეატრალური დრამატიზმი — აღნიშნავს აკად. კორნელი კეკელიძე — ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, უფრო მეტია ეგრეთ წოდებულ ყეენობასა და ბერიკაობაში, რომელსაც ნახევრად სასცენო მოქმედების ხასიათი აქვს. ასეთი სახის წარმოდგენები მდიდარ მასალას იძლეოდა, რომ ამ პრიმიტიული ელემენტებიდან განვითარებულიყო ნაციონალური ქართული თეატრი“. ევროპის სახელმწიფოებში „აბსოლუტიზმის“ დამყარების შემდეგ შეიქმნა სამეფო თეატრები. იგი წარმოადგენდა არისტოკრატიის გასართობს. დასავლეთ ევროპის მიბაძვით XVIII საუკუნეში რუსეთის იმპერიაშიც ჩნდება ანალოგიური თეატრი.

ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ XVIII საუკუნის მიწურულს ქართლ-კახეთის სამეფოშიც დაარსდა თეატრი და განვითარდა დრამატურგია.

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II რუსეთსა და ევროპის ქალაქებში გზავნიდა ახალგაზრდებს განათლების მისაღებად. ცნობილია ერთი ასეთი ჯგუფი დავით ბატონიშვილის, ერასტი თურქესტანიშვილის, გიორგი ავალიშვილისა და იოანე ორბელიანის შემადგენლობით. ისინი გასცნობიან რუსულ თეატრს, სავარაუდოა, რომ კავშირი ჰქონდათ იმ დროისათვის ცნობილ დრამატურგთან, ზანდუკოვთან. თეატრალურ ხელოვნებას ეუფლებოდა ცნობილი მწერალი და დიპლომატი გიორგი ავალიშვილი, რომელიც 1791 წელს დაბრუნდა თბილისში და დაიწყო წარმოდგენების გამართვა. საამისოდ შესაფერისი ბინაც მოუნახავთ: „სახლი მესხიშვილისა, ორბელიანისა და მელიქიშვილისა“. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ სწორედ ამ დროს დაარსდა ქართული თეატრი და მისი დამაარსებელი გიორგი ავალიშვილი იყო. ეს უკანასკნელი მართლაც უდიდესი ფიგურაა ქართული თეატრის ისტორიაში. იგი არის აგრეთვე ქართული დრამატურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მან რუსულიდან თარგმნა სუმაროკოვის ცნობილი პიესები: „რქის მატარებელი“, „დედა რაყიფი ქალისა“, „საჩხუბარი“ და „უბნობა მკვდართა“. აგრეთვე დაუწერია ორიგინალური ქართული პიესები, მათ შორის „თეიმურაზ II“, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია და მისი მხოლოდ მოკლე შინაარსია ცნობილი. ამ პერიოდშივე მოღვაწეობდა დრამატურგი, მდივანბეგი დავით ჯიმშერის ძე ჩოლოყაშვილი, რომელსაც რასინის „ეფიღენია“ უთარგმნია.

თეატრალურ წარმოდგენებს მალევე მიუქცევია ხალხის ყურადღება და, შესაბამისად, დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, „პიესა „რქის მატარებელის“ წარმოდგენისას „დაუწყიათ თხოვნა, რომ კიდევ „ასახის-მეტყველეთო“. შემდეგ ბევრჯელაც წარმოუდგენიათ. წარმოდგენაში მონაწილეობა მიუღიათ: დავით ბატონიშვილს, დავით ჩოლოყაშვილს, გიორგი ავალიშვილს, თამაზ ანდრონიკაშვილს, გიორგი მეფისა და ირაკლი ბატონიშვილის ქალებს“.

ერეკლე II-ის დროინდელ ქართულ თეატრს უკავშირდება აგრეთვე არტილერიის მაიორი გაბრიელი. მის შესახებ ალექსანდრე ორბელიანი წერს: „თელავსა და თბილისში ქართულ კომედიებსაც თამაშობდნენ მეფის ირაკლის დროში, რომლისაცა გამმართველი იყო გაბრიელ მაიორი, სომეხი“. გაზეთ „კავკაზის“ 1858 წლის 28-ე ნომერში ნიკო ბერძენოვის სტატიაში „О быте Грузин старого времени“ ყურადღება გამახვილებულია ერეკლე II-ის დროინდელ თეატრსა და გაბრიელ მაიორზე. ამ შემთხვევაში ნ. ბერძენოვის წყაროს ერეკლე მეფის შვილი, თეკლა ბატონიშვილი წარმოადგენდა. სტატიის მოკლე თარგმანი ასეთია: „...ვინმე გაბრიელი, სომეხი, რომელიც იმყოფებოდა რუსეთში თავად ანდრონიკაშვილის ელჩობასთან, დაბრუნებულა რა საქართველოში მაიორის ჩინით, მოუწყვია სასახლესთან ახლოს თეატრი. არიგებდა ბილეთებს ლაკონიური ქართული წარწერით, რომელიც ორი სტროფისაგან შედგებოდა, სადაც იხსენიებოდა დამდგმელი ოსტატის სახელი და ბილეთის ფასი. ბილეთს ეწერა: „შაური ორი, გაბრიელ მაიორი“. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, გაბრიელ მაიორი პიესებსაც წერდა.

სხვა იმდროინდელი მსახიობებიდან ცნობილია მღვდელი იოსებ ამირიძე, ქეშიშდარდიმანდად წოდებული და მაჩაბელა.

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის ბოლოს თეატრალური წარმოდგენების ინიციატორებად გიორგი ავალიშვილი და გაბრიელ მაიორი გვევლინებიან. ისინი დაახლოებით ერთ პერიოდში მოღვაწეობდნენ, რადგან გიორგი ავალიშვილი 1791 წელს, ხოლო გაბრიელ მაიორი 1788 წლის შემდეგ ჩამოვიდა თბილისში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ არ იკვეთება მათი ურთიერთობა. ცხადია, სხვა-

თელავი
ქალაქის ცენტრი

დასხვა სახის წარმოდგენებს მართავდნენ. როგორ ავხსნათ ეს?

ამისათვის მოგვყავს მკვლევარ ამბერკი გაჩეჩილაძის მიერ თელავში აღმოჩენილი XVIII საუკუნის იშვიათი ხელნაწერი. ეს ხელნაწერი სხვადასხვა ნაშრომისგან შედგება, მათ შორის „ღრამატიკა ქართულსა ენასა ზედა თქმული ზურაბ შანშოვანის ტფილისელისგან“, „ბერ-არმენი“ და სხვ. ეს ნაშრომები 1730-იან წლებშია დაწერილი. ხელნაწერს ახლავს უცხო პირის მიერ შესრულებული 1778 წლის მინაწერი. მინაწერში ავტორი, სხვა საკითხებთან ერთად, ქართულ თეატრსაც ეხება. იგი ასხვავებს საეკლესიო და საერო თეატრს. თავის მხრივ, საერო თეატრი, ამ მინაწერის მიხედვით, იყოფა „ეზოდს“ და „ქალაქის“ თეატრებად.

ქართული თეატრი არ შექმნილა ერთ კონკრეტულ წელს. XVIII საუკუნის 70-იან წლებში ეკონომიკურ აღმავლობასთან ერთად განვითარდა ქართული კულტურა. ევროპასთან კავშირით და მათი მიღწევების გამოცდილების გაზიარებით, ქართლ-კახეთში მრავალი სიახლე დაინერგა. მათ შორის ჩაისახა ქართული თეატრი.

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების ევროპაში მრევლის მისაზიდად იმართებოდა საეკლესიო წარმოდგენები — მისტერიები. მართლმადიდებლური ეკლესიისათვის კი ეს მიუღებელი იყო. თუმცა, ასეთი სახის თეატრალური წარმოდგენები ევროპული კულტურის გავლენით რუსეთშიც ეწყობოდა. როგორც ჩანს, XVIII საუკუნის II ნახევარში, კულტურული აღმავლობის ფონზე, ვერც ქართული ეკლესია ასცდა მას. მის განვითარებას ხელი შეუწყვეს კათოლიკე-მისიონერებმა, რომლებიც საქართველოში აარსებდნენ სკოლებს, ეკლესიებს და სავარაუდოდ, დგამდნენ მისტერიებსაც. ასეთი სახის წარმოდგენების დანერგვაში განსაკუთრებული როლი უნდა შეესრულებინა თბილისის და თელავის სასულიერო სემინარიებს, სადაც სწავლა

რუსული ანალოგიური სასწავლებლების მიხედვით მიმდინარეობდა. ყოველ შემთხვევაში, ამ მინაწერის მიხედვით ირკვევა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში სასულიერო თეატრიც არსებობდა.

საერო თეატრი კი ორი ნაწილისგან შედგება: მინაწერში დაფიქსირებული „ეზოᲥს“ თეატრი უნდა აღნიშნავდეს სასახლის თეატრს (ანალოგიური სახელი აქვს რუსეთის სამეფო თეატრს — „Придворный театр“). „ქალაქის“ თეატრი კი უნდა იყოს ჩვეულებრივი საერო თეატრი, სადაც დასწრება ნებისმიერ მსურველს შეეძლო.

თუ დავეყრდნობით მინაწერის კლასიფიკაციას, მაშინ გიორგი ავალიშვილის მიერ მოწყობილი თეატრალური წარმოდგენები უნდა მივაკუთვნოთ „ეზოᲥს“ თეატრს, სადაც მსახიობის როლში სამეფო ოჯახის წარმომადგენლებიც გვეულინებიან. ე.წ. გაბრიელ მაიორის თეატრი კი უნდა იყოს „ქალაქის“ თეატრი, რომლის ბილეთები იყიდებოდა და ნებისმიერ მსურველს შეეძლო წამოდგენაზე დასწრება. ცხადია, სამეფო თეატრში ეს შეუძლებელი იქნებოდა. გაბრიელ მაიორის თეატრალურ დასში, რომელიც წარმოდგენებს ალექსანდრე ორბელიანის ცნობით თბილისსა და თელავში მართავდა, გამოდიოდნენ მღვდელი იოსებ ამირიძე — იგივე ქეშიშ დარდიმანდი, მაჩაბელა და სხვები.

როდის შეიქმნა ქართული თეატრი? — ამის შესახებ სხვადასხვაგვარი მოსაზრებაა. როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთი ვარაუდით იგი 1791 წელს დაარსდა, ზოგიერთი მოსაზრებით 1780 წელია ქართული თეატრის დაარსების თარიღი და მის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანეს იმ პერიოდში თბილისში მყოფმა გრაფმა კოჰარმა (ვენის თეატრალური დასის ანტერპრენიორმა) და იაკობ რაინეგსმა.

ქართული თეატრი არ შექმნილა ერთ კონკრეტულ წელს. XVIII საუკუნის 70-იან წლებში ეკონომიკურ აღმავლობასთან ერთად განვითარდა ქართული კულტურა. ევროპასთან კავშირით და მათი მიღწევების გამოცდილების გაზიარებით, ქართლ-კახეთში მრავალი სიახლე დაინერგა. მათ შორის ჩაისახა ქართული თეატრი. ევროპელთა, კერძოდ რაინეგსისა და კოჰარის დახმარებით კი ის კიდევ უფრო განვითარდა, ხოლო იმავე საუკუნის 90-იან წლებში საბოლოო სახე მიიღო. ამ პერიოდშივე განვითარდა დრამატურგიაც. ითარგმნება რუსი, ფრანგი და სხვა ეროვნების გამოჩენილ ავტორთა პიესები. იწერებოდა ორიგინალური ქართული პიესებიც. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული თეატრის ფუძემდებლებს ბრმად არ მიუღიათ უცხოური გამოცდილება. მათ მართალია გადმონერგეს რუსული სცენის კულტურა, მაგრამ ამავე დროს გამოიყენეს ქართული სახიობის ტრადიციები. გიორგი ავალიშვილის აზრით, თეატრის დანიშნულება იყო ადამიანის მდაბალ თვისებებთან ბრძოლა, ზნეობრივი სრულყოფა და სხვ. XVIII საუკუნის II ნახევრის საქართველოში თეატრი ასეთი სახით არსებობდა.

ტრაგიკული გამოდგა თეატრისა და მისი დასისათვის კრწანისის ბრძოლა. თეიმურაზ ბატონიშვილის გადმოცემით, კრწანისის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა არტილერიის მაიორი გაბრიელი, ასევე „უფროსი მსახიობი“ მაჩაბელა, თავის თეატრალურ დასთან ერთად, რომლებიც „შადიანის“ სიმღერით ამხნევებდნენ ქართველებს ბრძოლის ველზე.

ერეკლე II

ტრაგიკული გამოდგა თეატრისა და მისი დასისათვის კრწანისის ბრძოლა. თეიმურაზ ბატონიშვილის გადმოცემით, კრწანისის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა არტილერიის მაიორი გაბრიელი, ასევე „უფროსი მსახიობი“ მაჩაბელა, თავის თეატრალურ დასთან ერთად, რომლებიც „შადიანის“ სიმღერით ამხნევებდნენ ქართველებს ბრძოლის ველზე. ქართლ-კახეთის სამეფოს მოშლის შემდეგ თავისთავად გაუქმდებოდა „ეზოᲥს“ ანუ სასახლის თეატრიც. იმპერიამ დახურა აგრეთვე ქართული სემინარიები, სადაც, რაღა თქმა უნდა, შეწყდებოდა წარმოდგენების გამართვა. ყოველივე ამან, ბუნებრივია, შეაფერხა ქართული თეატრის შემდგომი განვითარება. ■

აბესალომ ვეხუა: ქარბუქივით ხასი ვიყავი!..

დმანისელი ჰომინიდების „მზიასა და ზეზვას“ სახელებზე უცხოელი მეცნიერები ენას უკვე აღარ იტეხენ...

„პალეონტოლოგია, რომელიც პრეისტორიულ, მილიონობით წლების წინ გადაშენებულ ცხოველებსა და მცენარეებს შეისწავლის, აზარტული სპეციალობაა, თუმცა მე არა ვარ მაინცდამაინც აზარტული. ნარდში ხუთ ხელს ვერ მათამაშებ მიყოლებით. ჩემს მასწავლებელს, აკადემიკოს ლეო გაბუნიას უთქვამს, აბესალომი პალეონტოლოგადაა დაბადებულიო და ამით ვამაყობ კიდეც. ხეირიანი შედარება არ არის, მაგრამ ნაცემი ძაღლებივით ვიყავით, თუ ველზე მუშაობისას რამეს ვერ ვიპოვიდით. ძვალზე ფიქრი გამუდმებით თან მდევს. ახლაც, მელიისხელა პრეისტორიული ცხოველის ქვედა ყბა გვაქვს დმანისიდან და თავს ვიმტვრევთ..

მთელი ჩემი ხანგრძლივი საველე და სამეცნიერო მუშაობის პერიოდში ყოველთვის მღრღნიდა და ხელს მიშლიდა ერთი რამ – უცხო ენა სათანადოდ არ ვიცი (რუსულს არ ვგულისხმობ, რუსულად არაერთი სამეცნიერო ნაშრომი დამიწერია). ამიტომ ახალგაზრდა მეცნიერებს ყოველთვის ჩავჩიჩინებ, სპეციალობასთან ერთად უცხო ენაც კარგად უნდა ისწავლოთ-მეთქი“.

გულახდილად საუბრობს ბატონი აბესალომ ვეკუა — გეოლოგია-მინერალოგიის დოქტორი, ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი... ეს სრული ჩამონათვალი როდია. ეროვნულ მუზეუმშიც მუშაობს, დმანისის პალეონტოლოგიური გათხრების ხელმძღვანელიცაა. თუმცა, უმჯობესია, ყველაფერს თავიდან მივყვეთ.

გზის დასაწყისი

ფოთში დაიბადა. მამა პორტში მუშაობდა. 1937 წელს კარელია-ფინეთში რომ გადაუსახლეს კომუნისტებმა, 12 წლისა იყო. და-ძმასთან ერთად ცდილობდა დედას დახმარებოდა და სახერხ ქარხანაშიც კი მუშაობდა. დიდი გატაცება ჰქონდა — თვითმფრინავის მოდელებს ამზადებდა და მფრინავობაზე ოცნებობდა. გადასახლებულ მამას რომ გაუგია, რაღა მაინცდამაინც ამ სახიფათო პროფესიას ირჩევო, მოსწერა. ეს მამის ბოლო წერილი აღმოჩნდა.

თბილისის საავიაციო სპეცსკოლა დაამთავრა, მაშინდელ პლეხანოვზე იყო ეს სკოლა, გმირი მფრინავის, ჭიჭიკო ბენდელიანის სახელს ატარებდა. ფრენა ნაფარეულის ესკადრილიაში ისწავლა. ფრენა ტუ-2-ით ისწავლა, მერე კი ტამბოვში ილ-2-ით დაფრინავდა. გერმანელები ამ ავიამოიერიშეს „შავ ჭირს“ ეძახდნენ. არ უომია, ასაკი არ უწყობდა ხელს. დემობილიზებული 47-ში დაბრუნდა თბილისში და მიხვდა, რომ მფრინავობა აღარ უნდოდა. იურიდიულ ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა. ორი წლის შემდეგ სასწავლებელი მოსკოვში გადაიტანეს. დედამ, გეყოფა რუსეთში ხეტიალიო და... მომდევნო წელს უნივერსიტეტში ჩაირიცხა გეოლოგიაგეოგრაფიის ფაკულტეტზე.

ნაფარეულის ესკადრილიაში — მარცხნიდან პირველი აბესალომ ვეკუა

„აფთარი-აბესალომი“

„Crocuta-აბესალომი“ ანუ „აფთარი-აბესალომი“ მსოფლიო პალეონტოლოგიაში კარგა ხანია ცნობილია. საქართველოში კი ბევრმა როდი იცის, რომ ეს 17 მლნ წლის წინანდელი მტაცებლის სახელია, რომლის ქვედა ყბაც მესამეკურსელმა აბესალომ ვეკუამ აღმოაჩინა ჩრდილოკავკასიაში ექსპედიციისას. სახელი კი იმ დროისთვის უკვე მსოფლიოში ცნობილმა პალეონტოლოგმა, ექსპედიციის ხელმძღვანელმა ლეო გაბუნიამ შეურჩია.

— ლეო ჩემზე მხოლოდ 5 წლით იყო უფროსი, ჩემი ლექტორიც იყო, — იხსენებს ბატონი აბესალომი, — თავიდანვე მითხრა, მთელი წლები ერთად უნდა ვიყოთ, ბატონობა და თქვენობით მიმართვა არ გვჭირდებაო. მართლაც ასე გავლიეთ ერთად ათწლეულები. ლეო წელს 90 წლისა გახდებოდა. არც მე ვარ ჯელი, 1-ელ ნოემბერს 85-ს გადავაბიჯე...

— გილოცავთ, ბატონო აბესალომ, საიუბილეო თარიღია...

— იუბილეები არ მიყვარს... მთხოვეს ახლაც, მაგრამ არ დავთანხმდი...

— მითხრეს, თავს ქუდბედიანად თვლისო...

— მართლა ქუდბედიანი გამოვდექი. სადაც კი მივიდოდი, ყველგან ახალ აღმოჩენას ვაწყდებოდი. პირველივე ექსპედიციაში ნაპოვნ აფთრის ნაშთებს იმავე ადგილსაპოვებელში რქიანი ღორის თავის ქალა მოჰყვა. მეცნიერებაში მანამდე ცნობილი არც ყოფილა მსგავსი ცხოველის ნაშთები. ეს იმდენად გასაკვირი იყო, რომ პუბლიკაციები მსოფლიოს მოედო. შეიძლება იცით, ძველები ამბობდნენ, ღმერთს რომ ღორისთვის რქა მიეცა, ქვეყნიერებას გადაჩიჩქნიდაო. არადა, თურმე მიუცია — ერთი შუბლზე და ორიც გვერდზე!

— თქვენს სახელს არაერთი აღმოჩენა უკავშირდება.

— ჰო, ასეა. დღეს მსოფლიო პალეონტოლოგიაში ათამდე ცხოველს ჩემი სახელი ან გვარი დაერქვა. ოღონდ ყველა მე არ მომინათლავს. ლენინგრადელმა მეცნიერმა ირინა კუზმინამ პრეისტორიული ცხენების ახალი გვარი გამოყო, გერმანელმა პალეონტოლოგმა ჰანს დიტრიხ კალკემ დმანისში ნაპოვნ ირემს აბესალომის ირემი დაარქვა. საქართველოში ნაპოვნ ერთი მილიონი წლის ბეჰემოთს კი სახელი მე დავარქვი.

ქარბუქივით კაცი ვიყავიო, წამოსცდა... არა, არა, მე კი არ ვამბობ ასე, მეგობრებმა შემაცდინესო, დაუმატა. ახლაც ჩქარა დადის, ხელჯოხით, მაგრამ მაინც სწრაფი ნაბიჯით. დროს არ უნდა ჩამორჩეო, მეუბნება და ლაბადის ჩაცმაშიც მეხმარება. მასთან მივდივართ, შინ, გოთუას ქუჩაზე. ფოტოები უნდა ამირჩიოს და მეუღლეც გამაცნოს.

მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი პალეონტოლოგი სამსახურში ყვითელი ავტობუსით დადის. ამჯერად ტაქსის აჩერებს და კარის გაღებსაც მასწრებს. ვერაფერს იტყვი, 85 წლის ასაკშიც ნამდვილი ჯენტლმენია!..

— ექსპედიციასა და მუზეუმში მის გვერდით

შვილიშვილთან, ელენე ვეკუასთან ერთად

გოგონები ყოველთვის იმედიანად ვგრძნობთ თავს, — მეტყვის მოგვიანებით ახალგაზრდა რესტავრატორი სოფო კილაძე, — თუ რამეზე დავიწუწუნეთ და ყური მოჰკრა, გვისაყვედურებს, დროზე რატომ არ მითხარით, მე აქ რისთვის ვარო...

ოჯახში...

ქალბატონი იზოლდა ენუქიძე სპეციალობით სამთო ინჟინერია.

— ერთი მარკშეიდერი ხომ გვჭირდება ოჯახშიო, — „აღიარა“ ბატონმა აბესალომმა და დასძინა, — არ მინდოდა, ჩემი პროფესიის მთელი სირთულე სცოდნოდა. მაგრამ წლების წინ საერთაშორისო სიმპოზიუმი მოეწყო ფრისპირეთის ქვაბების ფაუნასთან დაკავშირებით. მაშინ ნახა, რას ვაკეთებდი, როგორ მკაცრ პირობებში „მიმუშავია“ მრავალი წელი: უდაბურ, ლამის ფეხდაუდგამ ადგილას, კარავს რომ ხან ქარი დაგაფხრეწს თავზე, ხან თავსხმა ჩაგრეცხავს და ხანაც შხამიანი გიურზა ჩაისრიალებს ზედ შენი კარვის წინ. ხომ იცით, ფრისპირზე დღევანდელი აფრიკის სავანის წინაპარი ფაუნა დასტურდება...

— მინდოდა მეთქვა, ამ გადაშენებული ცხოველების ძებნას თავი დაანებე-მეთქი, მაგრამ ისე უყვარს თავისი საქმე, ხმას როგორ ამოვიღებდი. ახალგაზრდობაში ხანდახან კი ვსაყვედურობდი, ბავშვების გაზრდაში არ მეხმარებიმეთქი, მაგრამ... — საუბარში ქალბატონი იზოლდა ჩაგვერთო.

— მდიდრები არასოდეს ვყოფილვართ, თუმცა არც ბედს ვუჩიოდით, — მეუღლეს სიტყვა ჩამოართვა ბატონმა აბესალომმა, — რა დამავიწყებს იმ სიხარულს, მარელისის საავეჯო ფაბრიკის 6 ცალი სკამის ჩეკი რომ მივიტანე შინ... თუმცა კი მაშინ ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდით.

— შარშან ჯვარი დავიწერეთ წმინდა ოვლიტასა და კვირიკეს ტაძარში. როდის იყო, აბესალომ? — გამომცდელად გადახედა მეუღლეს ქალბატონმა იზოლდამ.

— 12 სექტემბერს, ქორწინებიდან 50 წლისთავზე! მეჯვარეებად შვილიშვილები გვყავდა, სამივენი: ელენე და სანდრო ვეკუები და გიგი ჯგუშია. „ქორწილი“ შვილებმა — ზაზამ და ლალიმ გადაგვიხადეს, საგურამოში, აგარაკზე. მთელი ჩვენი ნათესაობა იყო. ასე დიდი სუფრა ჩვენს ცხოვრებაში პირველად გვქონდა. სიმართლე გითხრათ, არ მიყვარს პომპეზური ქეიფები, მაგრამ ოქროს ქორწილი ხომ ოქროს ქორწილი უნდა იყოს!..

პირველი „დიაგნოზი“!

ახლა დმანისში გადავინაცვლოთ.

1982 წელს, დმანისის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელებმა ვახტანგ ჯაფარიძემ და ჯუმბერ კოპალიანმა პალეობიოლოგიის ინსტიტუტს აცნობეს, რომ ნაქალაქარის ტერიტორიაზე, ორმოში „საეჭვო“ ძვლები აღმოჩნდა.

აბესალომ ვეკუა: — რამდენიმე საათში უკვე ნაქალაქარზე ვიყავი, ორმოშიც ჩავძვერი და „დიაგნოზიც“ მაშინვე დავსვი: — აღმოჩენილია მილიონ წელზე ადრინდელი ხერხემლიანთა ფაუნა, რომლის გათხრა და შესწავლა საშური საქმეა.

ასე შემოვიდა მის ცხოვრებაში დმანისი. ასე გროვდებოდა ათასობით ნამარხი ძვალი პრეისტორიული სპილოს, ჟირაფის, ადრეული ცხენის, ხმალკბილა ვეფხვის, აფთრის, გიგანტური სირაქლემის...

მოგვიანებით ნოვოსიბირსკში ჩატარდა არქეოლოგთა და პალეონტოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელსაც საქართველოდან დავით ლორთქიფანიძე ესწრებოდა. დათო იქ დაუმეგობრდა მსოფლიოში სახელგანთქმულ ქვედა პალეოლითის სპეციალისტს,

დედოფლისწყაროში, ტარიბანაში სამხრეთის სპილოს ჩონჩხის აღმოჩენა აბესალომ ვეკუას სახელს უკავშირდება. ეს უნიკალური ჩონჩხი მუზეუმის რეკონსტრუქციის შემდგომ კვლავ თავის ადგილს დაიკავებს...

გერმანელ პროფესორს გერჰარდ ბოსინსკის, რომელსაც მოუყვა დმანისის აღმოჩენების შესახებ. ისიც დაამატა, რომ პრეისტორიული ცხოველების ძვლებთან ერთად ნაპოვნია პირველყოფილ ადამიანთა ქვის იარაღებიც. ბოსინსკი სულ მალე თვითონვე ჩამოვიდა თბილისში.

— როცა გერმანელმა მეცნიერმა ჩვენი აღმოჩენები დაათვალიერა, — იხსენებს ბატონი აბესალომი, — აღტაცება ვერ დაფარა. არქეოლოგიური ცენტრის მაშინდელ დირექტორს, აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძეს სთხოვა, დმანისის ქვის ხანის გათხრებში ჩამრთეთო. „ქრთამიც“ შეაძლია — გათხრებს მთლიანად გერმანული მხარე დააფინანსებსო. რაღა თქმა უნდა, ამ „ქრთამმა“ გაჭრა — სამეცნიერო ექსპედიციებისთვის მოგეხსენებათ, იმხანად ქვეყანაში არავის ეცალა. თითქმის ათი წელი გერმანელთა „ხარჯზე“ ვთხრიდით და ვიკვლევდით დმანისს.

პირველი ევროპელის ჭინაპარის კვალი დმანისში პირველად ევროპელმა ქალმა შენიშნა...

1991 წლის სექტემბერი. ექსპედიცია უკვე ამთავრებს მუშაობას. ბოსინსკის თანაშემწე, ახალგაზრდა არქეოლოგი ანთია იუსტუსი ვერ შელევია გათხრების „პოლიგონს“ და...

აბესალომ ვეკუა: — ის-ის იყო თბილისში დაბრუნდი, რომ ანთია მირეკავს, — ჰერ, აბესალომ, მგონი ძალიან უცნაურ ძვალს მივაკვ-

ქართული პალეონტოლოგიისა და პალეოანთროპოლოგიის „ტრიუმვირატი“ — დავით ლორთქიფანიძე, ლეო გაბუნია და აბესალომ ვეკუა

ლიეო. საღამო ხანი იყო, მაგრამ თბილისში რა გაგვაჩერებდა. დმანისში ჩასულს, შემოგვაღამდა კიდეც. თითქოს გრძნობდნენ, რომ სენსაციური აღმოჩენა გველოდა და იქ მყოფთ კოცონი დაენთოთ... ინათა თუ არა, გათხრები დავიწყეთ, მთელი ორი დღე მოვუნდით. მოსალოდნელი სერიოზული აღმოჩენის შესახებ ყველას ვაცნობეთ, ტელეოპერატორებიც „გვდარაჯობდნენ“. და აი, ხელთ მქონდა მსოფლიოს ყველა პალეონტოლოგის ოცნების საგანი — 1 მლნ 800 ათასი წლის წინანდელი 22-25 წლის ადამიანის ქვედა ყბა! ეს იცი, რას ნიშნავდა? შემოტრიალებას მსოფლიო პალეოანთროპოლოგიაში. მანამდე ითვლებოდა, რომ აფრიკაში 2,5 მლნ წლის წინ წარმოშობილმა ადამიანმა 1 მლნ ან 600 ათასი წლის წინ ჩამოაღწია ევროპაში. ჩვენ კი ერთ მშვენიერ დღეს ვასკვნით, რომ 1 მლნ 800 ათასი წლის წინ საქართველოში უკვე ბინადრობდა იმ უძველესი აფრიკელის მსგავსი ადამიანი. და რომ პირველი ევროპელის წინაპარიც სწორედ ის იყო. ბევრი როდი გვიჯერებდა და აკადემიკოსმა ლეო გაბუნიამ და დავით ლორთქიფანიძემ ფრანკფურტში წაიღეს „ქართველი“ ჰომინიდის ქვედა ყბა, სამეცნიერო კონფერენციაზე. ზოგიერთმა ბოლომდე არც მაშინ დაგვიჯერა.

„დმანისში აღმოჩენილმა ორმა მარტოვმა თავის ქალამ მსოფლიოს ყველა პრეისტორიკოსი საჯდომზე მოსვა...“ — ასე შეაფასა დმანისური აღმოჩენა ფრანგულმა „ლიბერასიონმა“

ამის შემდეგ მთელი ექვსი წელი გავიდა და ხელშესახები არაფერი აღმოჩენილა. ერთ დღესაც ისევ ანთია მივიდა ქართველ შეფთან და ყუთში მოთავსებული ძვლის ნამტვრევები აჩვენა: — ჰერ აბესალომ, ეს ძვლები შეგინახოთ თუ გადავყაროო. მეცნიერის მახვილ თვალს არ გამოპპარვია ადამიანის ტერფის ძვლის ფრაგმენტი...

ზეზვა და მზია

თუმცა პირველ თავის ქალამდე „მისვლას“ კიდევ ორი წელი დასჭირდა.

— იმ სეზონზე, — იხსენებს ბატონი აბესალომი, — გათხრები ადრე დავიწყეთ, მაგრამ მაისში ისეთი წვიმები დაიწყო, დროებით გავჩერდით. ერთ დღესაც, ჩემს უმცროს კოლეგებს გოჩა კილაძესა და დავით ჟვანიას უცხოელი მოსწავლეები წაუყვანიათ ექსკურსიაზე დმანისში საგანმანათლებლო პროგრამით და ყურადღება მიუქცევიათ წვიმისგან ჩამოშლილი განათხარის ჭრილისთვის. გოჩამ ძვლის შაურიანისხელა ნატეხი ჩამომიტანა... ადამიანის თავის ქალისა იყო. მეორე დილითაც თავსხმა იყო, მაგრამ მე, ჯუმბერ კოპალიანი და კახა კახაძე მაინც წავედით. ადგილზე მუშაობა შეუძლებელი იყო. ამოვჭერით მოზრდილი ბლოკი განათხარი ორმოდან და თბილისში წამოვიღეთ. რა დამაძინებდა, მთელი ღამე დიდი სიფრთხილით ვწმენდდი იმ ბლოკს (ოღონდ მუშაობაში ხელს ჯუმბერის ზარები მიშლიდა, — ჰა, რას შვრები, აბესალომ, მართლა პრეისტორიული თავის ქალაა?). დილით უკვე აღარც ძილი მახსოვდა და აღარც დაღლა! დმანისელი ჰომინიდის თავის ქალა უკვე თამამად მაძლევდა იმის თქმის უფლებას, რომ საქართველო არა მხოლოდ ჩვენი, არამედ პირველევროპელთა „სამშობლოა“.

ერთ თვეში ჩემი უმცროსი კოლეგა გიორგი ნიორაძე წააწყდა მეორე თავის ქალას. ხელი არ უხლია, ჩვენ დაგველოდა... ამის შემდეგ დაიწყო და დაიწყო მსოფლიო მეცნიერთა გამოხმაურებები.

ახალი აღმოჩენის აღსანიშნავ ფრანგული შამპანურის წვიმაშიც ხშირად მოყოლილა...

მოგვიანებით კონკურსი გამოვაცხადეთ და დმანისელი ჰომინიდებიც „მოუნათლეთ“. ახლა ყველა იცნობს „ზიასა და ზეზვას“. ქართულ სახელებზე უცხოელი მეცნიერები ენას უკვე აღარ იტეხენ.

აღმოჩენათა სერია ფრანგული შამპანურის თანხლებით...

ცნობილმა ამერიკულმა სამეცნიერო ჟურნალმა „საიენსმა“ 2000 წლის მსოფლიო საოცრებათა ათეულში მესამე აღმოჩენად დმანისის ახალი პალეოანთროპოლოგიური მონაპოვარი დაასახელა. მაშინ იმ ორ თავის ქალას არც სახელები ერქვა და არც ხორცშესხმულნი იყვნენ. ჰომინიდების თავის ქალები ფრანგმა მოქანდაკე ელიზაბეტ დენმა გააცოცხლა.

აბესალომ ვეკუა: — სხვადასხვა დროს კიდევ ერთი მამაკაცისა და ქალის თავის ქალები აღმოვაჩინეთ, ასევე მოზარდი გოგონასი, პრეისტორიულ ოთხ ქვედა ყბასაც მივაკვლიეთ.. სხვათა შორის, მშვენიერი ტრადიცია გვაქვს. ახალ აღმოჩენას აუცილებლად ფრანგული შამპანურით „ვასველებთ“, თუმცა არცთუ იშვიათად შამპანურის წვიმაში მეც მოვყვები ხოლმე, როგორც ერთ-ერთი მთავარი „დამნაშავე“. რომ იცოდეთ, საფრანგეთის ყოფილი ელჩი მირეი მიუსო დმანისის ექსპედიციის ხშირი სტუმარი იყო და ნამდილი შამპანურითაც ხშირად გვაჯილდოებდა.

— ბატონო აბესალომ, ფოტოებზე თქვენ გვერდით ხშირად ვხედავთ დავით ლორთქიფანიძეს, მსოფლიოს არაერთი უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორს...

— არა მხოლოდ ფოტოებზე... დათო ძალიან მიზანსწრაფულია. უცხოელებთან კონტაქტის არაჩვეულებრივი ალღო აქვს, კარგი ორგანიზატორია და ახალგაზრდებს მხარში უდგას...

— თქვენ როგორი დირექტორი ხართ?

— იცი, რა ცუდია დირექტორობა? ველზე მთელი წლის მუშაობა მირჩევნია სამსახურში თუნდაც ერთი თანამშრომლის „შემცირებას“...

— რას ეტყვის „ისტორიანის“ მკითხველს აკადემიკოსი აბესალომ ვეკუა?

— აუცილებლად გამოიწერ. მინდა ისეთი პოპულარული გახდეს, როგორიც „საიანსი“ ან თუნდაც „ლიბერასიონია“.

— დასასრულ, ფიქრობთ, რომ მართლა ქუდბედიანი ხართ?

— ბედნიერი ვარ იმით, რომ შევქმენი ტრადიციული ქართული ოჯახი, ხოლო პალეონტოლოგიასა და გეოლოგიაში დავსაქმდი ისე, რომ მუდამ მაქვს მიზანი, რომლის მიღწევაში ძალიან ხშირად ბედიც მწყალობს. მიმაჩნია, რომ მე ჩემს ადგილზე ვარ. ჩემი სურვილი და ნატვრა ჩემი ხალხის კეთილდღეობა და საქართველოს ერთიანობაა. პირადად მე კი თითქმის ყველაფერს მივაღწიე...

კუბის კრიზისი

მართალია ცივი ომი — ეს იყო ომი შეიარაღებული დაპირისპირების გარეშე, თუმცა ყოველთვის არსებობდა მისი „გაცხელების“ რეალური საფრთხე...

მეორე მსოფლიო ომის დასრულებას ცივი ომის ეპოქის დასაწყისი მოჰყვა. ერთ დროს ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ გაერთიანებული ძალები დაპირისპირებულ პოლიტიკურ ბანაკებში აღმოჩდნენ. მართალია ცივი ომი — ეს იყო ომი შეიარაღებული დაპირისპირების გარეშე, თუმცა ყოველთვის არსებობდა მისი „გაცხელების“ რეალური საფრთხე.

მსოფლიო ყველაზე ახლოს ბირთვული კატასტროფის წინაშე 1962 წელს დადგა, ე.წ. კუბის კრიზისის დღეებში. ყველაფერი კი სამი წლით ადრე დაიწყო, როდესაც სამხედრო გადატრიალების გზით ხელისუფლებაში ფიდელ კასტრო მოვიდა. კასტროს კომუნისტურმა რეჟიმმა ბრძოლა გამოუცხადა აშშ-ის სავაჭრო ინტერესებს. ამერიკამ კუბიდან შაქრის მიღება და მისთვის ნავთობის მიწოდება შეწყვიტა. 1961 წლიდან, რაც აშშ-ის ხელისუფლების სათავეში ჯონ ფიცჯერალდ კენედის ადმინისტრაცია მოვიდა, კუბაში პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა ერთ-ერთ ძირითად ამოცანად გადაიქცა.

პრეზიდენტი ჯონ კენედი თავის მრჩველებთან ერთად „ექსკომის“ სხდომის დასრულების შემდეგ. 1962 წლის 29 ოქტომბერი

ამერიკელებმა ორჯერ სცადეს კასტროს რეჟიმის ჩამოგდება. 1961 წლის აპრილში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ (CIA) საგანგებოდ გაწვრთნილ კუბელ ემიგრანტთა ჯგუფი ღორების ყურის გავლით გადასხდა კუნძულზე, მაგრამ კუბის თავდაცვის ძალებმა იოლად მოახერხეს მათი განადგურება. ასევე წარუმატებელი აღმოჩნდა 1962 წელს ჩატარებული ოპერაცია „ორტსაკ“ (ORTSAC), ანუ „კასტრო“ თუ მას უკუღმა წავიკითხავთ. ამ ორმა წარუმატებელმა ოპერაციამ გამოუვალ მდგომარეობამდე მიიყვანა ისედაც დაძაბული აშშ-ისა და კუბის ურთიერთობა.

ასევე პრობლემას ქმნიდა ამერიკელთა მიერ ევროპის ტერიტორიაზე განთავსებული იუპიტერის ტიპის რაკეტები. იტალიასა და ინგლისში განთავსებულ რაკეტებზე საბჭოთა კავშირს შეეძლო თვალი დაეხუჭა, მაგრამ თურქეთის ქალაქ იზმირში საშუალო მოქმედების რადიუსის 15 რაკეტა მის პრესტიჟსა და უსაფრთხოებაზე დადებითად ნამდვილად ვერ იმოქმედებდა. იზმირის ბირთვულ არსენალს შეეძლო საფრთხე შეექმნა თვით იმპერიის დედაქალაქისთვის. კონფლიქტის უკიდურესი ესკალაციის შემთხვევაში რაკეტები დამიზნებული იყო თბილისზეც.

1962 წლის ზაფხულში საბჭოთა კავშირმა კუბაში ბირთვული ქობინების განთავსება დაიწყო. ამ დროს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეფი ჯონ მაკკონი თაფლობის თვეს ატარებდა პარიზში. საგანგაშო ინფორმაცია მან სასწრაფოდ გადასცა პრეზიდენტ კენედის. ამერიკელებს კი საბჭოთა დიპლომატები ამშვიდებდნენ, მსგავსი არაფერი ხდებაო. სწორედ ეს განაცხადა კენედიმ 4 სექტემბერს კონგრესზე გამოსვლისას. 8 და 16 სექტემბერს საბჭოელებმა კუნძულზე SS-4 ტიპის რაკეტების ორი პარტია შეიტანეს. ცხრა ბაზის აშენებას გეგმავდნენ, მათ შორის ექვსს SS-4, ხოლო სამს — SS-5 ტიპის რაკეტებისთვის.

დამაიმედებელი ინფორმაციის მიუხედავად, ამერიკელებმა U-2 ტიპის თვითმფრინავებით სადაზვერვო ფრენები დაიწყეს. 14 ოქტომბერს U-2-ის მიერ გადაღებულ ფოტოებზე აღბეჭდილი იყო სან კრისტობალის მახლობლად მდებარე საბჭოთა სამხედრო ბაზა. აღნიშნული ფოტოები პრეზიდენტს 16 ოქტომბერს წარუდგინეს. სწორედ 16 ოქტომბერი ითვლება კუბის ბირთვული კრიზისის დაწყების თარიღად.

ამის შემდეგ მოვლენათა განვითარების ქრონოლოგია ასეთია: კენედიმ სასწრაფოდ შეკრიბა მრჩეველთა საბჭო, რომელსაც მოგვიანებით „ექსკომი“ (სახელმწიფო უშიშროების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი — ExComm, Executive Committee of the National Security Council) ეწოდა. მის შემადგენლობაში შედიოდნენ: ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონ ფიცჯერალდ კენედი, ვიცე-პრეზიდენტი — ლინდონ ჯონსონი, სახელმწიფო მდივანი — დენ რაკი, ფინანსთა მინისტრი — დუგლას დაილონი, თავდაცვის მდივანი — რობერტ მაკნამარა, გენერალური პროკურორი — რობერტ ფიცჯერალდ კენედი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი — ჯონ მაკკონი, შეიარაღებული ძალების შტაბის მეთაური — გენერალი მაქსველ ტეილორი და სხვა ოფიციალური პირები თეთრი სახლიდან, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტიდან, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოდან და პენტაგონიდან. ექსკომი სიტუაციის შესაძლო განვითარების რამდენიმე სცენარს განიხილავდა: ევროპიდან ამერიკული რაკეტების გატანით დაწყებული, კუბაზე ან საბჭოთა კავშირზე სწრაფი ბირთვული იერიშის მიტანით დასრულებული, მაგრამ საბოლოოდ თეთრმა სახლმა სულ სხვა გადაწყვეტილება მიიღო.

19 ოქტომბერს გადაღებულმა აეროფოტოებმა დაადასტურა, რომ კუბაში უკვე მოქმედებდა ოთხი საბჭოთა ბაზა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის აშშ-ის ბირთვული პოტენციალი რვაჯერ აღემატებოდა საბჭოთა კავშირისას, რადიკალური გადაწყვეტილების მიღებისგან თეთრ სახლში თავს იკავებდნენ.

22 ოქტომბერს კენედიმ კონგრესზე გამოსვლისას კუბაზე არსებული სიტუაცია მკაცრად შეაფასა და იმავე დღეს კუბის წინააღმდეგ საზღვაო კარანტინი გამოაცხადა. სატელევიზიო გამოსვლაში კი განაცხადა, რომ კუბის მხრიდან ნებისმიერი თავდასხმა აშშ-ზე გაგებული იქნებოდა, როგორც სსრკ-ის თავდასხმა და მას სათანადო პასუხი გაეცემოდა.

თავის მხრივ ხრუშჩოვმა საზღვაო კარანტინი უკანონო აქტად შეაფასა და განაცხადა, რომ საბჭოელები არ დაემორჩილებოდნენ კენედის ბრძანებას. მიუხედავად ამისა, 24 ოქტომბერს რამდენიმე საბჭოთა გემი კარანტინის ზონასთან ახლოს გაჩერდა. სიტუაცი-

ფიდელ კასტრო და ნიკიტა ხრუშჩოვი

ის გამწვავებას საბჭოელებიც ერიდებოდნენ. ხრუშჩოვმა ამის შესახებ მისწერა კიდეც კენედის, თუმცა მისმა წერილებმა სიტუაციის გამოსწორება ვერ შეძლო. 25 ოქტომბერს გამართულ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ამერიკის ელჩმა ალდაი სტივენსონმა კითხვით მიმართა საბჭოთა კავშირის ელჩს ვალერიან ზორინს, იყო თუ არა განთავსებული კუნძულ კუბაზე მათი ბირთვული შეიარაღება. მას შემდეგ რაც საბჭოთა დიპლომატმა დასმულ შეკითხვას არ უპასუხა, სტივენსონმა უშიშროების საბჭოს მზვერავი თვითმფრინავის მიერ გადაღებული ფოტოები წარუდგინა, რომელზეც კარგად ჩანდა კუნძულზე საბჭოთა სამხედრო ბაზები.

26 ოქტომბერს თეთრი სახლიდან კრემლში წერილი გაიგზავნა იმის შესახებ, რომ კუბიდან ბირთვული შეიარაღების გატანა იქნებოდა ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობათა მოგვარების საწინდარი, თუმცა მეორე დღეს ამერიკელებს დიდი სიურპრიზი ელოდათ.

27 ოქტომბერს კუბის თავდაცვის ძალებმა ამერიკული მზვერავი U-2 ჩამოაგდეს. ამ ფაქტმა უკიდურესად დაძაბა მდგომარეობა. საჭირო იყო დათმობებზე წასვლა ორივე სახელმწიფოს მხრიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბირთვული კატასტროფა გარდაუვალი ხდებოდა. იმავე დღეს ამერიკელებმა კრემლს აუწყეს, რომ თანახმა იყვნენ ექვს თვეში თურქეთიდან გაეტანათ თავიანთი ბირთვული არსენალი იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირი კუბიდან გაიტანდა თავის რაკეტებს. პარალელურად პრეზიდენტმა ვაშინგტონში საბჭოთა კავშირის საელჩოში მოლაპარაკებებზე გაგზავნა თავისი ძმა, იუსტიციის მდივანი და გენერალური პროკურორი რობერტ კენედი.

გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა, 25.10.1962

ამერიკული თანამგზავრიდან გადაღებული „თავისუფლების კუნძული“

28 ოქტობერს ხრუშჩოვმა გასცა ბრძანება, კუბიდან ბირთვული შეიარაღების გატანის შესახებ.

სწორედ 28 ოქტომბერი ითვლება კარიბის კრიზისის დასრულების თარიღად. საბოლოოდ სანქციები კუბისადმი აშშ-მა 20 ნოემბერს შეწყვიტა, როდესაც კენედიმ კუბის წინააღმდეგ საზღვაო კარანტინის გაუქმების ბრძანება გასცა. ცოტა ხანში საბჭოთა კავშირმა კუნძულიდან თავისი შეიარაღება გაიტანა. პირობის შესაბამისად, ექვს თვეში აშშ-მა თურქეთიდან უკანასკნელი „იუპიტერი“ გაიტანა.

კრიზისის დასრულების შემდეგ ამ მოვლენებს აშშ-სა და საბჭოთა კავშირში განსხვავებული შეფასება მიეცა. ორივე მხარემ გამარჯვებულად საკუთარი თავი გამოაცხადა და ორივეს ჰქონდა თავისი ლოგიკა. ისტორიკოსთა შორის ამ თემის გარშემო კამათი დღემდე არ წყდება, თუმცა გაცილებით საინტერესოა რას ამბობდნენ ამაზე აშშ-ისა და სსრკ-ის ლიდერები.

კრიზისის დასრულების შემდეგ ნიკიტა ხრუშჩოვი აცხადებდა, რომ საჭირო იყო აზრთა გაცვლა ატომური და თერმობირთვული შეიარაღების აკრძალვის შესახებ... საერთაშორისო დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად. პირველ ნოემბერს კენედისადმი გაგზავნილ წერილში იგი წერდა: „ჩვენ გადავაბიჯეთ ჩვენს თავმოყვარეობას და ორივე კმაყოფილი დავრჩით... მე ვიტყოდი – ჩვენ, ორივემ, დავუთმეთ გონიერებას და გამოვნახეთ ნათელი გამოსავალი, რომელმაც ყველას მისცა მშვიდობის გარანტია“.

რაც შეეხება კენედის, მან ერთი წლის შემდეგ სტუდენტების წინაშე გამოსვლისას ბირთვულ კრიზისს ასეთი შეფასება მისცა: „საბოლოოდ მთავარი, რაც ჩვენ გვაკავშირებს, ეს არის პლანეტა, რომელზეც ვცხოვრობთ, ჰაერი, რომლითაც ვსუნთქავთ. ჩვენთვის, ყველასთვის უმთავრესია შვილების მომავალი და, რაც მთავარია, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველანი მოკვდავნი ვართ“.

ძნელია არ დაეთანხმო კენედის.

ჯონ კენედი და ნიკიტა ხრუშჩოვი

ჯონდაჯის ახალი სიცოცხლე

ახალმიკვლეული 1710 წლის ძველნაბეჭდი კონდაკი საისტორიო მინაწერებით (XVIII-XIX სს.)

2009 წელი საქართველოში სასტამბო ხელოვნების საიუბილეო წელი იყო. სასტამბო საქმეს ჩვენში სამასწლოვანი ისტორია აქვს. ქართული სტამბის დაარსება ქართლის გამგებლის, შემდგომში მეფის ვახტანგ VI-ს (1716-1724) სახელს უკავშირდება. ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი წიგნებისათვის დართული ანდერძები ძვირფას ცნობებს გვაწვდიან ამ საქმის მოთავეებისა და მონაწილეების შესახებ. სწორედ აღნიშნული ანდერძებიდან ირკვევა, რომ იმხანად ქართლის გამგებლად მყოფი ვახტანგ VI-ს (1703-1712) ინიციატივით, იერუსალიმის პატრიარქის ხრისანთეს ხელშეწყობითა და ვლახეთში მოღვაწე წმ. ანთიმოზ ივერიელის (1650-1717) მონაწილეობით თბილისში გამოიგზავნა ანთიმოზის მოწაფე უნგროვლახელი მიხეილ იშტვანოვიჩი, რომელმაც 1708-1709 წლებში თბილისში მტკვრის პირას, მეფის სასახლის ახლოს, პირველი ქართული სტამბა გამართა. 1709 წელს თბილისის სტამბაში დაიბეჭდა „სახარება“, „დავითნი“ და „სამოციქულო“. ვახტანგის სტამბის რიგით მეოთხე გამოცემა 1710 წლის კონდაკი იყო. ამის შემდეგ 1710-1722 წლებში სულ თოთხმეტი დასახელების სასულიერო, სასწავლო და საერო ხასიათის წიგნი დაიბეჭდა. ვახტანგის სტამბამ 1722 წლამდე იარსება. მისი რუსეთში ემიგრაციის შემდეგ თბილისის სტამბამ არსებობა შეწყვიტა. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ თბილისის სტამბაში დაბეჭდილი ყველა წიგნი რარიტეტული თვალსაზრისით თანაბრად მნიშვნელოვანია, მაგრამ ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანს 1710 წლის კონდაკი წარმოადგენს.

2007 წლის 19 იანვარს ისტორიულ სიძველეთა ძიებისას დუშეთის რაიონის სოფელ ჭართალში ჩიტაურების საოჯახო ბიბლიოთეკაში მივაკვლიე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ 1710 წლის კონდაკის კიდევ ერთ, რიგით მეთხუთმეტე ეგზემპლარს. წიგნი მეპატრონის, ნელი ჩიტაურის სურვილით ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადავეცი. კონდაკთან ერთად აღმოჩნდა, სავარაუდოდ, XIX საუკუნის კურთხევანი, რომელიც თავის მხრივ მერმინდელ მინაწერებს შეიცავს.

1710 წლის კონდაკის შესახებ სამეცნიერო საზოგადოებას პირველი, ზოგადი ხასიათის ცნობები მიაწოდა დიმიტრი ბაქრაძემ, რომელ-

მაც 1873 წელს ქუთაისში, სვიმონ აბაშიძის ოჯახში მიაკვლია კონდაკის ერთ-ერთ ეგზემპლარს და რამდენიმე ცნობა გამოაქვეყნა წიგნში: „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“. 1875 წელს გაზეთ „დროების“ №38-ში დაიბეჭდა დავით წერეთლის სტატია, რომელსაც ამავე წელს საჩხერეში უნახავს კონდაკის ერთი ეგზემპლარი. მოგვიანებით ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე მოკლედ აღწერს ამ წიგნს. 1710 წლის კონდაკს მეცნიერი აღუფრთოვანებია, რაც გასაკვირი ნამდვილად არ არის, ვინაიდან წიგნში გამოყენებული შრიფტის მრავალფეროვნება და მისი შემკულობა ქართული სასტამბო საქმის დიდ წარმატებაზე მეტყველებს.

1710 წლის კონდაკს XIX-XX საუკუნის ქართველ მკვლევართა პუბლიკაციებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. წიგნი ხისაა ტყავის გარეკანით, რომელიც გემოვნებითაა დამუშავებული. ძირითადი ტექსტი ნაბეჭდია ნუსხახუცურით. ასევე გამოყენებულია ქართული ასომთავრული და მხედრული, აგრეთვე ბერძნული შრიფტი. გამოცემა თავფურცლიდან მოყოლებული ბოლო გვერდამდე ბეჭდვითი ხელოვნების იშვიათი ნიმუშია. წიგნის გაფორმების ტექნიკა დახვეწილია და ცალკეული ფურცელი ორნამენტული დეკორითაა შემკული.

კონდაკის თავფურცლის ტექსტი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ამ წიგნის რაობის, მისი დაბეჭდვის ადგილის, დროისა და უშუალო მონაწილეთა შესახებ.

დასაწყისში აღნიშნულია წიგნში თავმოყრილი ტექსტების შესახებ. კრებული სასულიერო ხასიათისაა, სადაც შესულია სამი დიდი წმინდა მამის — იოანე ოქროპირის, ბასილი დიდისა და გრიგოლ დიოლოღოსის ლიტურღია და ასევე სამღვდელმსახურო დანიშნულების ტექსტები.

თავფურცელზე მოიხსენიებიან ისტორიული პირები:

„აწ ახალი დაბეჭდილი ქართულსა ენასა ზედა, ჟამსა ამაღლებულისა მეფისა უფლისა უფლისა ქაიხოსროსსა.

შრომითა წარსაგებელითა საფასეთათა განმგებლისა მისისა ბატონის შვილის უფლისა უფლისა ვახტანგისსა.

გაიმართა ხელითა გერმანე მღვდელ-მონაზონისათა.

ხელითა მესტამბე მიხაილ სტეფანე შვილისა უნგროვლახელისა.

ქალაქსა ტფილისისასა

ქრისტეს აქეთ ჩღი“.

აქ მოხსენიებული მღვდელ-მონაზონი გერმანე სარედაქციო საქმეს ეწეოდა. მან 1711 წელს სტამბაში დაბეჭდა წიგნი: „სწავლა, თუ ვითარ ჰმართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“, რომელიც ერთგვარი სახელმძღვანელოა.

თავფურცლის მეორე გვერდზე წარმოდგენილია ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი. გერბის გარშემო წარწერაა: „ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხყოს იგი ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთა“.

გერბის ცენტრალურ არეზე გამოსახულია ოთხკუთხა ჩარჩოში ჩასმული უფლის კვართი, რომელიც მთის მწვერვალზე აქეთ-იქიდან უჭირავს ორ ლომს წინა თათებით. დავითის ქნარი და შურდული ატანილია ჩარჩოს მაღლა, გადაჯვარედინებულ სკიპტრასა და ხმალს ზემოთ მდებარე გვირგვინის ქვეშ. მარცხნივ

ვახტანგ VI-ს მინიატიურა კონდაკის ფურცელზე



მინაწერი, რომელშიც იხსენიება გიორგი, ლევანი, თუთა და ვახტანგი

გამოსახულია ჯვრიანი სფერო, მარჯვნივ კი — სასწორი. ბაგრატიონთა გერბის ქვეშ მისი სიმბოლიკის განმარტებაა ლექსად, რომელშიც მინიშნებულია ბაგრატიონთა დინასტიის ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ:

„ამ შურდულითა დავით სძლო გოლიათს,
არ თუ ზავებდა.
ლომნი ტახტისა სოლომონს შვიდ
სიბრძნეს მოუსწავებდა.
მხსნელი, ვინ აღთქმას უდებდა,
ქმნულთ ეგრე გაუთავებდა
და, ვით ძალედვა და შეჰგვანდა,
მის მტერზედ ეგრე დავებდა.
ქართველთ მეფენი დავითის გვარტომობით,
მოდგამობითა,
თვით ყოვლად წმიდა, უბიწო არს
მათ ძირთაგან შობითა.
ვართ მისთვის წილად ხდომილნი და
მისის იმედობითა;
და ამად არ ვიქმნეთ უხილველ, მტერთაგან
ლახვარ სობითა“.

ტექსტის მიხედვით ბაგრატიონები ებრაელთა მეფის დავით წინასწარმეტყველის ხორციელი შთამომავლები და ღვთისმშობლის ნათესავები არიან.

წიგნის მომდევნო გვერდზე წარმოდგენილია ვახტანგ VI-ს ანდერძი, რომელშიც მოხსენიებულია მისი გვირგვინოსანი წინაპრები, მშობლები და მეუღლე. ასევე ანდერძიდან ვიგებთ, თუ რა მიზანს ემსახურებოდა სტამბის დაარსება.

„სადიდებელად წმიდისა სამებისა, მე, გვარტომობით, ძირმოდგმობით დავითიანმან, ძის ძემან სახელგანთქმულის მეფის ვახტანგისამან, ძმის წულმან ქებულის მეფის არჩილისამან და დიდად სახელოვანის ქართველთ მეფისა გიორგისამან და ძემან დიდად პატიოსანის ლევანისამან, გამგებელმან ქართლისამან, ბატონის შვილმან ვახტანგ, მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა სახსრად სულთა წინათქმულთა მეფეთასა, მამისა და დედისა ჩემისა გურიელის ასულის თუთასათვის, სალხინებელად სულისა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა ჩერქეზის ბატონის ასულის რუსუდანისა, ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად“.

ამდენად, სტამბის მოწყობა და მისი ფუნქციონირება ერთობლივად ხელს უწყობდა როგორც სულის სასარგებლო, ასევე საზოგადოების სწავლა-განათლების საქმეს.

შემდეგ სამ გვერდზე მხედრული შრიფტითაა დაბეჭდილი უნგროვლახელი მიხეილ იშტვანოვიჩის, ქართულად სტეფანეშვილის ანდერძი.

წიგნში გვხვდება სულთმოფენობის და ჯვარცმის სახარებისეული სცენები, აგრეთვე მაცხოვრისა და დიდი საეკლესიო მამების ბასილი დიდის, იოანე ოქროპირისა და გრიგოლ დიოლოღოსის იკონოგრაფიული გამოსახულებები.

წიგნის ბოლო ფურცლის verso-ზე ვახტანგ VI-ს ცნობილი გრაფიკული პორტრეტია დასტამბული. პორტრეტის ირგვლივ ასომთავრული წარწერაა:

„მადიდებელი წმინდისა სამებისა და ერთარსებისა, ძე, გვარტომობით, დავითიან სო-



ლომონიან პანკრატიონი, ძე, ძირითგან კეთილოვანთა, ძის ძე მეფეთა, გამგებელი ქართლისა ბატონისშვილი ვახტანგ, მომღები ბეჭდისა ამის, — უფალო! დაიცევ ორთავე შინა ცხოვრებასა მეუღლით, ძით და ასულით“. გამოცემაში პორტრეტის მოთავსება უნდა აღნიშნავდეს ვახტანგის პირად დამსახურებას სტამბის მოწყობის საქმეში.

აქვე მხედრული ასოებით დაბეჭდილია რუმინული ლექსი, ხოლო მის ზემოთ ამავე ლექსის ქართული ვარიანტია:

„ვითარცა უცხონი იხარებენ ხილვასა
ზედა თავისთა სამკვიდრებელთასა
და ზღვათა შინა მავალნი ხილვასა ზედა
ნავთსაყუდელთასა,
ეგრეცა მესტამბენი იხარებენ
განსრულებასა ზედა წიგნთასა“.

წიგნის ისტორიულ ღირებულებასა და მის მნიშვნელობას თავის მხრივ განსაზღვრავს არშიებზე დატანილი XVIII-XIX საუკუნეების მინაწერები, რომლებიც ძირითადად წიგნის გვიანდელ მეპატრონეთა მიერაა შესრულებული. თუმცა აქვე გვხვდება სრულიად განსხვავებული ხელნაწერი ტექსტი, რომელიც თვით კონდაკზე ადრეულია და ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსაზრებას გვიქმნის ბეჭდვის პროცესისას ქაღალდის გამოყენების თავისებურებებზე.

ადრეული ხელნაწერი ტექსტი დაშლილია ცალ-ცალკე და ამგვარად იკითხება: „უნდა სწიროს მეფის გიორგისათვის, ლევანისათვის, თუთასათვის, ვახტანგისათვის“.

აღსანიშნავია, რომ წარწერა ფურცლის ზედა კიდეზეა შესრულებული, ხოლო ასოების ზედა ნაწილი ერთხაზოვნად წაჭრილია. როგორც ჩანს, მესტამბეს უკვე ხმარებული ქაღალდი, სადაც აღნიშნული ტექსტი იყო შესრულებული, დაუჭრია და თავისი მიზნებისათვის დასაბეჭდად გაუმზადებია. გვირგვინოსანი მეფე გიორგი XI აქ ცოცხლად იხსენიება. მისი მეფობა 1702-1709 წლებით განისაზღვრება, შესაბამისად, ტექსტიც ამავე პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს.

მინაწერები კალიგრაფიითა და წერითი სტილით ერთმანეთისგან განირჩევა. ამ კოლოფონებიდან ყველაზე ადრეული უნდა იყოს იოსებ ბერიძის ხელით შესრულებული მინაწერები, რომელიც სავარაუდოდ, XVIII საუკუნისა უნდა იყოს. აქვე იხსენიება ზაქარია, რომელიც XIX საუკუნის I ნახევარში ჭართლის თორმეტი მოციქულის სახელობის ტაძარში წირავდა, ხოლო მისი ვაჟი იაკობ ჩიტაური, რომლის სახელიც ამავე მინაწერებში დასტურდება, XIX საუკუნის II ნახევარში მოღვაწეობს. ხალხში შემონახული გადმოცემით, იგი საკმაოდ განსწავლული და გავლენიანი პიროვნება ყოფილა.

ამჟამად, ჩვენ მიერ მიკვლეული 1710 წლის კონდაკი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. წიგნი ძლიერ იყო დაზიანებული. აღსანიშნავია, რომ დღეს წიგნს რესტავრაცია უტარდება. ვინ იცის, კიდევ რამდენ ასეთ ისტორიული მნიშვნელობის ხელნაწერს, დოკუმენტს თუ ნივთს ინახავს ჩვენი მადლიანი და კურთხეული მთა. ■

ინგუშებს აქვს ხანები ჰყოლიათ, აქვს ბეგები და აქვს თავადები...

თუ ინგუშს ვაჟი მოუკვდებოდა, მასთან მივიდოდა იმავე წელს გარდაცვლილი ქალიშვილის მამა. ეს უკანასკნელი ვაჟის მამას ეუბნებოდა, შენს შვილს იმ ქვეყანაში ცოლი სჭირდება და მე მას ჩემი ქალიშვილის ხელს ვაძლევო. არ შეიძლებოდა გარდაცვლილი ქალიშვილის მამისთვის უარი ეთქვათ. ამ შემთხვევაშიც გარდაცვლილი ვაჟის მამა ჩვეულებრივ ურვადს იხდიდა, სასიძოსთვის დაწესებულ საკმაოდ დიდ საქორწინო გადასახადს.

ინგუშები

სტუმრის ეთნიკურობასა და სარწმუნოებას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ოჯახის უფროსი პასუხისმგებელი იყო სტუმრის სიცოცხლეზე. სტუმართმოყვარეობის დამრღვევი მკაცრად გაიკიცხებოდა და თემი ისე სჯიდა, როგორც დამნაშავეს. სტუმართმოყვარეობის ტრადიცია ინგუშეთში ფაქტობრივად არ ირღვეოდა. სტუმართმოყვარეობის კანონი სისხლის აღების კანონზე მაღლა იდგა.

ინგუშები კავკასიის ერთ-ერთი უძველესი ხალხია. ინგუშების თვითსახელწოდებაა ღალღაი. 2002 წლის მონაცემებით რუსეთის ფედერაციაში 412 ათასი ინგუში ცხოვრობდა. გარდა ინგუშეთისა ისინი კომპაქტურად მკვიდრობენ ჩრდილოეთ ოსეთშიც. ეს ტერიტორია — პრიგოროდნის რაიონი — ოსებს საბჭოთა ხელისუფლებამ მეორე მსოფლიო ომის ბოლოს, ინგუშთა შუა აზიაში გადასახლების შემდეგ გადასცა. 1989 წლის მონაცემებით, ჩრდილოეთ ოსეთში 32,8 ათასი ინგუში ცხოვრობდა. მცირე ჯგუფებად მკვიდრობენ ყაზახეთში, შუა აზიასა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ინგუშები ჩაჩნების მონათესავენი არიან. ინგუშური და ჩაჩნური ენები იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ ჯგუფში შედის. ინგუშების თვითსახელწოდება მათი ერთ-ერთი ლოკალური ტერიტორიული ჯგუფის სახელიდან — ღალღებიდან მომდინარეობს, რომლებსაც სხვანაირად ხამხელებსაც უწოდებდნენ. ლეგენდის თანახმად, ინგუშების (ღალღაელების) წინაპარს ერქვა ღა, რომელსაც ორი შვილი — ღალღაი და ღაბერტე ჰყავდა. გარდა ღალღებისა (ხამხელებისა) ინგუშების ლოკალური (ტერიტორიული) ჯგუფები იყო აგრეთვე: ჯარიახელები, მეცხალელები (იწოდებოდნენ ქისტებადაც), ცორიელები, გალაშელები, ნაზრანელები. ქართული საისტორიო წყაროებით, ინგუშები ღლიღვებად იწოდებოდნენ. მათ მეზობელი ქართველი მთიელები ქისტებადაც მოიხსენიებდნენ, თუმცა ეს ეთნონიმი ჩაჩნებსაც აღნიშნავდა. რაც შეეხება ეთნონიმს „ინგუში“, ის წყაროებში

XVIII საუკუნის დასაწყისში გაჩნდა და მომდინარეობს სოფელ ანგუშტის სახელწოდებიდან. რუსებმა ინგუშები სწორედ ამ სოფლის — ანგუშტის საშუალებით გაიცნეს და ხალხსაც მთლიანად სოფლის სახელიდან გამომდინარე „ინგუშები“ დაარქვეს, რაც შემდეგ საყოველთაოდ გავრცელდა.

ოდესღაც ინგუშები და ჩაჩნები კავკასიის მთისწინეთსა და ბარშიც მკვიდრობდნენ. მთებში საბოლოოდ ირანული, თურქული და მონღოლური მომთაბარე ტომების თარეშის შედეგად შევიდნენ. ინგუშური (და ჩაჩნური) გადმოცემებით, მათი წინაპრები ებრძოდნენ იურტებში მცხოვრებ მოსულთა დიდ ურდოებს.

ინგუშების მთიდან ბარში მიგრაცია XVI-XVII საუკუნეებში დაიწყო. დღევანდელი განსახლების არეალი კი XVII საუკუნიდან ჩამოყალიბდა. ინგუშებს XVI-XVIII საუკუნეებში უცხოვრიათ ლარსის მიდამოებში. XVIII საუკუნის 20-იან წლებამდე ვაინახური მოსახლეობა აქ ოსურმა შეცვალა. XVIII საუკუნეში ლარსში, ჩმიში და ბალთაში მცხოვრები ოსები ინგუშებს მიწის სარგებლობისთვის გადასახადს უხდიდნენ. ინგუშებს უცხოვრიათ ქურთათისა და დარგვის ხეობებშიც, საიდანაც ყაბარდოელთა და ოსთა ზეწოლის გამო, აყრილან და სანიბის ხეობაში დასახლებულან, შემდეგ კი — ჩმის გავლით, თურგის მარჯვენა ნაპირზე. იგივე შეიძლება ითქვას მდ. არმხის ხეობაზე, სადაც XVIII საუკუნში ოსები დასახლდნენ.

ინგუშებისა იყო თანამედროვე ვლადიკავკაზის ტერიტორიაც. აქ არსებულ ინგუშურ სოფელს ზაუროგო (ზაურეგი) ერქვა, რომელშიც შერეული იყო გამოქცეული ოსური გვარებიც. ამ ადგილზე შემდეგ რუსული ციხესიმაგრე ვლადიკავკაზი გაჩნდა, რომელიც დღეს ჩრდილო ოსეთის დედაქალაქია. ინგუშური იყო ვლადიკავკაზის პრიგოროდნის რაიონიც.

ინგუშეთი რუსეთის შემადგენლობაში 1810 წელს შევიდა. ხელშეკრულება, რომელსაც ინგუშების მხრიდან ხელს შვიდი გავლენიანი გვარის წარმომადგენელი აწერდა, საშუალებას აძლევდა მათ გადასახლებულიყვნენ ბარში, რუსეთის ქვეშევრდომობაში გადასვლის პირობით. 1810 წლის შემდეგ ნაზრანის რაიონში და უფრო ჩრდილოეთითაც წარმოიქმნა მრავალრიცხოვანი ინგუშური დასახლება. XIX საუკუნის II ნახევარში ინგუშური მო-



ინგუშეთში შემორჩენილია მრავალი ქრისტიანული ძეგლი. ინგუშეთის მთებში ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეებში მოსახლეობა ქრისტიანულ რელიგიას აღიარებდა. ის აქ საქართველოდან XII საუკუნეში გავრცელდა. შემორჩენილია ტაძრები: თხაბა-ერდი, ალი-ერდი, თარგიმი...

თხაბა-ერდის ძველი ეკლესია

ჩრდილოეთ კავკასიის ფედერაციული ოლქი
ჩრდილოეთ ოსეთი
ინგუშეთი
ნაზრანი
ჩეჩნეთი
ყაბარდო-ბალყარეთი
ყარაჩაი-ჩერქეზეთი
ადიღე
ყუბანი
ტერეკი
დაღესტანი
ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალური ოლქი
სამხრეთ კავკასიის ფედერალური ოლქი
ვოლგისპირეთის ფედერალური ოლქი
ცენტრალური ფედერალური ოლქი
ცენტრალური შავიმიწისპირეთი
ჩრდილოეთ-დასავლეთ ფედერალური ოლქი
ურალის ფედერალური ოლქი
ციმბირის ფედერალური ოლქი
აღმოსავლეთ ფედერალური ოლქი
ბაიკალისპირეთი
ტუვა
ალტაი
ალტაი-ბარნაული
ალტაი-ბიისკი
ალტაი-ბიისკი
ალტაი-ბიისკი

დასახლებული. ზოგიერთი გვარი ერთმანეთისგან ახლოს მდებარე რამდენიმე სოფელში მკვიდრობდა. თითქმის ყველა სოფელში იყო თავდასაცავი, საცხოვრებელი და სათვალთვალო კოშკები. საცხოვრებლის გავრცელებული ტიპი ქვის ორსართულიანი სახლი იყო. ქვედა სართული, ჩვეულებრივ, პირუტყვის სადგომს წარმოადგენდა, ზედა კი — საცხოვრებელს. სასტუმრო სახლი საცხოვრებელი სახლისგან მოშორებით იდგა. დიდი რაოდენობით გვხვდებოდა სამსართულიანი საცხოვრებელი კოშკებიც, რომლებშიც გაუყოფელი, დიდი ოჯახები ცხოვრობდნენ. ყველა ინგუშური საბრძოლო კოშკი არქიტექტურის ღირსშესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს. თუ საცხოვრებელი კოშკების სიმაღლე 10 მეტრს აღწევდა, ნახევრად საბრძოლო კოშკების სიმაღლე 12-დან 16 მეტრამდე მერყეობდა. კლასიკური საბრძოლო კოშკები, რომლებსაც პირამიდული გადახურვა ჰქონდა, 5-6-სართულიანი იყო და მათი სიმაღლე 25-27 მეტრს აჭარბებდა. ინგუშები კოშკებსა და სხვა ნაგებობებს თავიანთ საზღვრებს გარეთაც აშენებდნენ. გადმოცემით ინგუშებს ბევრი კოშკი აუშენებიათ ოსეთში.

კოშკები ინგუშთა სიამაყეა!..

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ინგუშების ტანსაცმელი თითქმის ისეთივე იყო, როგორიც ჩრდილოეთკავკასიელი მეზობელი ხალხებისა. მამაკაცის კოსტიუმის სპეციფიკური ელემენტია თავსაბურავი — მაღალი, ზედა ნაწილისაკენ გაფართოებული ფაფახი. ინგუში ქალების თავსაბურავი რქის მოყვანილობის იყო. ასეთი სახის თავსაბურავი XV-XVII საუკუნეების აკლდამებშიც (მიწისზედა დასაკრძალავ ნაგებობებში) არის დაფიქსირებული.

შუა საუკუნეების ინგუშეთში განვითარებული იყო საიუველირო საქმიანობა. ინგუშები იარაღის (ფარი და მახვილი, საბრძოლო დანა, ხანჯალი, ხის მშვილდ-ისარი) შესანიშნავი ოსტატებიც იყვნენ. მჭედლები ამზადებდნენ ცხვრის საკრეჭ მაკრატლებს, დანებს, ქვაბებს, ნამგლებს და სხვ. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა აგრეთვე ხის, ქვის, ტყავის დამუშავებას. XVIII საუკუნეში ინგუშები ტყავგადაკრულ ხის მრგვალ ფარებს, პირდაპირ და მოღუნულტარიან ხანჯლებს ატარებდნენ.

ინგუშეთის მოსახლეობა სოციალურად დიფერენცირებული არ ყოფილა. მათ არც ხანები, ბეგები და თავადები ჰყოლიათ. სოციალური დიფერენციაციის ტენდენციებს თემი ძირშივე სპობდა. ინგუშეთის მთის საზოგადოების მთავარ ფიგურას თავისუფალი მეთემე წარმოადგენდა. ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი ორგანო სასოფლო თემი იყო. საოჯახო ურთიერთობებში შემორჩენილი იყო დიდი ოჯახი, პატრონიმია, ლევირატი, მრავალცოლიანობა. დიდი ოჯახები უფრო მეტი რაოდენობით მთაში არსებობდა. ინგუშებში ქორწინება ეგზოგამიური იყო, რაც მათი ყოფისათვის დღესაც დამახასიათებელია. ნათესავებს შორის საქორწინო კავშირები მერვე და მეთორმეტე თაობამდეც იკრძალებოდა. დასაქორწინებლად საჭირო იყო არა მხოლოდ მამის, არამედ პატრონიმიის უხუცესის თანხმობაც. ქორწინებისას ერთგვარ დაბრკოლებას წარმოადგენდა ურვადი, სასიძოსთვის დაწესებული საკმაოდ დიდი გადასახადი. XIX საუკუნეში ინგუშთა ყოფაში საინტერესო წეს-ჩვეულება დაუფიქსირებიათ. თუ ინგუშს ვაჟი მოუკვდებოდა, მასთან

ინგუშეთის მთებში

მივიდოდა იმავე წელს გარდაცვლილი ქალიშვილის მამა. ეს უკანასკნელი ვაჟის მამას ეუბნებოდა, შენს შვილს იმ ქვეყანაში ცოლი სჭირდება და მე მას ჩემი ქალიშვილის ხელს ვაძლევო. არ შეიძლებოდა გარდაცვლილი ქალიშვილის მამისათვის უარი ეთქვათ. ამ შემთხვევაშიც გარდაცვლილი ვაჟის მამა ჩვეულებრივ ურვადს იხდიდა.

საინტერესოა პირმშოსთვის სახელის დარქმევის წეს-ჩვეულება. პირველი ვაჟისადმი მიძღვნილ ლხინზე სახელს ნათესავი მამაკაცები არქმევდნენ. ისინი კოჭს აგდებდნენ. ვისაც კოჭი ალჩუზე დაუჯდებოდა, სახელსაც ის დაარქმევდა.

სისხლის აღება მთელი გვარის ვალდებულებას წარმოადგენდა, მაგრამ პირველ რიგში, ის ახლო ნათესავების — პატრონიმიის წევრების საქმე იყო. ხშირად შურისძიება თაობიდან თაობაზე გადადიოდა. ინგუშეთში სრული სისხლის გადასახადი დაახლოებით 130 ძროხა იყო. ასეთ შემთხვევაში ახლო ნათესავები რვა-რვა ძროხას იხდიდნენ, ყველაზე შორეული ნათესავები კი — თითო თხას.

დაკრძალვაში მთელი გვარი მონაწილეობდა. წარსულში, როდესაც ინგუშები სინკრეტული — ნახევრად წარმართული და ნახევრად ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები იყვნენ, დაკრძალვის ცერემონია თითქმის ისეთივე ჰქონდათ, როგორც ქართველ მთიელებს (აწყობდნენ დოღს, ისროდნენ მიზანში, მართავდნენ ქელეხს).

ინგუშეთში იყო ტრადიცია მიცვალებულის მიწისზედა ნაგებობაში ანუ აკლდამაში დაკრძალვისა. გადმოცემებით, ინგუშები მიწისზედა აკლდამებს არა მარტო ინგუშეთში, არამედ მეზობელ ოსეთშიც აგებდნენ. აქ ასეთი თქმაც ყოფილა: „ადამიანს სიცოცხლეში სჭირდება კოშკი, სიკვდილის შემდეგ კი — აკლდამა“. ინგუშები მიწისზედა დასაკრძალავ ნაგებობას „მალხ-კატს“-ს („მზის სამარეს“) უწოდებდნენ. მთის ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში აკლდამაში ჩასვენებული მიცვალებული მუმიფიცირდებოდა. ინგუშეთში აკლდამები ოთხფერდა სახურავიანი და ფიქალით გადახურული იყო. ერთი შეხედვით, ისინი საბრძოლო გადაკვეთილ კოშკებს წაგავდნენ. ყველა ასეთ აკლდამას ორი ან სამი საძრომი ჰქონდა, საიდანაც მიცვალებულს ასვენებდნენ. თითოეული აკლდამის შიგნით მოწყობილი იყო ხის ან ქვის ტახტები, რომლებზედაც მიცვალებულს შეასვენებდნენ. ინგუშეთში მიწისზედა აკლდამები, ძირითადად, საგვარეულო იყო.

ინგუშთა საზოგადოებრივ ყოფაში უმნიშვნელოვანესია სტუმართმოყვარეობის ტრადიცია. სტუმრის ეთნიკურობასა და სარწმუნოებას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ოჯახის უფროსი პასუხისმგებელი იყო სტუმრის სიცოცხლეზე. სტუმართმოყვარეობის დამრღვევი მკაცრად

სისხლის აღება მთელი გვარის ვალდებულებას წარმოადგენდა, მაგრამ პირველ რიგში, ის ახლო ნათესავების — პატრონიმიის წევრების საქმე იყო. ხშირად შურისძიება თაობიდან თაობაზე გადადიოდა. ინგუშეთში სრული სისხლის გადასახადი დაახლოებით 130 ძროხა იყო. ასეთ შემთხვევაში ახლო ნათესავები რვა-რვა ძროხას იხდიდნენ, ყველაზე შორეული ნათესავები კი — თითო თხას.

გაიკიცხებოდა და თემი ისე სჯიდა, როგორც დამნაშავეს. სტუმართმოყვარეობის ტრადიცია ინგუშეთში ფაქტობრივად არ ირღვეოდა. სტუმართმოყვარეობის კანონი სისხლის აღების კანონზე მაღლა იდგა.

ინგუშები სუნიტი მაჰმადიანები არიან. მაგრამ ეს სარწმუნოება მათთან საკმაოდ გვიან შეიჭრა და საბოლოოდ XIX საუკუნის პირველ ნახევარში განმტკიცდა. ინგუშეთში შემორჩენილია მრავალი ქრისტიანული ძეგლი. ინგუშეთის მთებში ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეებში მოსახლეობა ქრისტიანულ რელიგიას აღიარებდა. ის აქ საქართველოდან XII საუკუნეში გავრცელდა. შემორჩენილია ტაძრები: თხაბა-ერდი, ალი-ერდი, თარგიმი...

ინგუშეთში ყველაზე გავრცელებული იყო მოსავლის მფარველის „მიაცელას“ კულტი, რომელსაც ოვნისის ბოლოს მსხვერპლს სწირავდნენ.

ინგუშთა მუსიკალურ შემოქმედებას ბევრი რამ საერთო აქვს მეზობელი ხალხების მუსიკასთან. ყველაზე გავრცელებული მუსიკალური ინსტრუმენტი იყო სამსიმიანი ფანდური („პანდირ“). ინგუშებში ძალიან პოპულარული იყო მასობრივი ცეკვა („სიმდი“). ცეკვები სიმღერების თანხლებით სრულდებოდა.

ინგუშებს საუკუნეების განმავლობაში მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ოსებსა და ქართველ მთიელებთან. არა ერთი და ორი გვარია ინგუშეთსა და ოსეთში, რომლებსაც საერთო წარმომავლობა აქვთ. ქართულ-ინგუშური საუკუნოვანი მჭიდრო ურთიერთობის დამადასტურებელია ინგუშეთში ქართული ქრისტიანული ძეგლების არსებობა. საუკუნეების განმავლობაში ინტენსიური მიგრაციული პროცესები მიმდინარეობდა ინგუშეთიდან საქართველოში და პირიქით. ინგუშური წარმომავლობის გვარებიდან ხამხაძისა და ღლიღვაშვილის დასახელებაც საკმარისია. ■

ინგუშების ქორწილი

ამბები გოდერძი ჩოხელის ცხოვრებიდან...

სიკვდილთან დაძმობილებული გინახავთ ვინმე?
სიკვდილის შეყვარება შეძლებია ვინმე კაცთაგანს?
გოდერძი ჩოხელმა შეძლო. ხომ გახსოვთ, მისი ადამიანად მიწაზე ჩამოსული ხორციელი სიკვდილი რამხელა სიყვარულს ატარებდა. ისიც ხომ გახსოვთ, საფლავის ქვებს როგორ ელაპარაკებოდა, სიკვდილით დათრგუნვილი კაცის სასოწარკვეთილება კი არა, დიდი სილაღე და სევდა იყო მის ყოველ ფრაზაში.
„ეჰეი! არაგველებო, სადა ხართ?“ ისმოდა ექოსავით თვითონ რეჟისორის ხმა და ეს კითხვა ბოლომდე თან დაჰყვებოდა. სულეთის ზღვაშიც ამ კითხვით დამძიმებული გულით გადაეშვა...
„უცებ მდინარის ტალღებისაგან მოტივტივე საფლავის ქვას მოჰკრა სებამ თვალი და დააკვირდა წარწერას.
— რა აწერია მამავ? — ჰკითხა შვილმა.
— რისთვის ბადებ უბედურსა, რისთვის შაჰყრი მთვარე-მზესა, — წაუკითხა მამამ.
— ვისია, მამავ?
— არ ვიცი, შვილო, ალბათ ვიღაც უბედურის, თავის სიცოცხლეში ვერაფერი სიხარული რომ ვერ ნახა ამ მზისა და მთვარის ქვეშ, წავიდა და მიწას ამოეფარა.
— ჩვენც უბედურები ვართ, მამავ?
— რატო, შვილო?
— ყველაფერი გაგვტაცა მდინარემ, სახლიც და საქონელიც. ბროლიაც, შენი მუზეუმიც.
— ნუ გეშინია შვილო, მთავარია, რომ ეს ფარდაგი არ გავატანეთ მდინარეს, სახლსაც ავაშენებთ, მუზეუმსაც, უფრო საიმედო ადგილას და ძველებურ ნივთებსაც კიდევ შევაგროვებთ.
— კიდობანი ზღვაში წაიღო, მამა?
— სულეთის ზღვაში წაიღო, მამა გენაცვალოს.
— მერე სად არის სულეთის ზღვა?
— ხმელეთი რომ გათავდება, ცის ნაპირი რომ გათავდება, აი, იქ არის სულეთის ზღვა...“
გოდერძი ჩოხელი უბედური არ ყოფილა. სიმდიდრე და უზრუნველი ცხოვრება არასოდეს ჰქონია, მაგრამ მზისა და მთვარის ქვეშ რასაც მისი თვალი მისწვდებოდა, ყველაფერი მისი არ იყო?
სამზეოს იყო და ყველაფერი უყვარდა: ნაძვიცა და კესანეც, ბილიკიცა და გულთაბოძიც. ეს კი ისეთი ბედნიერებაა! სულეთს გავიდა და მჯერა, იქაც სიყვარულით სავსეა. ჩვენთვის ხილული დარჩა მისი დედამიწაზე გატარებული 53 წელი. მთლიანად, ცხადია, ვერც ერთი წიგნი ვერ მოიცავს კაცის ცხოვრებას, მაგრამ ის ამბები, რომლებიც გოდერძიმ გაიხსენა თავის წარსულზე და რომლებიც სულ მალე წიგნად გამოიცემა, კიდევ ერთხელ დაგაბრუნებთ მისი ცხოვრების ამაღლებულ უბრალოებაში.

იაშა ტრიპოლსკი — ჩემი ძია...

დედაჩემი ლელა წიკლაური და ძია იაშა ტრიპოლსკი და-ძმის შვილები იყვნენ. წიკლაურებად იწერებოდნენ, თორემ ისე ხომ ბუბუნაურები ყოფილან. სისხლი ჰმართებდათ ვიღაცის და წიკლაურებს შეჰფარებიან, მათი გვარი მიუღიათ. ხშირად იყვნენ ერთად დედაჩემი და ძია იაშა ბუბუნაურთა დიდ სახლში, რომელიც ბურსაჭირის ფერდობზე დგას. ახლა იმ სახლის ერთი კუთხეღა დარჩა და მთელი სახლის ანგელოზები ალბათ იქ იყრიან თავს. მჯერა, ვისაც ბურსაჭირის ფერდობზე ფეხშიშველს გაუვლია, უკვალოდ არ ჩაივლის. ეს თითქოს ღმერთის ფერდობია. ძია იაშა ობოლი იყო.

მაინცა და მაინც არც ფეხსაცმელი ექნებოდა, მოუწევდა ფეხშიშველი სიარული. ეგეც არ იყოს, ეგ ფერდობი ისეთი მოქარგულია, რომც გქონდეს ფეხსაცმელი, მაინც ფეხშველი ირბენ... ამ ფერდობზე ვიწრო, ვიწრო შესასვლელია გუდამაყრის მხრიდან, მერე იშლება ფერდობი, იქიდან გადადის ხევში, ხევსურეთში და ჭიუხებით მთავრდება. ვიწრო შემოსასვლელიდან, ჩოხის მხრიდან, როგორც გველი, ისე შემოიკლაკნება ხოლმე ნისლი. ნელ-ნელა მიდის ხოლმე მიხვეულ-მოხვეულში გველეშაპივით. დედაჩემი ჰყვებოდა, იაშას მაგრად ეშინოდა მაგ ნისლისო, არ ვიცი, რა ეგონა, დაიძახებდა თურმე — მოდის, მოდისო და დიდ, თხილით მოწნულ გოდორში იმალებოდა.

ეტყობა, ბუბუნაურები მაგარი ნიჭიერები იყვნენ. ერთი ბიძა მყავდა, ძია იაშას ტოლი იყო, ყველაზე ნიჭიერი ის იყოო, — ძია იაშა ამბობდა. ირაკლი რქმევია. კომუნისტებს სადღაც გაუგზავნიათ, გაციებულა, ტვინის ანთება დამართნია და მომკვდარა. ძია იაშას იმის დახატული ცხენი ჰქონდა შენახული... დედაჩემი და ბებო ირინე — იაშას დედა ბევრი რამით ჰგავდნენ ერთმანეთს, თითქოს ბუნებას ელაპარაკებოდნენ და ბუნებაც პასუხობდა მათ. ბებო ირინეს ძმა ჰყოლია — გაგილა. მეჯვარედ იყო და შემთხვევით გასროლილ ტყვიას მოუკლავს. ბებო ირინე მოჰყვა: ქვრივი ვიყავი, ქმრის ნაჩუქარი ბეჭედი დავკარგეო. შევთხოვე გაგილას სულს — რა იქნება, ის ბეჭედი მაპოვნინეო. უცებ გავიგონე წკრიალიო. გავიხედე გარეთ, ვხედავ ქათამი რაღაცას აგდებს ნისკარტით, ჩამოვარდება, გაიწკრიალებსო... ვნახე, ჩემი ბეჭედი იყოო. გაგილას სულმა მაპოვნინაო.

ძია იაშას მამა ფასანაურიდან თბილისკენ მოდიოდა ველოსიპედით. გაღმა ტყეში, ვიღაც თოფიანი კაცი ყოფილა. სულ არაფრის გულისთვის გამოუშვერია თოფი. მოვარტყამ, თუ არ მოვარტყამო და ასე უბრალოდ მოუკლავს. 19 წლისა დაქვრივდა ბებო ირინე...

...მთაში თავს ყველაზე ბედნიერად გრძნობდა

აი, ისინიც: გოდერძი ჩოხელის „მოთხრობები“

ძია იაშა მოსიარულე სიკეთე იყო. იმდენად კეთილი იყო, რომ მამის მკვლელის შვილს, რომელიც ციხეში იჯდა და ჭკუაზე თითქოს ვერ იყო, პატრონობდა. ციხიდან გამოიყვანა. მიჰყავდა ხოლმე შინ, აჭმევდა, ასმევდა, წმლებს ყიდულობდა. ძია იაშას ორივე შვილიც ეგეთია... იმათშიც გაგრძელდა მისი სიკეთე.

ერთხელ ძია იაშა ბურსაჭირში სათევზაოდ ამოვიდა, პატარა ვიყავი. იმ დღეს საშინელი დელგმა დაიწყო, ჩამოიქცა ქვეყანა. ის ნისლიც დაიძრა ძია იაშას შესაშინებლად. ბანიანი სახლი გვქონდა და სახლშიც კი წვიმდა. რა თევზაობა, რის თევზაობა, ისე ადიდდა შავი არაგვი, სულ დაანგრია ყველაფერი. ძია იაშას ჩოხში ჰყავდა მანქანა დატოვებული, იმის იქით სამანქანო გზა აღარ მოდიოდა, ბურსაჭირამდე 7 კილომეტრი ფეხით ვევლო. მეორე დღეს ჩამოვაცილეთ ჩოხამდე მე და დედაჩემმა. იქ მეორე მდინარე უერთდება შავ არაგვს. ისიც ადიდებულიყო, კალაპოტი შეეცვალა და გადავარდნილა სხვა მხარეს. იმდენი თევზი დარჩენილა...

პირველად ვნახე მაშინ იმხელა ოქროსწინწკლებიანი კალმახები. ხალხმა ხომ იცოდა, რომ ძია იაშა იყო სათევზაოდ ამოსული. გამოსულიყვნენ, კრეფდნენ თევზს და ძია იაშას მანქანასთან იდგა კალათების, გოდრების ჯარი სულ კალმახებით სავსე. ძია იაშა უყურებდა გაბადრული სახით ხალხს, რამხელა სიყვარულს ხედავდა!..

არაჩვეულებრივი მოსაუბრე იყო, რომ ჩამოდიოდა ფასანაურში, ყველა მასთან გამორბოდა, მისი მოყოლილი ამბავი მთელი სანახაობა იყო. თეატრშიც ასე ელოდებოდნენ თურმე ძია იაშას...

დასაყრდენი

მე რომ წერა დავიწყე, ძალიან უხაროდა ძია იაშას. ეს თითქოს მეც გადმომედო და რამეს რომ დავწერდი, სულ ვფიქრობდი, ამას რომ ძია იაშა წაიკითხავს, რას იფიქრებს, თუ გაეხარდება-მეთქი. წერის დროს აღტკინებული ვიყავი. ძია იაშა ჩემს მოთხრობებს მხატვრულად კითხულობდა რადიოში. მერე მოინდომა ჩემი მოთხრობის მიხედვით პიესის გაკეთება. არ დასცალდა...

არაჩვეულებრივად შეეძლო ფილმის გახმოვანებაზე მუშაობა. თითქმის ყველა გახმოვანებაზე იწვევდნენ კინოსტუდიაში.

შესასრულებელია ასეთი სამუშაო: ტექსტის დაწყობა, ეკრანზე მსახიობი რომ ლაპარაკობს, სულ სხვა სიტყვებს ამბობს. გახმოვანებისას ისეთი სიტყვა უნდა მოძებნო, რომ მსახიობის ტუჩების მოძრაობას დაემთხვეს. ამას უნაკლოდ აკეთებდა ძია იაშა. რამდენი ფილმი აქვს ასე გახმოვანებული... ირაკლი კვირიკაძის „ქვევრის“ სიტყვები სულ მისია, ოთარ იოსელიანის „პასტორალისაც“, „გიორგობის თვისაც“... სცენარის თანაავტორადაც კი დაწერა ოთარ იოსელიანმა...

„ბაკურხეველი ხევსური“ რომ გადავიღე, მინდოდა უხმო ფილმი ყოფილიყო. ძია იაშას დაჟინებულ თხოვნას — აუცილებლად ტექსტი უნდა გაუკეთოო, დავთანხმდი. დაჯდა და მთელი ტექსტი დამიწერა „შაო ნინათი“ დაწყებული... ახლა ვფიქრობ, ტექსტის გარეშე რა უნდა ყოფილიყო „ბაკურხეველი ხევსური“...

მე და ირაკლი ტრიპოლსკისაც რამდენიმე სცენარი ერთად გვაქვს დაწერილი... ისეა გაკეთებული ის ტექსტები, დღესაც ვერაფერს შეცვლი. „სამოთხის გვრიტებიც“ ირაკლისთან ერთად გავაკეთე. სცენარის ავტორად გოდერძი ჩოხელი და ირაკლი ტრიპოლსკი დავაწერე. არ ქნა ირაკლიმ... თავისი სახელი ამომაღებინა...

ესეთები არიან, კეთილები, დასაყრდენები...

ძია იაშა ძალიან მაკლია, მენატრება... იმისი სიკვდილის შემდეგ დავობლდი თბილისში... მერე ეგეთი სიზმარი ვნახე: ტელეფონით ველაპარაკებოდი ძია იაშას. იქიდანაც მამშვიდებდა და ბედნიერებას მჩუქნიდა...

ყაზბეგელი დედობილი

დედაჩემი რო გარდაიცვალა, ძალიან დამაკლდა. გუდამაყარში შეხვევა აღარ მინდოდა, აქედან რო მივდიოდი. გული სულ ყაზბეგში მეზიდებოდა. ყაზბეგში მყავს მეგობარი გოდერძი მარსაგიშვილი. ყავს დედა, არაჩვეულებრივი, დედაჩემივით თბილი და მოსიყვარულე. ახლა 86 წლისაა. ეგეთი ლამაზი მოხუცი ქალი იშვიათად შემხვედრია. სათნო, თითქოს ღვთის ანგელოზიაო, უწყინარი. იმან დედა შემიცვალა. იმის მერე გავანებე თავი გუდამაყარს და ყაზბეგში დავიწყე გადაღებები, რო იმასთან დიდხანს ვყოფილიყავი.

მე და გოდერძი, როცა დრო გვქონდა, ვსვამდით. ერთ ოთახში ჩვენ გვეძინა, მეორეში — გოდერძის დედას — დეიდა ბაბალეს. რო ავდგებოდით, შემოვიდოდა შემოწშებაზე: აბა, წუხელ მთვრალები მოხვედით თუ ფხიზლები. გუგულიანი გადასაფარებლები ჰქონდა. დიდი გუგულები ეხატა. ვერ იტანდა რო შეგვბრუნებოდა. ჩვენ ავურევდით ხოლმე. ხან ერთ გუგულს ჰქონდა თავქვე თავი. ხან მეორეს აღმა. ის ვერ იტანდა. ორივე გუგულს თავს აღმა დაუწყობდა. თუ გუგულს თავი დაბლა ჰქონდა — ეეე... დაგილვიათ წუხელ და ვეღარ გაგიგიათ, გუგულს თავი საით უნდა ჰქონდესო.

გოდერძი ცდოელი დამარქვეს. მთლად ვერ გავხდი ცდოელი, მაგრამ მაინც. ჩოხი ისე მიყვარს... გვარიც და კუთხეც.

გოდერძი სტუდენტობისას

თარეშა

მახსოვს ერთხელ ჩემი მამალი მოიტაცა მელიამ. გააქანა. გამოვედევნეთ. რას დაეწევი მელიას. ძაღლი არა გვყავდა მაშინ. დედამ ატეხა ყვირილი, მეზობლის ძაღლს ეძახდა, — თარეშ, თარეშო, წაგვართვა მელიამ დონკიხოტიო. გამოვარდა თარეშაც სადღაციდან — კალოში ეძინა, ეტყობა. დაეწია მელიას და გააგდებინა მამალი.

მახსოვს, კარგა ხანს დიდ პატივში მყავდა თარეშა. წავისვამდი პურზე კარაქს ან ერბოს, დედაჩემის დასანახად ერთ ლუკმას მოვკბეჩდი, გამოვიღლიდი კარს და სადაც იყო, მივუტანდი, თარეშას ვაჭმევდი ერბოიან პურს.

მამალი დონკიხოტი კიდე დიდხანს კოჭლობით დადიოდა...

მელიასაც რა გეგმები ჩაეშალა, არა? ღამე ჩასაფრდა, გამოვლენ დედლებიო, მერე მზე მოვაო... მელიაც ხო თავისას ფიქრობდა.

თარეშამაც კარგა ათრია აქეთ-იქით.

პირველი მდივნის მოსაცდელში

ერთხელ კიდე რაღაცაზე დამიბარა ედუარდ შევარდნაძემ და მითხრა, მოსკოვში უნდა გაგაგზავნოთ პარტიულ სკოლაშიო.

— პარტიული არ ვარ-მეთქი, — ვუთხარი.

— მაგას არ აქვს მნიშვნელობა, ჩვენ მიგიღებთ პარტიაში, — მითხრა სწრაფად.

— მოვიფიქრებ-მეთქი, — ვუთხარი მოულოდნელობისაგან დაბნეულმა.

— მოფიქრებისთვის რამდენი ხანი დაგჭირდება? ერთი საათი გეყოფა?...

— არ ვიცი-მეთქი.

— გადი მოსაცდელში, მოიფიქრე.

გავიდა ერთი საათი. გამოვიდა ჟიული შარტავა შევარდნაძის კაბინეტიდან.

— გოდერძი, რა ქენი, რა გადაწყვიტე? — მკითხა.

— არა, პარტიული ვერ გავხდები-მეთქი.

ჟიულიმ მხარზე წამომარტყა ხელი:

— წადი, წადი, გოდერძი, შენ არ ხარ მაგის კაციო, — ისეთი სითბოთი მითხრა, გული გამითბო.

საერთოდ, თბილისში ყველა სიყვარულით დამხვდა. ედუარდიც, პარტიულებიც. ჩემი ლექტორებიც.

რუსული არ ვიცოდი. რუსული კინოს გარჩევა უნდა დაგვეწერა. მე ლექსი დავწერე გარჩევის მაგივრად. ხუთიანი დამიწერეს.

დიდი სიყვარული დამახვედრეს.

მაშინ ხმაც გავარდა ინსტიტუტში, პატარა ვაჟა-ფშაველა ჩამოვიდაო. მეორე გამოცდაზე ვიღაც კაცი მოვიდა. გამომკითხეს, ვინ ხარ, საიდან ხარო. შვილო, მიგიღებთ, ოღონდ თბილისმა არ გაგაფუჭოსო. მერე გავიგე, ეს კაცი რექტორი — ილია თავაძე ყოფილა — ნაფრონტალი კაცი. სიყვარულით მეცხვარეს მეძახდა საშა კიკნაძე. ჩოხელო, შე მეცხვარე შენაო...

გული მწყდება, რომ ამ სიყვარულის დაბრუნება მთლად ვერ შევძელი...

„ქამი ნადირთად“
ანუ ნადირობა საქართველოში

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებს საინტერესო და საყურადღებო ცნობები დაუცავთ ნადირობის შესახებ. თუმცა ამ ცნობებში სრულყოფილად არ ჩანს, თუ როგორ მიმდინარეობდა ნადირობა, რა საშუალებებსა და მეთოდებს მიმართავდნენ, რაზე ნადირობდნენ უპირატესად და წელიწადის რომელ დროს. ასეთი ცნობები მხოლოდ ცოცხალი ეთნოგრაფიული გარემოს პირობებში შეიძლება შეიკრიბოს.

ნადირობას, გარდა სამეურნეო დანიშნულებისა და გართობისა, სამხედრო წვრთნის, მოლაშქრეთა სამხედრო ვარჯიშის მნიშვნელობაც ენიჭებოდა. ივანე ჯავახიშვილის დასკვნით, ნადირობას „მარტო კერძო გართობის თვისება არ ჰქონდა, არამედ სამხედრო ვარჯიშის მაგიერი იყო“.

ნადირობის ფაქტი დასტურდება უძველეს ქართულ ლიტერატურულ ძეგლში, იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებაში“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ვარსქენ პიტიახმა ნაცემ-ნაგვემი შუშანიკი მსახურების ამარა დააგდო „და თვით ნადირობად წარვიდა“. აქ ჩანს, რომ პიტიახში სანადიროდ უფრო გულის მოსაოხებლად, არეული საოჯახო საქმეებისგან თავის გასარიდებლად მიემართება და ამ შემთხვევაში მისი წასვლა სანადიროდ თითქოს არ იყო გამოწვეული სამეურნეო-ეკონომიკური აუცილებლობით. საერთოდ კი შეუძლებელია ვივარაუდოთ, რომ იმ დროს ნადირობა მხოლოდ გართობისა და დროის ტარების მიზნით იმართებოდა — მას უდავოდ გააჩნდა ეკონომიკური საფუძვლები და საკვე-

მამუკა ბისკაია სანადიროდ (ქრისტოფორო დე კასტელის სურათებიდან)

ბის მოპოვების ერთ-ერთ, დამხმარე საშუალებასა და წყაროს წარმოადგენდა.

მონადირეობის ტრადიციებისა და ნადირის ჩვევებზე დაკვირვების მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ ჰქონდათ ნადირის შესაკრები ადგილები. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ სერაპიონის შეკითხვაზე ერთ-ერთი „ტყიანი და ლოდოანი“ ადგილის შესახებ, მისი გამყოლი პასუხობს: „რამეთუ არს ესე შესაკრებელი ნადირთა ველისათა ბაკთა ეწოდების“. ამ პასუხიდან აშკარაა, რომ განასხვავებენ ველისა და ტყის ნადირს. ამასთანავე, ნადირობა დღის განსაზღვრულ მონაკვეთში, დადგენილ დროს იყო შესაძლებელი, რომელსაც „ჟამი ნადირთაჲ“ ეწოდებოდა.

როგორც წერილობითი წყაროებიდან

ჩანს, წარჩინებული პირის, მისი ოჯახის საცხოვრებელს ტაძარი ან პალატი ეწოდებოდა. ხოლო სადგომის, დროებითი საცხოვრებლის ან ღამის გასათევი ადგილის სახელწოდებად მიღებული ყოფილა სახლი. საინტერესოა, რომ ასეთი სახლი, დაკავშირებული ნადირობასთან და ნადირობის წესთან, IX საუკუნის წარჩინებულ ხელისუფალს გიორგი ჩორჩანელსაც ჰქონია („სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“).

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოთხრობილია, რომ ნადირობდნენ ირემზე, გარეთხაზე, თახვზე.

სანადირო იარაღად, ძირითადად გამოიყენებოდა მშვილდ-ისარი, რომლის დამზადების ხალხური წესები თითქმის ბოლო დრომდე შემორჩა ქართულ ყოფაში. ასევე გავრცელებული ყოფილა ქორით, მწევრებით, მეძებრებით ნადირობა.

ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც საქართველოს XVII საუკუნის 70-იან წლებში ესტუმრა, აი რას წერს სამეგრელოში ნადირობის შესახებ: „ძირითადად ნადირობენ მტაცებელი ფრინველებით, რომელთაც იშინაურებენ და შემდეგ სანადიროდ იყენებენ. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში არ არსებობს სხვა ქვეყანა, სადაც ასეთი რაოდენობით შეიძლება იყოს მტაცებელი ფრინველი“. მისივე ცნობით, დიდი რაოდენობით იჭერენ ამ ფრინველთა ახალგამოჩეკილ ბარტყებს და ხუთ-ექვს დღეში იშინაურებენ. შარდენი აღნიშნავს, რომ შავარდნით ნადირობენ წეროზე, მიმინოთი — წყლის ფრინველებსა და ხოხობზე.

ქორ-შავარდნით ნადირობას კარგად იცნობდა უახლესი წარსულის ქართული ეთნოგრაფიული ყოფაც. გურიაში მიმინოებს განასხვავებდნენ ფერისა და მჭირავობის მიხედვით. ულამაზესად თეთრი მიმინო ითვლებოდა, ხოლო მჭირავობით საუკეთესო იყო ჩხარტისფერი. დედალ მიმინოს, რომელიც უკეთესად იყო მიჩნეული ნადირობისათვის — ნარდი, ხოლო მამალს გეზელა ეწოდებოდა. გასაწვრთნელი მიმინოს დასაჭერად სხვადასხვა მისატყუებელ ჩიტს (ბეღურას, მებოლოკიეს, ღაჟოს) იყენებდნენ. ამათგან საუკეთესო მისატყუარ ფრინველად ირაო ღაჟო (მამალი მაფრენალი) იყო მიჩნეული.

ჩიტბადობა, ანუ მიმინოს დაჭერა ფერისცვალობას იწყებოდა, რაც ფრინველის მასობრივ წამოსვლასთან (ირაობასთან) იყო დაკავშირებული.

გურიაში თითქმის ყველგან არსებობდა საგანგებო საიარაო ადგილები, სადაც სანადირო მიმინოს იჭერდნენ.

დაჭერილ მიმინოს გამართვას (გაწვრთნას) პირველ ღამესვე შეუდგებოდნენ. ეს იყო პირველი საფეხურის დასაწყისი, როდესაც

მოისარი მონადირე ამორძალები (ქრისტოფორო დე კასტელის სურათებიდან)

ფრინველს ადამიანსა და მის გარემოს აჩვევდნენ უძილობისა და დაღლის მოქმედებით.

მიმინოს გაწვრთნის მეორე საფეხურზე, როდესაც მას საქნიერზე მოსვლას ასწავლიდნენ, მასზე მოქმედების ძირითადი საშუალება შიმშილი იყო.

მიმინოს გაწვრთნის უკანასკნელი, მესამე საფეხური იყო ბავლის გაგდება. ამ დროს მწყერზე სანადიროდ გაწვრთნილ მიმინოს შეაჩვევდნენ დაჭერილი ფრინველის მხოლოდ თვალისა და ტვინის შეჭმას, რასაც დათვალტვინება ეწოდებოდა.

ადრეული ხანისათვის ასეთი ცნობები კანტიკუნტად მოგვეპოვება. ამიტომ ჩვენთვის საინტერესოა IX საუკუნის ერთ-ერთ ისტორიულ საბუთში („ნასყიდობა დაწერილი ფავნელის შიომღვიმისადმი“) შემონახული ცნობა იმ დროის საქართველოში გავრცელებული ნადირობის ხერხებისა და საშუალებების შესახებ. საბუთში აღნიშნულია, რომ ფავნელმა თევდორემ მთავარმემღვიმეს მიუთვალა სოფელნი, ხოლო თევდორემ მას სამაგიეროდ ოქრო-ვერცხლთან ერთად გადასცა „შ̓ჯდი ქორი კაპოეტი, შ̓ჯდი მეძებარი, შ̓ჯდი მწევარი წაუვალი“.

ნათელია, რომ სანადიროდ გაწვრთნილი ფრინველი და სანადირო ცხოველები ძვირად ფასობდა და შეიძლებოდა ვაჭრობის ან გაცვლის საგანი ყოფილიყო.

კაპოეტი ეწოდებოდა წელიწადგამოვლილ ფრინველს და სანადიროდ გაწვრთნილი ქორიც, როგორც აღნიშნული საბუთიდან ჩანს, ასეთი უნდა ყოფილიყო. გურიის თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაშიც კაპოეტი ეწოდება ორი წლის (გამოზამთრებულ და „ბურდღანაყარ“) მიმინოს განურჩევლად სქესისა. ასეთი მიმინო, გურიაშივე შემონახული ეთნოგრაფიული მასალებით, ნარდ მიმინოს (ე.ი. ახალგაწვრთნილს, ზამთარგამოუვალს) ბევრად სჯობს: უფრო დამჯერია (მომხედვარია) მონადირისა, გამძლეა და მეტი შემტევიცაა. თანაც ის უპირატესობა აქვს, რომ თუ ნარდი მიმინოთი მხოლოდ ნაშუადღევს, დღის 4 საათის შემდეგ („რადგან დღე ცხელა“) შეიძლება ნადირობა, კაპოეტით ნადირობა დილიდანვე იციან, ოღონდ სიცხეს ამ შემთხვევაშიც ერიდებიან.

ნადირობის ერთ-ერთი სახეობა ძველად ყოფილა ჩასაფრებით ნადირობა. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ როდესაც სერაპიონი და მისი თანამგზავრები სათახვე ტბის სანაპიროზე გავლენ, მათთან მიდის უცნობი და სთხოვს, მცირე ხნით დაყოვნდით „რამეთუ ჟამი არსო ნადირთაჲ, რომელნი მოვლენ ტბასა ამას, რამეთუ მზა არიან მონადირენი ადგილთა ამათ“.

საყურადღებოა ისიც, რომ ნადირობა ძველ საქართველოში ბეგარის სახედაც ითვლებოდა. ერთ-ერთ საეკლესიო საბუთში შიომღვიმის მონასტრის კუთვნილ სოფელ ცხევერეთს წინამძღვარმა დაუწესა შემდეგი: „წელიწადსა შიგა ერთი დღე ნადირობა არის ბეგარა — ჩვენი მოსაცემელი: კაცისა თავსა ორ-ორი ჯამი შეჭამადი, ორ-ორი პური, ორ-ორი პირი ღვინო“. ცხადია, წელიწადში ერთხელ ნადირობის დღეს სოფელს მონადირეები უნდა უზრუნველეყო საბუთში ჩამოთვლილი სურსათ-სანოვაგით.

შესწავლილი მასალიდან ჩანს, რომ ძველ საქართველოში მონადირეობა გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით, ეყრდნობოდა ხანგრძლივ ტრადიციებს და შესაბამისად, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამეურნეო და ეკონომიკურ საქმიანობაში.

ბუდიზმი

ბუდიზმი ერთ-ერთი უდიდესი მსოფლიო რელიგიაა, გაცილებით ადრეული წარმოშობის, ვიდრე ქრისტიანობა და ისლამი.

პირველ წერილობით ძეგლში, რომელშიც ბუდიზმია მოხსენიებული, იგი წარმოგვიდგება ძლიერ რელიგიურ მიმართულებად თავისი სატაძრო ორგანიზაციით, დოგმატიკითა და წესთმსახურებით.

ბუდიზმის ისტორიისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ადრეული ნაწარმოებები ტიპიტაკას სახელწოდებით (სანსკრიტული „ტრიპიტაკა“ სიტყვასიტყვით სამ კალათას ნიშნავს), რომელიც ბუდისტური კანონიკური ლიტერატურის ძეგლია. ესაა წიგნები, რომლებიც დაწერილია პალის ენაზე (შემორჩა ცეილონზე). ტიპიტაკა შედგება სამი ნაწილისგან. პირველში მოცემულია ბუდისტური თემის კანონიკური წესები, მეორეში – ბუდას საუბრები და გამონათქვამები და მესამეში – მეტაფიზიკური განსჯანი რელიგიისა და სამყაროს შესახებ.

ტიპიტაკას მიხედვით, ბუდისტური რელიგიის დამფუძნებელი იყო ჩრდილოინდური სახელმწიფოს მეფის შვილი. იგი მიეკუთვნებოდა ჰიმალაის მთების ძირში მცხოვრებ შაკიას ტომს. მეფისწულს ეძახდნენ სიდჰარტჰას, მოგვიანებით კი ცნობილი გახდა როგორც გაუტამა და შაკიამუნი. თუმცა, გადმოცემანი

მაჰათმა განდი:

„თუ თითოეული ადამიანი თავისი სარწმუნოების თაყვანისცემისა და სიყვარულის ფონზე სხვა რელიგიებსაც არ შეისწავლის, ქვეყნიერებაზე არასოდეს იქნება მშვიდობა და ჰარმონიული თანაცხოვრების სრული გარანტია. თუ მართლა გვწამს ჩვენი სარწმუნოებისა, თუ ღრმად ღვთისმოსავნი ვართ, სხვათა სარწმუნოებასაც პატივითა და მოკრძალებით უნდა მოვეკიდოთ“.

ბუდას გამოსახულება სერას მონასტრიდან. ტიბეტი

სხვადასხვა სახელითაც მოიხსენიებს (ტაჰტა-გატა, ბჰაგავატა, ჯინა და ა.შ.). მეფე შვილს ფუფუნებაში აცხოვრებდა და ყოველნაირად უწყობდა ხელს, რომ საწყენი არაფერი შეხვედროდა. ასეთ პირობებში აღზრდილისთვის თითქმის უცნობი იყო ყველა ცხოვრებისეული განსაცდელი. იგი დროს ატარებდა დიდებულ სასახლესა და ბაღში, ლხინისა და დღესასწაულთა გარემოცვაში. სიდჰარტჰა დაქორწინდა საყვარელ ქალზე და მათ შეეძინათ ვაჟი. ამქვეყნიურ უხეშ სინამდვილესთან სიდჰარტჰას მალე მოუხდა შეჯახება, რამაც მის სულში დიდი გადატრიალება მოახდინა. ერთხელ მან ნახა ღრმად მოხუცებული, რომელიც იტანჯებოდა ტკივილისგან; იხილა მკვდარი, რომელსაც მიასვენებდნენ და სიდჰარტჰამ პირველად გაიგო, რომ ამქვეყნად მცირე სიამეთა გვერდით არსებობს უფრო დიდი და დამაფიქრებელი გარემოებანი, რომელნიც შეუქმნია ავადმყოფობას, სიბერესა და სიკვდილს და რომ ადამიანის გზა სიკვდილისკენ მიემართება.

ამქვეყნიური არარაობის შეგნებამ სიდჰარტჰას განსაცდელის უკიდურესობა აგრძნობინა და ისე, როგორც ერთ დროს გილგამეშის სულში, მასშიც დაისადგურა წარმავლობის მძაფრმა განცდამ. გამოსავლის ძებნაში შემთხვევით შეხვდა ერთ განდეგილს,

სიდჰარტჰა

ბუდას ქანდაკება

რომელსაც ხელი აეღო ამქვეყნიურ სიამოვნებაზე და სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად ასკეტური ცხოვრებისთვის მიემართა. სიდჰარტჰამ ჩუმად დატოვა თავისი ძვირფასი სასახლე ცოლ-შვილითურთ და გაჰყვა ასკეტ ბერს. შვიდი წელი გაატარა ტყეში, განსაკუთრებულ ასკეტურ პირობებში, რათა მიეღწია სულიერი სიმშვიდისთვის და ხორციელი ზრუნვა საბოლოოდ ჩაეკლა თავის თავში, მაგრამ ასეთმა უკიდურესმა ზომებმაც ვერ მოუტანეს მის სულს შვება და დაასკვნა, რომ ასეთ ქმედებაშიც არ არის ხსნა.

ერთხელ, ღამით, როცა ხის ძირას იჯდა და წარმავლობაზე მწარე ფიქრით მოცულიყო, უცებ ეზიარა სულიერ სინათლეს („ბოდჰი“ — შემეცნება) და მას განუცხადდა ნამდვილი ჭეშმარიტება. ამის შემდგომ სიდჰარტჰა გახდა ბუდა, ანუ განმანათლებელი. დარწმუნდა, რომ ორივე უკიდურესობა, რომელიც მან გამოსცადა, ჭეშმარიტი გზიდან საკმაოდ შორს არის. მიხვდა, რომ ცხოვრებაში უმთავრესია თვითჩაღრმავება, სულიერი კრედოს შემეცნება, რომელმაც ადამიანი უნდა მიიყვანოს სულიერ სიმშვიდესა და სულიერ სინათლესთან. სიდჰარტჰამ ანუ გაუტამამ, მას შემდეგ, რაც დარწმუნდა ჭეშმარიტი გზის არჩევაში, დაიწყო წინასწარმეტყველური მოღვაწეობა მთელ ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთში. შემოიკრიბა თანამოაზრენი, რომელთა მეშვეობით სწრაფად ვრცელდებოდა ბუდისტური მოძღვრება. გაუტამა ბუდამ თითქმის ორმოცი წელი იქადაგა თავისი მოძღვრება. მისი სიცოცხლის დასასრულს მოძღვრებას უკვე დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი. ბუდამ ასე ქადაგებასა და ხეტიალში გაატარა უკანასკნელი წლებიც. გარდაცვალების შემდეგ კი, ინდური წესის მიხედვით, მისმა მოწაფეებმა იგი კოცონზე დაწვეს.

ბუდას შესახებ მოგვიანებით ბევრი ლეგენდა შეიქმნა. მას მიაწერდნენ სხვადასხვა არარეალურ ამბავს. გამოითქვა მოსაზრებანი, თითქოს ბუდა გამოხატავდა მზის ღმერთის მითოლოგიურ სახეს, მაგრამ ყველაზე მიღებულია შეხედულება, რომლის თანახმად, ბუდა უნდა ყოფილიყო ისტორიული პირი, თუმცა მისი ცხოვრების პერიოდის დადგენა ბევრ შეუსაბამობას შეიცავს: ერთნი ამტკიცებენ, რომ იგი ცხოვრობდა ძვ.წ. VI ს-ში, ხოლო სხვები მისი მოღვაწეობის პერიოდს ძვ.წ. XXV ს-ს აკუთვნებენ. თუმცა ისტორიული მომენტის გათვალისწინებით პირველი თარიღი უფრო ახლოსაა სინამდვილესთან.

ბუდიზმი თავისი განვითარების ადრეულ ეტაპზე იყო არა მხოლოდ რელიგიური, არამედ ფილოსოფიურ-ეთიკური მიმდინარეობა. ადრეული ბუდიზმის მსოფლმხედველობა ეფუძნება ე.წ. „ოთხ ამაღლებულ ჭეშმარიტებას“, რომელთა ამოცნობამაც გაანათლა

სიდჰარტჰა და საფუძველი დაუდო მისი მოძღვრების საყოველთაობას. ესენია: მოძღვრება ტანჯვის შესახებ, მოძღვრება ტანჯვის მიზეზების შესახებ, მოძღვრება ტანჯვის შეწყვეტისა და მოძღვრება ტანჯვის დაძლევის შესახებ. ბუდას მოძღვრების მიხედვით, მთელი ცხოვრება ტანჯვაა: „დაბადება ტანჯვაა, — ამბობს ის, — სიბერე ტანჯვაა, ავადმყოფობა ტანჯვაა, საძულველთან შეერთება ტანჯვაა, საყვარელთან განშორება ტანჯვაა, სასურველის მიუწვდომლობაც ტანჯვაა“. ტანჯვის მიზეზი ცხოვრების სურვილში დევს. ესაა მატერიალური, გრძნობადი სამყარო, ანუ სანსარა, რომელსაც უნდა გაექცეს ადამიანი და თუ გვინდა, ეს ტანჯვა ავიცილოთ, უნდა აღვიკვეთოთ ჩვენი სურვილები, რა რიგისაც უნდა იყოს ისინი. მაგრამ რა გზით მიიღწევა სურვილების აღკვეთა, რა ძალას შეუძლია შეარყიოს ბუნებრივი მოთხოვნილებანი, დაბადებიდან რომ დაჰყვება ადამიანს? საამისოდ ბუდიზმი აყალიბებს სულიერი ხსნის რვამაგ გზას, რომელიც მიმართულია ტანჯვის შეწყვეტისკენ. იგი მორწმუნეს მოუწოდებს, დაიცვას უბიწო შეხედულებანი და თავისი მისწრაფებით, მოქცევით, საუბრით და, საერთოდ, კეთილშობილი ყოფით დაადგეს ხსნის გზას, რომლის მწვერვალადაც ნირვანა, ანუ ადამიანური ზრუნვისა და მისწრაფებათაგან სრული განთავისუფლებით გამოწვეული სულიერი ნეტარება გვევლინება. ბუდიზმის ერთ-ერთი მახასიათებელია ის გარემოება, რომ მისი აღმსარებელი არ შეიძლება იყოს მონა — მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეუძლია იყოს ბატონი თავისი სურვილებისა, მხოლოდ შინაგანად და პიროვნულად თავისუფალ ადამიანს ძალუძს თავის მიწიერ სურვილებზე ამაღლება და მათი მოთოკვა. ბუდისტებისათვის უმთავრესია: მართალი სიტყვა, მართალი გადაწყვეტილება, მართალი რწმენა, ცხოვრების მართალი წესი, მართალი საქმე,

შუიდაგოუნის კომპლექსი — ერთ-ერთი ყველაზე განთქმული სტუპა ქალაქ პაგანში (ბირმა)

იაპონიაში, ტოდაიძის ტაძარში, წელიწადში ერთხელ იმართება 15-მეტრიანი ბუდას წმინდა სხეულის განწმენდის რიტუალი. ბერებს, რომლებიც მტვერს აცილებენ ქანდაკებას, სწამთ, რომ მთელ წელიწადს დაცული იქნებიან ყოველგვარი უბედურებისგან

მართალი სწრაფვა, მართალი აზრები და მართალი ჭვრეტა — ეს არის რვა გზა, რომლის ჭეშმარიტი აღსრულებით მიაღწევს ადამიანი ნირვანას — იდეალურ მდგომარეობას, როცა სულს აღარ აწვალებს ვნებანი, ადამიანი დანთქმულია სულიერი სინათლით, ზოგადად სულიერებით, რომლის მიღწევა სულით ძლიერსა და ბრძენს ძალუძს.

ნირვანა ზუსტად არ არის განსაზღვრული თვით ინდურ მწერლობაშიც კი. ყოველ შემთხვევაში ამ მდგომარეობის აღწერა უშუალოდ ადამიანის განცდაზეა დამოკიდებული და, აქედან გამომდინარე, სავსებით ზუსტი ახსნა არ მოეპოვება. უფრო მიღებულია ის შეფასება, რომელიც ნირვანას მიიჩნევს იმ გარდაქმნის ჯაჭვის შეწყვეტად, რომელიც ყველა ცოცხალ არსებას უღლად ადევს სიცოცხლეში და მისი ხვედრია.

ბუდისტების მიხედვით, ადამიანი ერთი სახეობიდან გარდაიქმნება მეორე ცოცხალ არსებად — ეს იგივე სანსარაა. სიკვდილი არ ათავისუფლებს ადამიანს ტანჯვისგან, რადგან ახალი გარდაქმნისას მას თან გაჰყვება ეს ტანჯვები. ასეთი წრიდან გამოსვლა კი მას შეუძლია, ვინც მიაღწევს სულიერ განწმენდას — სინათლეს. ადამიანის გარდაცვალება, ანუ ახალ მდგომარეობაში გადასვლა, გულისხმობს მის გარდაქმნას სხვა სულიერ არსებად (შესაძლოა განსხეულება მოხდეს მცენარეშიც), ხოლო ის, ვინც ბუდისტურ ფილოსოფიას ეზიარა, ვინც შეძლებს მისი ჭეშმარიტების ზიარებას, ამ გარდაქმნას ასცდება, დარჩება ადამიანად. მხოლოდ ამ ფორმაში მყოფ ცოცხალ არსებას შეუძლია მიაღწიოს ნირვანას მდგომარეობას. ბუდისტების მიხედვით, თავად გაუტამა დედამიწაზე ცხოვრობდა უფრო

ადრე, სხვადასხვა კასტისა და პროფესიის ადამიანის რანგში, მაგრამ მან პირველმა ადამიანთაგან შეძლო გაბრწყინება-გასხივოსნება და ამდენად მას უკვე აღარ ელის ახალი დაბადება. ბუდას გარდაქმნა — ესაა უშუალოდ გადასვლა ნირვანაში.

ბუდა ადამიანის ხსნას არ იჩემებს, მხოლოდ მიუთითებს თავისი მაგალითით იმ გზის შესახებ, რომელსაც უნდა დაადგეს. იგი მაგალითია ყველა მორწმუნისათვის. სიკვდილისგან თავდახსნის გზა ნანახია — ეუბნება ბუდა თავის მოწაფეებს, — გაგიცნობიერებთ ჩემს მოძღვრებას და თუ მიჰყვებით ჩემს დადგენილებას, მალე მიაღწევთ უწმინდესი ლტოლვის დაგვირგვინებას, ამავე ცხოვრებაში შეიმეცნებთ ჭეშმარიტებას და დაუდგებით მას პირისპირ.

ბუდისტების მორალური აღთქმით, აკრძალულია ნებისმიერი ცოცხალი არსების მოკვლა, სხვისი საკუთრების მითვისება, სხვისი ცოლის შეყვარება,სიცრუის თქმა და ღვინის სმა. მაგრამ მისთვის, ვისაც გადაწყვეტილი აქვს შემდეგი სრულყოფა, ასეთი აკრძალვების რიცხვი ძალზე ბევრია და ზოგჯერ მდგომარეობა უკიდურესობასაც აღწევდა (მაგალითად, არ შეიძლებოდა მიწის მოხვნა, რადგან შეიძლება მხვნელმა თავისდაუნებურად ჭიები მოკლას). საკვების რაციონიც მინიმუმამდეა შემცირებული.

ბუდისტების უმთავრესი ცნებაა ლმობიერება, რომელიც მიმართულია ყველა ცოცხალი არსებისადმი, ბოროტისადმიც კი. ავს ავით ნუ მიეგება, რადგან ამით კი არ ითრგუნება ბოროტება, არამედ უფრო ვრცელდება იგი.

ბუდისტები უარყოფენ სულის უკვდავებას. სიცოცხლის საფუძველს სული კი არა, ცალკეული დჰარმები წარმოადგენენ. დჰარმა აღნიშნავს რელიგიას, მოძღვრებას, კანონს, ჭეშმარიტებას, ხარისხს და ა.შ. მისი მახასიათებელია სულიერი თვისება, რაც ადამიანს ბევრი აქვს და იგი ამძიმებს მისი მიახლოების პროცესს ნირვანასთან. ამ ყოფიერების ბორბლიდან თავის დაღწევა შესაძლებელი ხდება მხოლოდ ბუდას ცნებების აღსრულებით და მისი მაგალითის მიბაძვით.

მოძღვრება დჰარმების შესახებ უმთავრესი საფუძველია ბუდისტური რელიგიისა და ფილოსოფიისა.

ბუდისტური ცხოვრების წესი მოითხოვდა ბერმონაზვნურ ცხოვრებას, იქმნებოდა კასტები, რომლებშიც არ მიიღებოდნენ მონები, ჯარისკაცები, დამნაშავენი, მევალეები, აგრეთვე ბავშვები მშობლების ნებართვის გარეშე. წესი ძალზე მკაცრი იყო. ორგანიზაციის წევრს აკრძალული ჰქონდა კერძო საკუთრების გაჩენა, თავს ირჩენდა მათხოვრობით. დღეში ერთხელ მზის ჩასვლისას ჭამდა და სხვ. აქვე უნდა ითქვას, რომ ბევრ ბუდისტს არ შეეძლო ყველა აკრძალვა შეესრულებინა. ასეთებისთვის სავალდებულო იყო ხუთი ძირითადი მცნების შესრულება. დიდი აკრძალვების განხორციელება შეეძლოთ მხოლოდ განსაკუთრებული ნებისყოფის მქონეთ.

ბუდიზმის მომავალი მსახურები

ბუდიზმის გავრცელებას ხელი შეუწყო იმ დროს ინდოეთში არსებულმა სოციალურმა პირობებმა. ბუდიზმი პასუხობდა დაბალი ფენის ინტერესებს და მიმართული იყო ბრაჰმანული არისტოკრატიის წინააღმდეგ. თავის მხრივ ბრაჰმანები ეწინააღმდეგებოდნენ ახალი რელიგიის დამკვიდრებას, მაგრამ ამან არათუ შეასუსტა, არამედ გააძლიერა ბუდისტური მოძრაობა.

ძვ.წ. III ს-ში ბუდისტური რელიგია ინდოეთის დიდ ნაწილში გაბატონდა, რასაც ხელი შეუწყო მაგადჰას სახელმწიფოს გაძლიერებამ, განსაკუთრებით მაურთა დინასტიის მეფობის დროს. ისინი წარმომავლობით ეკუთვნოდნენ დაბალ კასტას და დიდგვაროვან ბრაჰმანებს უპირისპირდებოდნენ. მათ ხელში ბუდიზმი საუკეთესო იარაღი შეიქნა ბრაჰმანთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ბუდისტების თემი ცხოვრობდა მონასტრებში და ამასთანავე, აგებდნენ საცავებს წმინდა რელიკვიათა დასაცავად.

ჩვენს ერამდე III ს-ში ბუდიზმი გავრცელდა შრი-ლანკაში, მოგვიანებით ინდოჩინეთში, ინდონეზიაში, შუა აზიასა და ჩინეთში. აღმავლობას განიცდის ბუდიზმი I-II საუკუნეებში, უცხოური წარმოშობის კუშანების სამეფო დინასტიის დროს, რომელნიც მტრულად იყვნენ განწყობილი ბრაჰმანებისადმი და ბუდიზმში დასაყრდენს ხედავდნენ.

როგორც რელიგიათა უმეტესობაში ხდება, ბუდიზმის განვითარების მომდევნო ეტაპზე ბუდისტური მოძღვრების ნიადაგზე მოხდა განხეთქილება, რაც ძირითადად შეეხებოდა დოგმატისა და სარიტუალო ჩვეულებათა ჩამოყალიბების სხვადასხვა ასპექტს. საბოლოოდ კი ჩამოყალიბდა 30-მდე სექტა. დიდი განხეთქილება მოხდა I საუკუნეში, როდესაც ბუდიზმი გაიყო ორ ძირითად მიმდინარეობად: ჰინაიანად (პატარა ეტლი) — ხსნის ვიწრო გზა და მაჰაიანად (დიდი ეტლი) — ხსნის ფართო გზა. ჰინაიანელები თვლიდნენ, რომ ნირვანის მიღწევა მხოლოდ ბერული ცხოვრებითაა შესაძლებელი, რაც გამოიხატება ასკეტიზმითა და დოგმატის მკაცრი დაცვით. ბუდას ისინი მიიჩნევენ არა როგორც ღმერთს, არამედ როგორც მოძღვარს. პატივს მიაგებენ ადგილებს, რომელნიც ბუდას ცხოვრებას უკავშირდება და იმ ნაგებობებს, სადაც ბუდისტური რელიკვიები ინახება.

მაჰაიანას ფუძემდებლად ითვლება სამხრეთინდოელი, ბრაჰმანთა კასტის წარმომადგენელი ნაგარჯუნა (I საუკუნე). მისი მოძ-

ბუდას ოქროს ქანდაკება

ღვრებით ნირვანას მიღწევა ასკეტური გზით ყველას არ შეუძლია და ფართო მასებისთვის იგი დაუძლეველი რჩება. მორწმუნისთვის კი აუცილებელია ღმერთი, რომელიც ახლო და მისაწვდომი იქნება მისთვის, დაიცავს მის მცნებებს და კანონებს ისე, რომ რიტუალის აღსრულებისას განსაკუთრებულ სიძნელეს არ წააწყდეს.

ინდოეთის განვითარებული ვაჭრობის შედეგად ბუდიზმმა მრავალ ქვეყანაში შეაღწია. შრი-ლანკას შემდეგ გავრცელდა ბირმასა და სიამში, ინდონეზიაში, ჩინეთიდან ბუდიზმი გავრცელდა კორეაში, იქიდან კი იაპონიაში. ბუდიზმმა ახალი მიმართულება შეიძინა ტიბეტში, სადაც გაიშალა დიდი სამონასტრო საქმიანობა, ხოლო თავად მოძღვრებამ მიიღო ტანტრიზმის სახელი. ტანტრიზმში ფაქტობრივად ძალზე მცირე დარჩა ორთოდოქსული ბუდისტური მოძღვრებიდან. შეიცვალა მისი ფილოსოფიური, ეთიკური საფუძველი, რომლის ძირითადი შემოქმედნი არიან ტიბეტელი ლამები.

ტიბეტიდან ბუდიზმის ეს ნაირსახეობა გავრცელდა მონღოლეთში, შემდგომ ყალმუხეთსა და ბურიატიაში. ჩრდილოური ბუდიზმისათვის ე.წ. „აღთქმულ ქვეყანას“ წარმოადგენს ტიბეტი, ხოლო ლხასა — წმინდა ქალაქს, სადაც განუწყვეტლივ მიემართებიან მლოცველები. ქალაქის უმრავლესობას ბერები შეადგენენ, ტიბეტური ენა მათთვის წმინდა ენაა, რომელზეც იწერება წიგნები და განისწავლებიან სასულიერო პირნი.

ამჟამად ბუდისტური რელიგია დიდ როლს ასრულებს ინდოჩინეთის ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ვიეტნამში მისდევენ ჩინეთიდან შემოსულ მაჰაიანურ მიმდინარეობას, დანარჩენ ქვეყნებში გავრცელებულია ჰინაიანისტური ბუდიზმი. ბირმაში, კამბოჯასა და ლაოსში ბუდიზმი აღიარებულია სახელმწიფო რელიგიად, ტაილანდში კი მეფე ითვლება ბუდისტური ეკლესიის მეთაურად. ამ ქვეყნის ყველა მამაკაცი ვალდებულია, 4 თვის განმავლობაში ისმენდეს მოძღვრების კურსს მონასტერში, რისთვისაც მას სახელმწიფო ეხმარება და უხდის ოთხთვიანი შვებულების გასამრჯელოს.

1950 წელს შრი-ლანკის ქალაქ კოლომბოში შეიქმნა მსოფლიო ბუდისტთა საძმო, რომლის რეზიდენციად აირჩიეს რანგუნი (ბირმა), შემდეგ კი ბანგკოკი (ტაილანდი).

მაჰაბოდჰი — სახელგანთქმული ბუდისტური ტაძარი ბოდჰ-გაიაში, ინდოეთის ბიჰარის შტატში, იმ ადგილასაა აღმართული, სადაც სიდჰარტჰამ სულიერ სინათლეს მიაღწია და ბუდა გახდა

ბუდიზმმა თავისი გამორჩეული კულტურა ან მისთვის დამახასიათებელი ნიშნები შეიტანა ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მის აღმსარებლობას მისდევდნენ. ბუდისტური კულტურა — ესაა ორიგინალური არქიტექტურა, სკულპტურა, ფერწერა, ლიტერატურა და ფილოსოფია. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ინდოეთში კლდეში გამოკვეთილი ტაძრები, ე.წ. პაგოდები, სუბურგანები და ჩორტონები. ბუდიზმმა წარმოქმნა ქვის გრანდიოზული საკურთხევლები და სატაძრო ანსამბლები, უდიდესი სამონასტრო კომპლექსები, ლამაისტური ტაძრები და ბოლოს, ბუდას მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ქანდაკებანი, რომელნიც მუდამ აოცებენ ადამიანს თავიანთი მასშტაბურობით, შესრულების ხარისხითა და გამომსახველობით.

სკანვორდი



1 რომის იმპერატორი (37-68 წწ.)

2 საქართველოს მეფე დავით VI

3 ძველი ქუთაისი

4 ისლამური ტერორისტული დაჯგუფება

5 დიპლომატიური წერილი

6 მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში

7 მაროკოს დედაქალაქი

8 მოხეტიალე მლოცველი

9 უკრაინის პარლამენტი

10 ოლქი ძველ ეგვიპტეში

11 სასახლე ძველად

12 კარლ მარქსის მშობლიური ქალაქი

13 შიიზმის მიმდევარი მუსლიმანი

14 კიევის რუსეთის დიდი მთავარი

15 ებრაელთა მოდგმის ერთ-ერთი პატრიარქი

16 ტიბეტის უმაღლესი მმართველი — დალაი...

17 ებრაელთა ნაციონალისტური მოძრაობა

18 პაკისტანის დედაქალაქი

19 ზღვაოსანთა კუნძულები

20 საფრანგეთის დედოფალი ... ავსტრიელი

21 საეკლესიო ცენტრი ისტორიულ ტაოში

22 ისლამის წმინდა ქალაქი

23 უდაბნო აზიაში

24 გაეროს ეროვნული გენერალური მდივანი

25 ვენეციის რესპუბლიკის მთავრის ტიტული

26 მემამულე შუა აზიაში

27 ფაშისტური გერმანიის I საკონცენტრ. ბანაკი

შეადგინა ვანო კაჭახიძემ

ქართლის სანახები
სამთავისიდან ყინწვისამდე...

სამთავისის ტაძარი

საქართველოში დღითი დღე იზრდება ტურისტთა რიცხვი. ამ ტენდენციას ჩვენი ჟურნალიც ეხმაურება. როგორც ცნობილია, ტურიზმის სხვადასხვა სახეობა არსებობს. მათ შორის კი რელიგიურ (მომლოცველობას) და ისტორიულ ტურიზმს მნიშვნელოვანი სეგმენტი უკავია.

რუბრიკა „ისტორიული ტურიზმი“ მკითხველს მიაწვდის ინფორმაციას შესაბამის მარშრუტებზე, რათა ამით გავუადვილოთ ტურისტებს მოგზაურობა და დასვენება.

ძირითადად ყურადღებას გავამახვილებთ ერთ ან ორდღიან მარშრუტებზე, რაც საშუალებას მისცემს ნებისმიერ ოჯახს თავად დაგეგმოს დასვენების დღეები.

სამთავისი

სამთავისი XI საუკუნის ქართული არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლია. იგი მდებარეობს მდინარე ლეხურის მარცხენა სანაპიროზე, კასპიდან 11 კილომეტრზე. ტაძრის აგებას VI საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებენ. სამთავისი ერთ-ერთი ასურელი მამის, ისიდორეს სავანედ არის მიჩნეული. ამრიგად, სხვა წყაროები სავანის უფრო ადრინდელ არსებობაზეც მეტყველებენ. მის აშენებას 472 წელს მეფე ვახტანგ გორგასალს მიაწერენ.

სამთავისის ძველი ტაძრის ნაშთები არქეოლოგებმა უკანასკნელ წლებში აღმოაჩინეს, მთავარი ტაძრის სამხრეთით მიმდინარე გათხრებისას.

ტურისტული მარშრუტი:

თბილისი — სამთავისი — გორი — ურბნისი — რუისი — სამწევრისი — ორთუბანი — ყინწვისი.

მარშრუტის ხანგრძლივობა — 1 დღე.

მარშრუტის სავარაუდო კილომეტრაჟი — 222 კმ.

უფრო კონკრეტულად:

თბილისი-სამთავისი – 40 კმ.

თბილისი-გორი – 65 კმ.

თბილისი-ურბნისი – 80 კმ.

თბილისი-რუისი – 84 კმ.

თბილისი-სამწევრისი – 95 კმ.

თბილისი-ორთუბანი – 105 კმ.

თბილისი-ყინწვისი – 111 კმ.

სამთავისის ტაძრის აშენების ზუსტ მონაცემებს იძლევა სამსტრიქონიანი წარწერა, რომელიც დასავლეთის კარის ზემოთაა ამოტვიფრული. წარწერიდან ირკვევა, რომ ტაძარი აუშენებია სამთავისელ ეპისკოპოსს, ილარიონ ვაჩეს ძე ყანჩელს, ანუ ილარიონ სამთავნელს 1030 წელს. მოგვიანებით ირკვევა, რომ ილარიონ სამთავნელი თავად იყო ამ ტაძრის ხუროთმოძღვარი. საქართველოს მეფის გიორგი III-ს მეფობისას იოანე სამთავნელს ტაძრისათვის კარიბჭე მიუდგამს. XII საუკუნის I ნახევრიდან XIII საუკუნის I ნახევრამდე სამთავისი ჯერ ქართლის კათალიკოს მიქაელს ეკუთვნოდა, ხოლო შემდეგ მწიგნობართუხუცეს ანტონ ეპისკოპოსს. XIV საუკუნის I ნახევრიდან — გიორგი V ბრწყინვალეს მეფობის პერიოდში სამთავისი ზედგინიძე-ამილახვრებს ებოძათ.

XV საუკუნეში სამთავისის ტაძარი მნიშვნელოვნად დაზიანდა: ჩამოინგრა გუმბათი, დასავლეთის კარი და ა.შ.

XVI საუკუნეში ადგილობრივმა ფეოდალებმა, ამილახვრებმა იგი განაახლეს, ფაქტობრივად, ხელმეორედ ააშენეს. დასავლეთ ფასადზე შემორჩენილი წარწერა გვაუწყებს, რომ ძეგლი მეორედ აუშენებიათ სიაოშ და გაიანე ამილახვრებს. გაიანე ქართლ-იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ს და და ამირინდო ზედგინიძე-ამილახვრის მეუღლე იყო, ხოლო სიაოში მათი ვაჟიშვილი. ტაძრის ინტერიერში ბურჯებზე შემორჩენილი წარწერებიდან ირკვევა, რომ ხელახალი მოხატვისას ქტიტორები ყოფილან – გივი ამილახვარი და მისი მეუღლე თამარი, ხოლო შემსრულებელი მელიტონ სამთავნელი.

ტაძარს ორი შესასვლელი აქვს: დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. სამხრეთის კედელი XIX საუკუნეში შეკეთებისას ამოუშენებიათ. ჯვრის ზედა მარცხენა მხარეს ასომთავრული წარწერაა: „ქ~ღმერთი მის შორის და იგი არა შეიძრას უკუნისამდე“. ქვემოთ კი ვკითხულობთ „ქ~ხატო ღვთაებისაო შეიწყალე სული ილარიონისა ძისა ვაჩე ყანჩელისი“.

კარს ზემოთ შვიდსტრიქონიანი წარწერა იკითხება: „ქ~ხატო ღმრთაებისაო ადიდე შენ მიერ დამყარებული ძლიერი და უძლეველი ღმრთივ გვირგვინოსანი ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთ მეფე გიორგი მე იოანე სამთავნელმან მეფობისა მათისამან აღვაშენე კარიბჭე ესე სალოცველად მეფობისა მათისა (ინ)დიქტიონსა მეფობისა მათისასა იბ, ქორონიკონი იყო ტპპ“. წარწერის მიხედვით, 1168 წელს სამთავნელ ეპისკოპოსს იოანეს ტაძრისათვის კარიბჭე მიუშენებია, მაგრამ მას ჩვენამდე არ მოუღწევია. მარცხენა სარკმლის ზემოთ წერია: „ჰოი დიდისა ამოლაზორისა თანმეცხედრესა მეფეთ მეფისა ასულისა მეორედ აღმაშენებელსა გაიანეს შეუნდვეს ღმერთმან ამინ“. ეს წარწერა XV საუკუნის 70-იანი წლებით თარიღდება. იქვე წერია: „წ~ხატო ღმრთაებისაო მეოხ ექმენ მეორედ აღმშენებლისა შვილისა სიაოშისა ამინ უფალო ღმერთო“. ეს უკანასკნელი კი შესრულებული უნდა იყოს XV საუკუნის ბოლოს



სახლი, სადაც სტალინი დაიბადა

„ხალხთა ბელადის“ კაბინეტი

ან XVI საუკუნის დამდეგს. სამთავისის ტაძრის მრავალგვერდა გალავანი XVII საუკუნის II ნახევრით თარიღდება. აშენებულია რიყის ქვითა და შიგადაშიგ აგურით. გალავანს ორი ჭიშკარი აქვს — დასავლეთით და ჩრდილოეთით. ტაძრის ტერიტორიაზე აღმოჩენილია სამთავნელ ეპისკოპოსთა სასახლის ნაშთები და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები.

გორის ციხე

ისტორიული ციხესიმაგრე მდებარეობს ქართლში, ქალაქ გორის ცენტრში, მაღალ კლდოვან ბორცვზე. ციხესიმაგრე დასავლეთით გრძელდებოდა მდინარეების მეჯუდისა და ლიახვის შესართავამდე. ჩრდილოეთ ფერდობზე შემორჩენილი ნანგრევები და არქეოლოგიური მონაცემები მოწმობს, რომ აქ ძვ. წ. I ათასწლეულის უკანასკნელ საუკუნეებში ძლიერი სიმაგრე, მის გარშემო კი დასახლება ყოფილა. სწორედ ქალაქ გორის სახელწოდება წარმოდგება გორის ციხისაგან, რომელიც „ტონთიოს“ სახელითაცაა ცნობილი. არქეოლოგიური გათხრებით დადგენილია, რომ I ათასწლეულის უკანასკნელ მესამედში გორი წარმოადგენდა უკვე კარგად დასახლებულ ადგილს, რომელსაც ჰქონდა გამაგრებული გალავანი.

ქალაქი გორი გაამაგრა და აღადგინა დავით აღმაშენებელმა. მოსახლეობის გაზრდის მიზნით დავით აღმაშენებელმა აქ ვაჭარ-ხელოსნები ჩაასახლა და გორი სამეფო ქალაქად აქცია. მას განაგებდა ქალაქის მოურავი.

გორის ციხე წყაროებში პირველად XIII საუკუნეში იხსენიება. იგი მნიშვნელოვან სტრატეგიულ სიმაგრეს წარმოადგენდა. მისი დაუფლება ნიშნავდა პოლიტიკურ ბატონობას მთელ შიდა ქართლზე. საუკუნეების განმავლობაში გორის ციხე არაერთხელ განახლებულა და გადაკეთებულა. XIII საუკუნეში ჩრდილოკავკასიელმა ოსებმა გორს სერიოზული ზარალი მიაყენეს. მათ გადაწვეს ქალაქი, ხოლო ციხე დაანგრიეს. მათი განდევნა მოხერხდა XIV საუკუნის 20-იან წლებში გიორგი V ბრწყინვალეს დროს.

XVI საუკუნის 80-იან წლებში ქალაქს ოსმალები დაეპატრონნენ და გორის ციხეში თავიანთი გარნიზონი ჩააყენეს.

1614 წელს გორი შაჰ-აბასს ეპყრა.

XVII საუკუნის 30-იან წლებში როსტომ მეფემ გორის ციხე-ქალაქი საფუძვლიანად შეაკეთა და იქვე აიშენა სასახლეც.

XVIII საუკუნის I ნახევარში გორი ოსმალებისა და სპარსელების გარემოცვაში აღმოჩნდა. ნადირ-შაჰის ბრძანებით ციხის ძირითადი ნაწილი დაანგრიეს.

დღევანდელი სახე გორის ციხემ 1774 წელს მიიღო, როცა იგი საფუძვლიანად შეაკეთა მეფე ერეკლე II-მ. ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების პირველ წლებში გორის ციხე კიდევ ასრულებდა თავის სტრატეგიულ ფუნქციას – აქ რუსთა არმიის გრენადერთა ბატალიონი იდგა. იგი ტფილისის გუბერნიის სამაზრო ქალაქად იქცა. შემდგომში მან დაკარგა ადრინდელი მნიშვნელობა.

ციხესიმაგრე ნაგებია რიყის ქვით; ადრინ-

გორის ციხე

დელ ფენებში კი თლილი ქვაა გამოყენებული. გეგმით ოვალურ ციტადელს დასავლეთიდან შედარებით უკეთ შემონახული ნაწილი — „ცხრაკარა“ ეკვრის. სამხრეთით და აღმოსავლეთით დამხმარე გალავნებია. ციხესიმაგრის თავდაპირველი შესასვლელი არ ჩანს. სამხრეთ კედლის შუაში მოთავსებულია გვიანდელი ხანის კამაროვანი ჭიშკარი. სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში პატარა ეკლესიის ნანგრევებია. ციხეს ჰქონდა გვირაბი წყლის ამოსაზიდად და წყალსაცავი.

გორის ციხე მნიშვნელოვნად დააზიანა 1920 წლის მიწისძვრამ.

ქალაქ გორში სხვა ღირსშესანიშნავ არქიტექტურულ ძეგლებთან ერთად ტურისტთა ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს საბჭოთა კავშირის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის იოსებ ჯუღაშვილის (სტალინის) სახლ-მუზეუმი. სტალინი დაიბადა 1879 წელს ქალაქ გორში. სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა იოსებ ჯუღაშვილმა, 1937 წელს აღადგინეს და საგანგებო პავილიონში მოაქციეს. 1957 წელს ერთსართულიანი მუზეუმის შენობის ადგილას აიგო თანამედროვე ორსართულიანი შენობა, რომელშიც 6 საგამოფენო დარბაზია მოწყობილი. მათში განლაგებულია სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპონატები.

ურბნისი

სოფელი ურბნისი მდებარეობს ქარელიდან 10 კმ-ში. სოფელში შემორჩენილია ურბნისის სიონის სამნავიანი ბაზილიკა. მდინარე მტკვრის ნაპირზე კი არქეოლოგებმა უძველესი ნაქალაქარი აღმოაჩინეს, სადაც მიაკვლიეს გვიანდელი ბრინჯაოს ხანის სამარხებს, გალავანს (რომელიც თარიღდება ძვ. წ. IV-III — ახ. წ. VII სს-ით), აბანოს (III ს.), მარანს (VI-VII სს.), წყალსადენს, სამეურნეო წყლის არხებსა და გვირაბს.

ურბნისი ქართულ წერილობით წყაროებში იხსენიება ელინისტურ ხანაში. ურბნისის არქეოლოგიური აღმოჩენებით დადგინდა ადამიანთა დასახლების კვალი ძვ. წ. III ათასწლეულიდან (ქვაცხელები, ხიზანაანთგორა). სავარაუდოა, რომ ძვ. წ. I ათასწლეულიდან სამოსახლოთა გაერთიანების შედეგად აქ წარმოიშვა მჭიდრო დასახლება, რომელიც ქალაქის პირველსახეს წარმოადგენს.

ძვ. წ. IV საუკუნისთვის ურბნისი ქალაქად მოიხსენიება. ამ დროისათვის, ურბნისზე გამავალი სავაჭრო გზების წყალობით იგი მჭიდროდ უკავშირდებოდა გარე სამყაროს. დაახლოებით ძვ. წ. III საუკუნეში ურბნისი უცხო დამპყრობლებს გადაუწვავთ. ახ. წ. I საუკუნიდან დაიწყო ურბნისის აღორძინება. ქალაქი ეწეოდა აქტიურ ვაჭრობას, რასაც

ადასტურებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი უამრავი უცხო წარმოების საქონელი და მონეტები.

ქალაქი უბნებად იყო დაყოფილი. მოქმედებდა როგორც წარმართული, ასევე ებრაელთა ტაძრები. ქალაქი მარაგდებოდა სასმელი და სამეურნეო წყლით. ქალაქში იყო აბანო. ურბნისს გარს ეკრა მტკიცე გალავანი.

VIII საუკუნის 30-იან წლებში ურბნისი მნიშვნელოვნად მოარბია მურვან-ყრუს ლაშქრობამ. ამის შემდგომ ურბნისი ქალაქად აღარ მოიხსენიებოდა. დარჩა მხოლოდ საეპისკოპოსო რეზიდენცია, რომელმაც XIX საუკუნემდე იარსება.

ურბნისის მნიშვნელობაზე მეტყველებს დავით აღმაშენებლის მიერ 1104 წელს მოწვეული რუის-ურბნისის საეკლესიო კრება.

ურბნისის სიონი

სოფელ ურბნისის ტაძარი V საუკუნის სამნავიანი ბაზილიკაა. ურბნისის სიონი დგას ნაქალაქარის აღმოსავლეთ ნაწილში. ტაძრის დამაარსებლად მიიჩნევენ ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთს, თადეოზ ურბნელს. ქართულ წერილობით წყაროებში ურბნისი დაკავშირებულია ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს სახელთან. ქართლში მოსული ნინო ურბნისში ერთ თვეს გაჩერებულა, მერე კი სალოცავად და სავაჭროდ მიმავალ ურბნელებს გაჰყოლია მცხეთაში.

VIII საუკუნის 30-იან წლებში ურბნისი არაბმა სარდალმა მურვან ყრუმ დაანგრია. ამ ცნობას ადასტურებს არქეოლოგიური მასალების შედეგად აღმოჩენილი დანგრეული სახლები, გადაბუგული გალავან-კოშკები და ა.შ. დარბევის შემდგომ ურბნისმა, როგორც განვითარებულმა ქალაქმა, შეწყვიტა არსებობა და რიგით სოფლად იქცა.

XIV საუკუნეში მონღოლთა მიერ, ხოლო მოგვიანებით – XVII საუკუნეში შაჰ-აბასის შემოსევების შედეგად ტაძარი მნიშვნელოვნად დაზიანდა. ურბნისი 1568 წელს სიმონ მეფემ აღადგინა, ხოლო 1668 წელს მარიამ დედოფალმა განაახლა. ურბნისის სიონი ადრინდელი ფეოდალური ხანის საქართველოს დიდ ბაზილიკათა რიგს მიეკუთვნება.

რუისი

რუისის ისტორიული ძეგლი მდებარეობს ქარელიდან 5 კმ-ში, გორი-ხაშურის საავტო-

ურბნისის სიონი

მობილო გზაზე. სახელწოდება რუისი წარმოდგება სიტყვა „რუ“-დან. ფეოდალურ ხანაში აქ საეპისკოპოსო კათედრაა. რუისის ეპისკოპოსი მროველი 506 წლის დვინის საეკლესიო კრების მონაწილე ქართველ ეპისკოპოსთა შორის მეათე ადგილზეა დასახელებული.

რუისს უკავშირდება ფეოდალური ხანის საქართველოს არაერთი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა. ასე, მაგალითად: 1. რუისის ღვთისმშობლის ეკლესიაში ქართლის მეფედ აკურთხეს გიორგი II (1072-1183 წწ.). 2. 1104 წელს მეფე დავით IV აღმაშენებელმა მოიწვია რუის-ურბნისის საეკლესიო კრება — „სანახებთა ქართლისათა მახლობლად ორთა საეპისკოპოსთა რუისისა და ურბნისისათა“. კრებამ სამეფო ხელისუფლების განმტკიცების მიზნით გაატარა მნიშვნელოვანი ღონისძიებები – გადააყენა უღირსი სასულიერო პირები, რომელთაც თანამდებობა მემკვიდრეობით ერგოთ. დაამტკიცა სასულიერო ფენის ხელდასხმის წესი, დააკანონა გვირგვინის კურთხევის წესი და სხვა მრავალი. კრებამ მიიღო მთავარი დოკუმენტი „ძეგლისწერაჲ რუის-ურბნისის კრებისაჲ“.

რუისის საეპისკოპოსო ფეოდალური ხანის უმნიშვნელოვანესი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო. აქ მოღვაწეობდნენ ანტონ მროველი (IX-X სს.), ლეონტი მროველი (XI ს.), ნიკოლოზ ორბელიანი (1672-1732 წწ.) და სხვ. აქ იყო აგრეთვე წიგნთსაცავი, სადაც ინახებოდა უამრავი ხელნაწერი. უმნიშვნელოვანესია XI საუკუნის რუისის სახარება.

რუისის ჩრდილოეთით – სასაფლაოზე დგას კვირაცხოვლის ეკლესია, რომელიც თარიღდება XVIII-XIX საუკუნეებით. ეკლესია დარბაზულია.

რუისის ჩრდილოეთით ერთ კილომეტრშია აგრეთვე არქეოლოგიური ძეგლი-ნასოფლარი, რომელიც მიეკუთვნება გვიანდელ ფეოდალურ ხანას.

ღვთისმშობლის ეკლესია რუისის ცენტრში დგას.

გადმოცემით, რუისის ტაძარი აუგია ვახტანგ გორგასალს. თავდაპირველ ნაგებობას ჩვენამდე არ მოუღწევია. ეკლესიაზე გაირჩე-



რუისის საკათედრო ტაძარი

ვა რამდენიმე ნაშენი ფენა. უძველესია VIII-IX საუკუნეების. X საუკუნეში ეკლესია საფუძვლიანად შეუკეთებიათ. XI საუკუნეში გიორგი ეპისკოპოსს იგი კვლავ განუახლებია და მდიდრულად მოურთავს, რაზეც მეტყველებს კარიბჭესთან არსებული ორსტრიქონიანი წარწერა: „ქრისტე შეიწყალე სული გიორგი ეპისკოპოსისა ამინ“. წარწერის ბოლოში კი მიწერილია „მარიამ დედოფლისა“ (სავარაუდოა ბაგრატ IV-ს დედა). საეპისკოპოსო კათედრალს დიდ დახმარებას უწევდა თამარ მეფის დედა ბურდუხან დედოფალი.

თემურ-ლენგის შემოსევებს ტაძარი ძალიან დაუზიანებია. იგი ალექსანდრე I-ს აღუდგენია. შემდგომ ტაძარი ხელახლა აღადგინეს — XVI საუკუნეში მროველმა ეპისკოპოსმა დიონისე ლარაძემ, ხოლო XVIII საუკუნეში როსტომ მეფის მეუღლემ მარიამ დედოფალმა. ამ პერიოდში საეპისკოპოსო საკმაოდ ვრცელ ტერიტორიებს მოიცავდა.

1811 წელს რუისის ეპარქია გაუქმდა.

სამწევრისი

სამწევრისის ციხე-დარბაზი მდებარეობს სოფლის დასავლეთით შემაღლებულ ადგილზე. კომპლექსში ერთიანდება: დიდი კოშკი, ეკლესია, გალავანი, სასახლე და სხვადასხვა ნაგებობის ფრაგმენტები. დიდი კოშკი მომრგვალებული ფორმის ნატეხი ქვით ნაგები ძეგლია. ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ სამი სართული, რომელსაც შემორჩენილი აქვს სათავსები, სათოფურები და საბრძოლო ხვრელები.

ეკლესია მდებარეობს ციხე-დარბაზის განაპირას, დასავლეთით. პირველი ფენა თარიღდება ადრეული ფეოდალური ხანით, ხოლო მეორე — XVI-XVII საუკუნეებით.

გალავანი, სასახლე და სხვა ფრაგმენტები თარიღდება XV-XVII საუკუნეებით.

სამწევრისის ეკლესია

სამწევრისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია მდებარეობს მდინარე ძამის მარცხენა სანაპიროზე. იგი თარიღდება VII საუკუნის I მესამედით.

ძეგლი მნიშვნელოვნად დააზიანა 1940 წლის მიწისძვრამ. ტაძარზე შემორჩენილია ორი წარწერა. პირველი X საუკუნისაა და გვაუწყებს სამწევრისში არხის გაყვანას. მეორე წარწერა უშუალოდ ტაძარს ეხება: „მეორედ მაშენებელსა ფანასკერტელს მერაბს შეუნდეს ღმერთმან. ზედამდეგს ცოდვილს საბას შეუნდეს ღმერთმან“. XV-XVIII საუკუნეებში ამ ადგილებს ფლობდნენ ფანასკერტელ-ციციშვილები. წარწერაში იხსენიება ზედამდეგი საბა, რომელიც ეკლესიის განახლებას ხელმძღვანელობდა.

ეკლესია შეუკეთებია და უკურთხებია წმინდა გიორგის სახელზე. ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანია.

ყინწვისი

ყინწვისის არქიტექტურული ძეგლი მდებარეობს სოფელ ყინწვისის აღმოსავლეთით 2-3 კილომეტრზე, ხეობაში.

ყინწვისის კომპლექსში შედის: წმინდა ნიკოლოზის, ღვთისმშობლისა და მცირე ეკლესიები, გალავანი და კოშკი-სამრეკლო.

ყინწვისის კომპლექსი დაზიანებულია. შემორჩენილია მხოლოდ ღვთისმშობლის ეკლესიის საკურთხეველი, გალავნის ნაშთი და კოშკი-სამრეკლოს ორი სართულის კედლები. ჩვენამდე მოღწეულია წმინდა ნიკოლოზისა და მცირე ეკლესიები.

ყინწვისის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა. იგი თარიღდება XII-XIII საუკუნის მიჯნით.

ყინწვისი

ტაძრის მოხატულობა XIII საუკუნეში თამარ მეფის პირველი ვეზირის ანტონ გლონისთავისძის დაკვეთითაა შესრულებული. ქტიტორი მოხსენიებულია სამხრეთით საკმაოდ დაზიანებულ კედლის წარწერაში. ყველა სცენის შინაარსს თუ წმინდანთა ვინაობას გადმოგვცემს ასომთავრული წარწერები. ვხვდებით აგრეთვე ბერძნულ მინაწერებსაც. კარიბჭეები მიშენებულია XIV საუკუნეში.

გუმბათში გამოსახულია ძვირფასი ქვებით შემკული ჯვარი, ხოლო ქვემოთ სარკმლების თავზე ვედრების კომპოზიციაა იკონოგრაფიული რედაქციით.

ორივე მკლავის ქვედა რეგისტრში წარმოდგენილნი არიან ისტორიული პირები: ჩრდილოეთით მეფე გიორგი III, თამარი და უფლისწული ლაშა-გიორგი. სამხრეთით მწიგნობართუხუცესი ანტონ გლონისთავისძე ეკლესიის მოდელით ხელში წმინდა ნიკოლოზის წინაშე დგას, ეს უკანასკნელი მარჯვენით აკურთხებს ყინწვისის ტაძარს.

თამარის დროს სამეფო კარზე სამი მწიგნობართუხუცესი უნდა ყოფილიყო. სწორედ მათ შორისაა ანტონ გლონისთავისძე, რომელიც ყინწვისის მოხატულობაშია გამოსახული. შესაძლოა, იგი მხატვარიც ყოფილიყო.

ყინწვისის ტაძრის მოხატულობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული და საერთოდ შუა საუკუნეების მონუმენტური მხატვრობის განვითარების ისტორიისათვის.

ტაძრის ტრადიციული საშენი მასალაა აგური.

XV საუკუნის 60-იან წლებში, ზაზა ფანასკერტელის მოღვაწეობის პერიოდში, ყინწვისის ტაძარი კულტურულ-საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა. ზაზა ფანასკერტელის მიერ მიშენებულ სადგომში ქტიტორის გამოსახულებაა, რომელსაც ანტონ გლონისთავისძის მსგავსად მარცხენა ხელში უჭირავს ეკლესიის გამოსახულება და მიმართულია აღმოსავლეთით კურთხევის პოზით. ქვემოთ მიწერილია „ფანასკერტელი ზაზა“. საგულვებელია, რომ სწორედ ამ ეკვდერის ქვეშ უნდა განისვენებდეს ზაზა ფანასკერტელი. ფრესკაზე ქტიტორს უჭირავს ტაძრის მოდელი ისე, რომ ჩანს მის მიერ მიშენებული ეკვდერი. ეკვდერის მოხატულობა, სავარაუდოა, ირანში მცხოვრებ, მსოფლიოში განთქმულ მხატვარს, ზაზა ფანასკერტელის ვაჟს, სიაუშ ბეგს ეკუთვნოდეს.

ყინწვისის კომპლექსში შემავალი ღვთისმ-